ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ
1852

№2//2020

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ – ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

მთავარი რედაქტორი
ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ

პასუხისმგებელი რედაქტორი
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲔᲚᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

რედაქტორ-სტილისტი
ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

კომპიუტერული გრაფიკა
და დიზაინი
ᲥᲔᲗᲘ ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ

სარედაქციო კოლეგია

ᲐᲜᲓᲠᲝ ᲑᲔᲓᲣᲙᲐᲫᲔ
თავმჯდომარე

ᲠᲝᲘᲜ ᲐᲑᲣᲡᲔᲚᲘᲫᲔ
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲚᲘᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲕᲐᲜᲔ ᲐᲛᲘᲠᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲐᲦᲐᲗᲔᲠ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ
ᲚᲐᲨᲐ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ
ᲜᲐᲘᲠᲐ ᲑᲔᲙᲘᲔᲕᲘ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔ
ᲒᲔᲜᲠᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲩᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ
ᲒᲐᲒᲐ ᲜᲐᲮᲣᲪᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲐᲘᲐ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ,
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ
ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
საკონტაქტო ტელეფონები: 599335133; 599565644
ciskari1852@gmail.com
https://www.facebook.com/ciskari1852

სარჩევი

პოეზია

სოფიო წულაია 3
ლექსები

ნათია კაპანაძე 11
ლექსები

პროზა

ალექსანდრე მიშელაშვილი 14
მოთხრობები

ოლანი ბიწაძე 21
ნოველები

პრიტიკა. ესეისტიკა

თამარ გელიტაშვილი 29
მაგრამ რა არის მტვრად ქცევის შემდეგ?!
(გიორგი არაბულის პოემა „ალდის“ ტექსტი და მეტატექსტი

ლევან ბებურიშვილი 34
ვაჟა-ფშაველას ნეოლიბერალური პროფანაციის თაობაზე

იოსებ ჭუმბურიძე 49
რატომ შეეხე?! ანუ ანა კალანდაძის ნება და იძულება

ისტორიის ფურცლები

გიორგი ალიბეგაშვილი 54
საქართველო და ქართველები რასმუს რასკის ჩანაწერებში

ვახტანგ გურული 62
ფერეიდნელი ქართველები საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში

ახალი თარგმანები

იტალო კალვინო 74
ამბავი ერთი ფოტოგრაფისა
მოთხრობა
იტალიურიდან თარგმნა
მაია ტურაბელიძემ

გარეკანზე: ანა კალანდაძის ფოტო

ჟურნალში გამოყენებულია ნინო მერკვილაძის ნახატები

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე განთავსდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე: https://www.facebook.com/ciskari1852



სოფია წულაია

ბავშვობის აჩრდილი

„ზოგ რამეს უპატიებელ საქციელს ვეძახით და
ვამბობთ, ამას ჩვენს თავს არასდროს ვაპატიებთო,
მაგრამ ვპატიობთ კი. რას იზამ, ეგრეა, ყოველ ჯერზე
ხელახლა ვპატიობთ“
ელის მანრო

ჭვარტლით და ფერფლით დაფიფქული თვალები გავახილე
და ჩემს ბავშვობაში გადავიხედე:
ვნახე ქალაქი, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ესხა
შიშველ ტანზე თოვლის ფიქრები;
როგორც კი სივრცის ზღურბლზე ფეხი გადავდგი,
მუხლებზე დაეცა, ციგურებზე ამხედრებული,
ჩვენი სკოლის გრძელ და ვიწრო დერეფნიანი
და სქელზე სქელ კედლებიანი რუხი შენობა –
ჩვენი ბავშვობის ტკივილებს რომ იჭედებდა ყველა
კედელზე,
როგორც სამსჭვალებს;
წარსულთან ერთად გადმოიქცა ჩემი თმები,
წაბლისფერი ჩანჩქერის შფოთვა
და ჩემი თანატოლი პატარა გოგოც,
ბანალურზე ბანალური სახელით – „ნინო“,
გადაპარსული თავით
სავსე მთვარეს, უფრო მეტად კი რძემდინარე ჭყინტ
ყველს რომ ჰგავდა
და კლასის ყველა მაღალი ბიჭი,
მორიგეობით ქუდს რომ ხდიდნენ ხოტორა გოგოს
და ერთმანეთს გუნდებივით გადაესროდნენ,

მე კი ასეთ დროს წაბლისფერი თმების ჩანჩქერს ხმაზე ვიხვევდი
ხმაურისა და მძვინვარებისთვის თავი ძირში რომ მომეხუფა
და ხორხიდან ერთხელაც კი არ დაძრულიყო:
– გეყოფათ, კმარა!
მერე ნინო სადღაც გაქრა –
თავმორღვეული კონსერვის მსგავსად
სადღაც, უფსკრულში გადაისროლა აზვავებული ფიქრების გროვამ
და მას მერე არც ერთხელ არ გამხსენებია,
რომ სადღაც იყო, რომ კი წავიდა,
მაგრამ სადღაც მაინც სუნთქავდა...
თუმცა, უკვალოდ არავინ ქრება
და მანაც, მხოლოდ დროებით, სადღაც, სარდაფში გადახიზნულმა,
ისევ მიპოვა,
ხვიარასავით შემომეკრა დამსხვრეულ სულზე
და ზედაპირზე ამოყვინთა, როგორც ცხედარმა პატარა ბავშვის –
აზვირთებული ტალღებისგან გამორიყულმა...
და ფეისბუქმა ლათინური ასოებით ჩაწერილი,
სახელისა და გვარის მიღმა, ჩვილიანი გოგონას ფოტო ამომიგდო
და მომინდა, წარსულის ლიცლიცს და ციაგს მიღმა
მისი წაშლილი, მკრთალი სახე ამომეშიფრა...
მაშინ შვილები ჯერ არ მყავდა და უკლებლივ ყველასი მშურდა,
ვისაც მუცელში ბავშვის ჩატუმბვის, მერე კი უკან ამოქაჩვის ძალა შესწევდა,
ჩემი ბავშვობის ნინოს კი მაშინ, ყოველგვარი შურის გარეშე,
საკუთარ თავზე მეტად ვუსურვე იმ პატარა ბავშვის დედობა.
თითქოს, ამითი ჩემი ბავშვობის მომწამვლელი მდუმარების გამოსყიდვა გადავწყვიტე
და ფიქრებში, პირველად, ბავშვობის შემდეგ,
ჭვარტლისა და მტვრის თოვლის ნაცვლად, თოვლი გათოვდა...
ნამდვილი თოვლი!

ერთი საფლავი ორისთვის

მიწის ბელტებით მოქსოვილი პლედი მომახურე,
ლოლუებად ქცეულ ფერდებთან შემოკეცვა არ დაგავიწყდეს.

ხომ გახსოვს, წყლად ქცევის რომ მეშინია?..
ხოდა, ვდნები – მალე საერთოდ აღარ ვიქნები...
ყინული დუღს – შხეფებს ისვრის;
გთხოვ, თვალები დახუჭე – ნასხლეტებმა გუგები არ
გადაგიჭრას,
ცივმა სიმყიფემ არ დაგაბრმავოს,
სიცივის ნისლმა თვალი არ აგიხვიოს –
მეშინია, რომ ვერ დამინახავ...
თოვლისგან მოქსოვილი პლედი მომახურე,
გადაჭირხლულ თავზე ჭაღარები გადამიგავე,
არ მინდა, დავდნე – თუ დავდნები, ველარ მეყვარები...
იქნებ, მიწისგან მოქსოვილი პლედი მოვიხუროთ –
ორი არ გვაქვს? – ერთში გავეხვიოთ.
საფლავი დიდი ხნის წინ გაგვითხარეს;

არ მინდა, ძვლები შენამდე ვერ მწვდებოდეს,
არ მინდა, ცალ-ცალკე ვკდებოდეთ.
ჩვენ ხომ დიდი ხანია, ყინულის კონტინენტებად ვიქეცით,
დიდი ხანია, ლღვობა დავიწყეთ,
დიდი ხანია, გრძნობები შემოგვადნა,
ცერისტოლებიღა დავრჩით და ის, რაც დავრჩით,
ანუ რაც გადავრჩით,
ერთად უნდა გაქრეს – ნელა და თანდათან.
ჩვენს საფლავს – ორი მკვდრისთვის განკუთვნილს –
თავი უკვე დიდი ხნის წინ მოხადეს ჭურივით.
პირდაფჩენილს, ჩვენი ნარჩენები შია და სწყურია –
ვაჭამოთ,
დავალევინოთ...
ცოდვაა – მაინც ჩვენია, ჩვენთვისაა;
ორსულისთვის უარის თქმა არ შეიძლება,

ორსულს ყველაფერი უნდა შეუსრულო –
თუ მოუნდება, მდინარიდან თევზები ამოუკრიფო
და საშვილოსნოში გადაუსხა,
შოკოლადების მთა აღუმართო
და პირში არ უთვალო, რამდენ ცალს შეჭამს,
თონიდან ახალამოყრილი „დედას პურები“
ცხვირწინ მარაოსავით გაუშალო
და ყურში უჩურჩულო:
– ჭამე, არ გასუქდები!
მარტო მუცელი გამოგებუშტება,
მაგრამ, არა უშავს, მსუქანიც მეყვარები;
კატებსაც დაგიფრთხობ
და ცუდ სიზმრებსაც ავუქშევ,
ზუსტად ისე ავაფრენ საწნახლიდან,
კვერცხებზე შემჯდარ კრუხებს რომ ავაფრენდი ხოლმე
ადრეულ ბავშვობაში.
ყვავებსაც ხმას ჩავაწყვეტინებ,
ტელეფონსაც სამუდამოდ დავადუმებ,
სულაც სადმე გადავისვრი,
ოღონდ შენ იყავი კარგად,
ოღონდ თქვენ იყავით კარგად – შენ და ბავშვი!

დაბადება

„მე იმაზე მეტად როდი ვარ დედაშენი,
ვიდრე ღრუბელი...“
სილვია პლათი

გამხმარი ხეების ძვლებივით აშრიალდა
ქარის შეხება ქალის სხეულზე
და სახლმა, სადაც აკვანს მუდამ სიკვდილის
სუროს ფოთლებშემოკრული ხელი არწევდა,
ჩვილის ტირილი გამოისხა მზისფერ მტევნებად.
– ბავშვი საიდან? – კითხულობდა უცნობი მგზავრი,
– ამ ქუჩაზე ხომ კაცს არასდროს არ ჩაუვლია?!.
ამ გზაზე მუდამ აფხიზლებენ დაგეშილ მწევრებს
და თუკი ვინმეს ასახვევთან თვალს შეავლებენ,
მივარდებიან და მჭლე ფერდებით მაგნიტივით
შეისუნთქავენ
იმედების და სურვილების კამკამა ბელტებს.
და რა იცოდა უცნობმა მგზავრმა,
რომ ბავშვს, რომელიც ქალს აქამდეც უნდა ჰყოლოდა,
მის გარდა, ყველა ქალი აჩენდა,
მაგრამ მაინც ველარაფრით ვერ დაიბადა.
მერე ღრუბლებმა გადაწყვიტეს მისი დედობა –
განიერი თეძოები კიდევ უფრო გადაითქვირეს,

გამოშიგნეს ფიქრებიდან და სიზმრებიდან
ყველა სათუო წვიმა და თოვლი,
ყველა გზა და მთა, რომელიც უნდა გადაეტბორათ
და ტკივილების გასაყუჩებლად
ათასობით ცის მტვერი ყლაპეს,
ძლივს გაჩენილი
პატარა ბავშვი კი იმ ქალს მისცეს,
მარტო რაფასთან იებივით ჩუმად ჯდომა
და დალოდება რომ შეეძლო
და დედობისთვის ერთხელაც კი არ უბრძოლია.
და ქალს, როგორც კი ჩვილს შეხედა,
სიხარულისგან ფრთები დასცვივდა –
ვეღარასოდეს ვერ შეძლებდა სადმე გაფრენას,
ვეღარც იმ კაცთან,
სულ რომ ელოდა,
მაშინაც კი, როცა იცოდა,
რომ დაივიწყა
და არასოდეს დაბრუნდებოდა.
და იმ წამიდან ყველა ტკივილი
მხოლოდ სიმშვიდის ხმას ასხივებდა
და ყველა იმედს მარტო იმედის სურნელი ჰქონდა –
ეჭვებისა და შიშის ბასრი გემოს გარეშე.
და ყველა გზაზე ბავშვთან ერთად რომ გადაკენკა,
ქაცვის ადგილზე ცრემლიანი ია აყვავდა
და ჯოჯოხეთი სამოთხედ იქცა.

გაუგზავნელი წერილები

N.1

ვამბობ:
– არასდროს მიყვარდი სხვების დასანახად...
უშენო დღეები კი აჯანყდნენ
და ჩემს გადასათელად დაიძრნენ.
ისე მოძრაობდნენ, თითქოს ვინმემ დაარაპიდა –
ნელა და ტლანქად, რობოკოპებივით.
ამ დროს კი ჩვენ შორის გაწოლილ ორ ოკეანეს
თევზები ღრღნიდნენ მდუმარე ლაყუჩებით
და რიფებთან ერთად სიყრუე იწვა ჩემიდან შენკენ,
შენიდან ჩემკენ დაძრულ
ყინულმჭრელ გემებს კი ცვილის
საჭრეთლები ჩამოეღვენთათ და აისბერგებს მიეყინნენ,
მაგრამ მე მაინც გელოდებოდი,
იმიტომ, რომ არასდროს მყვარებიხარ სხვების დასანახად,
მერე რა, თუ სხვის თვალში ასე ჩანდა.
მერე რა, სხვებს ასე თუ ეგონათ.

N.2

ძილის წინ თვალებში ზღვას ვიწვეთებ
და გაფართოვებული
გუგებით მარტო იმას ვხედავ,
რისი დანახვაც შემიძლია
და არა იმას, რასაც მინდა, ვხედავდე.
დიდია ჩემი ტკივილი,
იმდენად დიდი, რომ ნათელს ისხლიტავს
და მდუმარე წყვდიადში მარტო შენ გხედავ.
– შუქი არ ჩააქრო, ხელი არ გამიშვა! – გეუბნები
და შენი შეხებებისგან გაცრეცილ სხეულს
სიზმრებში ვაწობ,
მერე აივანზე გაბმულ თოკზე ჩიტივით შემოვასკუპებ
და ვცდილობ, დარდისგან ბოლომდე გამოვაშრო.
ჩემზე დიდია ჩემი დარდი,
იმდენად დიდი, რომ კანი ვერ აკავებს
და სხეულის სხვადასხვა ადგილიდან
ბენზინივით წვეთავს.
მინდა, ვერასდროს დავინახო ის, ვინც
შენთან მაშორებს,
მინდა, სარკეში რომ ჩავიხედავ,
ჩემი თვალები ეჭვიანობას არ ასხივებდეს,
მინდა, მოვკვდე, ნეტა, მალე მოვკვდე,
ვიცი, გეწყინება.
მაშინ კი, როცა ცუდად ვარ, მინდა,
მოხვიდე და მუხლები დამიკოცნო,
თითებმა ფრთხილად გადაისრიალონ იმ იარებზე,
ბავშვობამ რომ დამიტოვა...
ქვიშიანი ზედაპირი ხელის გულებით მოასწორო,
იარებქვეშ ჭაობებად ჩაგუბებული ჩირქი და შიში
საბოლოოდ დაშრიტოს შენი ხელების სითბომ...
სული შეუბერო ჩემს ტკივილს,
ჩააქრეს;
არ დაუშვა, რომ
მტვრად,
ფერფლად,
მდოგვის მარცვლად,
უნაყოფო ხედ,
დაუმუშავებელ მიწად,
გამოკეტილ ნესტიან ოთახად,
მკვდრებისგან დაცლილ სასაფლაოდ,
გადაუფურცლავ წიგნად,
მკლავებამოკერილ ჩაუცმელ კაბად,
ფრთებდაგლეჯილ პეპლად,
მტრედებისგან გულგამოკორტნილ პურად
და სხვების გზად ვიქცე...

იქნებ,
როგორღაც გადაფაროს მარტოობა შენმა შეხებამ,
იქნებ,
დარდი, ქვიშაზე დაბეჭდილი ნაფეხურებივით,
უკვალოდ გაქრეს...
არ დატოვო ჩემი ტკივილი უყურადღებოდ,
არ დაგეზაროს ჩემთვის თოვლში იების ჩარგვა –
გაიხარებენ,
ჩემი მოსმენა არ დაგეზაროს,
არაფერს გეტყვი, უბრალოდ მინდა ვიგრძნო,
რომ მისმენ.

N.3

არ მომიყვე შენი უჩემო ამბები,
მეც არაფერს გეტყვი,
უღელივით დავიდგამ
უშენოდ გავლილ ყველა გზას კისერზე
და იმდენ ხანს დავიგუბებ ყელში მდუმარებას,
სანამ არ გადამცდება და არ დამახრჩობს;
ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ უერთმანეთო ამბები
ერთმანეთზე,
ჩვენ უნდა გვჯეროდეს,
რომ, ერთმანეთის გარდა, არასდროს არაფერი ყოფილა –
არც სიხარული,
არც ტკივილი...
ამიტომ ფრჩხილებით ავყრი ყველა ამბავს –
თითქოს ვიღაცის ცუდად დაგებული მეტლახია
და გეტყვი:
– გელოდებოდი!
შენ კი მიპასუხებ:
– ვიცი, მოვედი! არ მომიყვე შენი უჩემო ამბები.

N.5

ათი ათასი კილომეტრით ჩემგან შორს
– იბადებოდი...
ბებიაქალი საგულდაგულოდ გაჭრიდა
ყელზე შემოხვეული გზების ხლართებს,
რომლებსაც ჩემამდე უნდა მოეყვანე
და ვერც ერთმა გზამ ვერ მოგიყვანა.
ათი ათასი კილომეტრით ჩემგან შორს,
სხვების გზებზე იდგამდი ფეხს
და გიყვარდა და ელოდი
და გძულდა
და იცოდი, რომ არც ერთი გზა არ იყო შენი
და მაინც დადიოდი,
სიარული რომ არ დაგვიწყებოდა...

და ათი ათასი კილომეტრით შენგან შორს
ვიბადებოდი
და ჩემი გამხდარხელება ბებო
დანაოჭებულ შუბლს წვიმის წვეთებს უშვერდა
და ღმერთს,
რომლისაც ყოველთვის შენზე და ჩემზე მეტად სჯეროდა,
შენი და ჩემი გზების ერთ გზად ქცევას სთხოვდა
და ღმერთმა შეისმინა მისი გამხდარი ხელების
და დანაოჭებული შუბლის
და მისი ხელებივით დანაოჭებული გზები,
რომლებიც წლების წინ უცხო ხელებმა გადაგვიგლიჯა,
– გაამთლიანა.
მე კი არ მჯეროდა, რომ გიყვარდი
და ვიდექი ჩემს გზებზე,
რომლებმაც შენამდე მომიყვანა,
ვიდექი ყურებში ხმაურით,
რომელიც თითქოს მარტო იმიტომ ჩამესმოდა,
რომ შენს დუმილს სამუდამოდ არ დავეყრუებინე
და მინდოდა მეთქვა –
ნუ შეგეშინდება ამ ხმაურის და ტკივილის,
რომელსაც ყოველ დღე ვსუნთქავ
და ჩემთან ერთად შენც სუნთქავ
და ნუ შეგეშინდება ჩემი ტირილის,
რომლითაც უკვე შენც ტირი
და ნუ შეგეშინდება ჩემი მარტოობის,
რომელიც შენც ჩემსავით შემოგეჩვია
და ნუ შეგეშინდება ჩემი დაკარგვის –
ყველა გზაზე, რომელიც არ უნდა აირჩიო
და ვისაც არ უნდა ეძებდე,
მე მიპოვი.
და ნუ შეგეშინდება ჩემი ერთგულების,
ის შენს ღალატზე საშიში არ არის
და ნუ შეგეშინდება ნისლისფერი სიზმრების,
ყოველ ღამე ჩემთან ერთად რომ ხედავ,
ნუ შეგეშინდება ჩვენი ჩახლართული,
ადგილ-ადგილ გადაგლეჯილი,
მაგრამ მაინც ერთიანი გზებისა,
ისინი ხომ მარტო იმას ნიშნავს, რომ მიყვარხარ.
სიყვარული კი,
რაც არ უნდა ძლიერი იყოს,
არასდროსაა საშიში.

ნათია კაპანაძე

•

იქუხე!.. წვიმის წვივ წვეთებში ჩატიე ფიქრი,
ფიქრი ვერანი და სათაყვანო
რომ ამ ტკივილებს თვალებში იყრი
და მაგ თვალებით დაგაქვს სამყარო.

იქუხე!.. რადგან ეგ ქუხილი ახლა შვებაა,
ყველა წუხილს მარტოობის აკრავს უღელი,
რომელიც უნდა აიძულო თავს და შეაბა,
სანამ მიხვდები, სანამ იგრძნობ, სანამ უშველი.

იქუხე!.. სანამ საკუთარი თავის მახეში
გაები, სანამ ლაბირინთებს ისევ გააგნებ,
სანამ მაგ ტანზე ცრუ იმედებს ჩამოგახევენ
იქუხე და თავს ვალმოხდილი ფიქრი გაანდე.

განაგრძე, ყოფის უეცარი ტანჯვით დატკბობა,
ვიდრე არსებობ, ვიდრე დუმხარ, ვიდრე არაკებს
ისმენ და დუმხარ. არა გჩვევია რადგან დათმობა,
რადგან არავინ აღარ გინდა, რადგან არაფერს

აღარ იჯერებ და ყველაფერი თავის ადგილს კვლავ
უბრუნდება, გზებიც მთავრდება... უკან ბრუნდები...
წრეზე დადიხარ, არ ტყუვდები მერე ადვილად,
არ ტყუვდები და ნაწილ-ნაწილ ცვდები, ხუნდები.

იქუხე!..

ქალამნები

შენი დაკოჟრილი თითები – დასისხლული წერტილებად...
ნაცნობი ლამფის მკრთალი შუქი... ჰაერი... ბილწი
ფიქრები...
როგორ ვერ ვიტან ყოველ ღამით შეღვიძებულზე
ასეთს გხედავდე. მერე, როცა აღარ იქნები,
გამოგიგონებ შიგადაშიგ და წყვეტილებად.

სივრცე... გარემო – არც თუ ისე კარგი, ბავშვობის
მოგონებები... ეზო... იქვე პატარა ზვინი –
ეზოს ბოლოში. ვენახები... თავლა... პირუტყვი...
და მოგონება ფერად ცხენზე – ჯერ იყო კვიცი,
მერე კი იქცა ოჯახისთვის წყაროდ არსობის.

მერე კი დიდხანს, ნაირ-ნაირს ქმნიდი ქალამნებს
და იდგა სახლში სუნი საჭმლის, სითბო და მშვიდი,
უცნაურად მშვიდი გარემო... იყო ამბები,
შენ არაფერს აღარ ამბობდი. ნარჩენებს გვიდი
და მე უეცრად საღარიას კვალი დავლანდე

იმ ნარჩენებში – უხეში და მოთეთრო ბეწვი.
მეჩვენებოდა, მერე, როცა ჰყიდდი ქალამნებს,
შენ მასთან ერთად შენი სულის ნაფლეთებს ჰყიდდი
და ნაწილ-ნაწილ შენი სული დიდხანს ატარეს...
და იყო იგი უსხივოსნო, უბედო, ბერწი.

შენ უკვე არ ხარ და, მგონია, რომ გულს ჩამიკლავს
შინ დაბრუნება... ძველ ლამფაზე მტვერი და ობი.
შენი ოთახი, ის გარემო, უძილო ღამე...
გამახსენდება, ამ ყველაფერს თუ როგორ ვგმობდი
და ქალამნები საწოლის ქვეშ, რომ არ ჩამიცვამს...

●

იმ გზაზე ოდეს, სადაც ახლა მარტო დავდივარ,
სადაც აჩრდილებს არ გავურბი, ვუყვები ამბებს,
რომ ყველაფერი სიცრუეა, ჩემგან გავდივარ
ვტოვებ საკუთარ (დაშლილ) სხეულს. ხელებს და თვალებს
გიტოვებ (ჩემგან) სამახსოვროდ. ხომ უნდა გქონდეს
რაიმე, ოდნავ ღირებული. ოდნავ სათუთი.
რასაც ვერასდროს (ვ)ელეოდი(თ), ვხმარობდით ღონეს
ყოველს, რომ ძეგლად ქცეულიყო ყოველი წუთი...

იქ, სადაც ოდნავ შორეული დღეები მოჩანს
დავდივარ მარტო, ფიქრებია გაუსაძლისი.
ქრიან ქარები. ყინვანარევ ვეხები ჩემს კანს

და მეკარგება უფრო თავი, ვიდრე ხალისი.
და არაფერი იქნებოდა, რომ არა სიტყვა,
სიტყვა – საწყისი ყველა რწმენის, ვით ოაზისი
და მწამდა იმის, რაც არასდროს იყო და ითქვა
და არასოდეს მიწამია, ვინც მყავდა მისი...

შენი თავისთვის ჩემი თავი უნდა დამეთმო!
მაგრამ არ ღირდა უღრან ტყეში ღრიალი ხეთა...
იყო სიკვდილი და სიცოცხლე მის წინ დაემხო,
მერე შენს გრძნობას უჩემობა ფიქრივით რევდა!

მე მაპატიე, რომ დღეს თუ ხვალ მაინც მივხვდები,
რომ დასაწყისი – დასასრულის არის სათავე,
რომ უშენოა ის გზა, რასაც ახლა მივყვები
და ყველა სიტყვა დავივიწყე, ყველა სადავე
გადმოგაბარე. უფრო ადრე უნდა გამეშვი!
თუმცა, დამაშვრალ ამ ჩემს სხეულს სურდა სამკვიდრო...
რამეთუ ჩემი სიყვარულის ხარ გილგამეში
და გული ჩემი მსურს, შენს გულში რომ დავამკვიდრო!

●

უფრო გშორდები,
ასე როცა გიახლოვდები.
სადაც თავია, იმას ბოლოც ექნება სადმე.
ცხოვრებას რაღაც ალგორითმით ვშიფრავ და ვხაზავ
და სანამ წერტილს დავუსვამდე, მძიმეებს ვაჩვევ.

უფრო გშორდები,
როცა თვალებს აღარ გარიდებ
და გარინდებით, როცა სუნთქვის სიხშირეს გითვლი,
სანამ თითებზე მეფერები, სანამ ლავიწზე
ადგილს უპოვნი ამოსუნთქვას და დამშვიდდები.

უფრო გშორდები,
როცა ასე რთულია ყოფნა,
როცა შენს ღიმილს ირეკლავენ ჩემი თვალები.
მერე მივდივარ. მივდივარ და გიტოვებ მოსვლას.
რაც უფრო მეტად მიყვარდები – უფრო გშორდები...

ალექსანდრე მიშელაშვილი

სანთელი ჯოჯოხეთში

რა ჯოჯოხეთი შეაშინებს,
უფალო, იმ კაცს?!
მომაკვდავმა რომ
ჩაიბუტბუტა:
„ზოგი სიზმრისთვის
მადლობელი ვარ!“

ორი კვირაა სძინავს შაველოს, ორი კვირაა სიზმარში ცხოვრობს. მხოლოდღა ღამით გამოიფხიზლებს, პურ-ღვინოს მიიღებს და ისევ ძილს შეიბრუნებს.

ერთ ღამაზ სოფელში ცხოვრობს შაველო... ახლა ადრე გაზაფხულია – მიწა იხვნება, გუთანს ისე მისდევენ უკან გუთნისდედა ჩიტები, ისე ყურადღებით აკვირდებიან ყოველი ბელტის გადაბრუნებას, თითქოს მიწაში ჩამარხული განძი დაეკარგოთ. ამ მინდორს რომ უყურებთ, მიწის ქვეშ ყვავილთა უთვალავი ჯარი იცდის მიწის ზემოთ ამოხედვა მათგან ტანად ყველაზე სუსტ ენძელებს გაუბედავთ მხოლოდ. გაუბედავ კაცს ხომ ჩვენთანაც ყველგან აგვიანდება?!

ახალგაზრდა კაცია შაველო – დედის იმედად დარჩენილი, მამა კი მის დაბადებამდე მოეკლათ. ეს ამბავი ასე მოხდა:

სოფლის ზემოთ საორბე სერი რომ მოსდევს, სათიბი ადგილი ვერ გაეყო მეზობელთან; უბრალო შელაპარაკებას ხელჩართული ბრძოლა მოჰყოლია; მთელი სოფელი თავზე დასდგომოდათ. თავიდან თითქოს უცდიათ გაშველება, მაგრამ მერე ხელები ჯიბეებში ჩაუწყვიათ და, გეგონება, მამლების ძიძგილს უყურებენო, ისე მისჩერებიან სანახაობას. გულში იქნებ ფიქრობდნენ კიდეც – ერთმანეთიც დაგიხოციათ, სათიბი იქნებ ჩვენ დაგვრჩესო.

ბაჭუას შაველოს მამის მოკვლა გულშიც არ გაუვლია; უბრალოდ გული ჰქონდა თურმე მოსული და ახალგაზრდა კაცის სიფიცხით შებმია ხელჩართულ ბრძოლაში, მაგრამ თევდორეს

წაქცევისას ქვისთვის ისე ძლიერად დაურტყამს თავი, რომ ტვინი მიუნთხევია ზედ.

ბაჭუა ერთ ხანს გაშეშებული ყოფილა, მერე კი, როცა ყველაფერი გაუაზრებია, როცა ხალხი და ფეხმძიმე ცოლი თევდორეს ცხედარს შემოხვევია, იქვე, საყორნე უფსკრულისკენ ისე დაძრულა, ყურადღებაც არავის მიუქცევია... ჯერ ნელი ნაბიჯით მიდიოდა თურმე, მერე ნაბიჯს მოუმატა და თითქმის სირბილით, ისე, რომ უკან არც მოუხედავს, ქარაფიდან გადაშვებულა. ყველაზე მთავარი კი იმ წელს მომხდარა – მთელი ეს სადავო მიწა ხანგრძლივი წვიმების შემდეგ მეწყერს წამოუღია და იმ საყორნე უფსკრულში ჩაუტანია, სადაც ბაჭუა გადაეშვა.

ობლად გაიზარდა შაველო... მისი დაბადება იმ ყვავილის დაბადებას ჰგავდა, მარტის მზე რომ ამოიტყუებს და ამოსვლისთანავე ყინვა და თოვლი დაატყდება თავს.

საშინლად უჭირდა ოჯახს. ამ გაჭირვებაში დავაჟკაცდა შაველო – ოჯახს სარჩოც გაუჩინა და, ალბათ, ბედნიერიც იყო, სანამ მის ცხოვრებაში რამდენიმე ამბავი არ მოხდა.

ძაღლი გაზარდა შაველომ. საკუთარი ოჯახის წევრივით უყვარდა; ძაღლმაც ერთგულად შეიყვარა პატრონი და ერთ ზამთარს, როცა მეზობელი სოფლიდან საკმაოდ მთვრალი შაველო სახლში გამოისტუმრეს, ძაღლის მეტს არც არავის გახსენებია მისი სახლამდე მიცილება.

დიდი ტყე იყო გზად გასავლელი. ასეთ ზამთრის ტყეს შაშვებიც კი მიატოვებენ, სოფელში გადაინაცვლებენ, კაცს მიუახლოვდებიან, რომ იქ მაინც იშოვონ საკვები.

დიდი მოთმენით დგანან მთის წვერზე ამოსულები ხეები. მალი-მალ თვალს ჭალისაკენ გააპარებენ, იციან, რომ იქიდან უნდა მოვიდეს გაზაფხული; ჯერ ჭალის ხეები უნდა აყვავდნენ. მათ ფესვებთან დაბადებულ მდინარეს აბარებენ ამბის მოტანას, მაგრამ მდინარეს დანაბარები მხოლოდ მიაქვს, უკან კი არასდროს არაფერი მოუტანია.

ძალიან მოერია სასმელი შაველოს. ტყეში ერთ წიფელს თოვლი მოუქექა, ჩამოუჯდა და თავი მიადო. ალბათ, დაიძინებდა კიდეც, მაგრამ ამ დროს ძაღლმა ყურები დაცქვიტა და თოვლზე ფეხის ხმა გაიგონა – ბნელი ღამიდან ცოფიანი მგლის ორმა თვალმა გამოანათა. მგელი არც კი დაყოვნებულა, პირდაპირ თავდასხმაზე გადმოვიდა, მაგრამ ბუღარა სიმთვრალისგან ძალა გამოცლილ პატრონს, რომელიც ჯერ ვერც გარკვეულიყო, რა ხდებოდა, წინ გადაეფარა.

დიდხანს იბრძოლეს ძაღმა და მგელმა... ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა ბუღარამ მგლის ყელის დაჭერა და დახრჩობის მერეც აღარ უშვებდა პირს, ფერთხავდა მგელს სისხლიან თოვლზე. სწორედ ამ დროს მიაგნო შაველოს დედამ, შვილს გვერდში შეუდგა და სახლისკენ გაუძღვა.

ბუღარა მხოლოდ მეორე დღეს მოიკითხეს. ბევრი არაფერი სჭირდა. ნაშიმშილარი, დასუსტებული მგლის დახრჩობა მაინცდამაინც არ გასჭირვებოდა, მაგრამ მგელს მოესწრო და რამდენგანმე მაინც გაეკრა მისთვის კბილი. ძაღლს გადაუდებელი დახმარება ესაჭიროებოდა, მაგრამ ყურადღება არც კი მიაქციეს ანდა, საიდან მიხვდებოდნენ, რომ მგელი ცოფიანი იყო?! – გაილოკავს და მოურჩებაო... და მიატოვეს ბუღარა მგელზე უფრო საშიშ დაავადებასთან. პირველ დღეებში კარგად იყო, მაგრამ მერე დაავადება რომ მოერია, აგრესიული გახდა – უმიზეზოდ იწევდა ყველას დასაგლეჯად. გამოიყვანა შაველომ, ჰკრა თოფი და მოკლა.

რამდენიმე თვე მდუმარედ იყო შაველო, შემდეგ კი უცებ ყველაფერი შეიცვალა – ბედისა გაიცნო და სიგი-

ჟემდე შეუყვარდა. ბედისასაც უყვარდა შაველო და ისეთი განცდა ჰქონდა ბიჭს, თითქოს ბედი აქამდე გამოვლილი სიდუხჭირისთვის სამაგიეროს უხდიდა და დიდ ბედნიერებას ჰპირდებოდა. ეს ბედნიერება იქამდე გაგრძელდა, სანამ ერთ დღისით ბედისა არ გამოუტყდა შაველოს, რომ, ვიდრე მისი სიყვარული შეეყრებოდა, სხვა უყვარდა, მან კი ბედისას სიყვარულით ბოროტად ისარგებლა, მისი უბიწოება შებღალა და გაუჩინარდა.

ახლად აყვავებულ ხეს რომ ქარიშხალი დაატყდება და ერთი ყვავილსაც აღარ შეარჩენს ზედ, ისე იდგა შაველო; მერე მთელი თვე სახლში ჩაიკეტა. ფიქრობდა, ყველაფერი დაევიწყებინა, მაგრამ გული ბედისასკენ გაუწევდა თუ არა, აეშლებოდა თავში ფიქრები, თითქოს ბზიკებით სავსე ფუღუროში შეეყო თავი. იმის გაფიქრებაც კი, რომ ბედისა ვიღაცას კოცნიდა, ვიღაცას ეფერებოდა, სიკვდილის ტოლფასი იყო და ეს ფიქრები ისე გასჯდომოდა ტვინში, როგორც სიკვდილზე ფიქრი სიმსივნით დაავადებულ ახალგაზრდას.

გული ვეღარაფერს დაუდო... გალიაში მყოფი ჩიტის გალობაც ცუდად ხდიდა და ერთ დილითაც გალიის კარი გაუღო... ჩიტი ერთ ხანს გაუნძრევლად იჯდა, მერე კამარა შეკრა, გალიიდან გამოიჭრა და ცაში გაუჩინარდა. ალბათ, არც არასდროს აღარ გაახსენდებოდა ჩიტი შაველოს, მაგრამ ორი დღის შემდეგ, დილით რომ გაიღვიძა, ნახა, ჩიტი ღია გალიაში თავადვე შეფრენილიყო და თითქოს ევედრებოდა შაველოს, ოღონდაც ეს კარი მომიხურე, თორემ ქვეყნად იმდენი ცოდვა-ბრალი ვნახე, ასეთ თავისუფლებას ისევ ეს გალია მირჩევნიაო.

ჩიტის საქციელმა დააფიქრა შაველო. ამას ისიც დაერთო, რომ ყოველ ღამით სიზმრებს ხედავდა, სადაც ბედისასთან ხელჩაჭიდებული უთვალავი ყვავილით მორთულ მინდორზე მიაბიჯებდა, გვერდით კი ბუღარა მისდევდათ პეპლებთან თამაშით.

სამოთხე სიზმარია, ლამაზი სიზმარი... ჯოჯოხეთიც სიზმარია – კოშმარული სიზმარი. რაც სულში გიდევს, სიზმარში ხომ ის გესიზმრება?! ჰოდა, სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა მარადიული სიზმარი.

ამ ჩიტივით გაექცა შაველო ამქვეყნიურ ცოდვა-ბრალს, სიზმრის გალიაში შეიკეტა და, როგორც ჩიტი ითხოვდა იმ კარის მოხურვას, ისე ნატრობდა, რომ არც არასდროს გამოფხიზლებულიყო.

თავიდან ექიმიც მოუყვანეს, მაგრამ აბა, ჯანმრთელი კაცისთვის რა დიაგნოზი უნდა დაესვა?!

სოფელში ყველას შაველოს ამბავი ეკერა პირზე... ზოგს ღიმილს ჰგვრიდა, ზოგმა „სიზმარაც“ დაარქვა; სოფლის მღვდელმა კი, როცა მძინარე შაველო მოინახულა, რომელსაც, სიზმარში წასულს, ბედნიერების ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე, როგორც ყვავილი გაზაფხულს და შაველოს დედამაც ყველაფერი უამბო, მხოლოდ ერთი წინადადება წაიბუტბუტა: ეს კაცი, როგორც სანთელი ჯოჯოხეთში, ისეა ამ ქვეყანაზეო.

ჯოჯოხეთში სალოცავად ანთებულ სანთელს რა უნდაო, ალბათ, ბევრი იტყვის, მაგრამ:

სანთელი, ალბათ, ჯოჯოხეთში
სამოთხეზე მეტი ანთია,
სანამ სჭირდება, კაცი ღმერთზეც
მანამ ლოცულობს.

შაველოს დედა მალევე გარდაიცვალა. ერთნი ამბობდნენ: მძინარეს ცრემლი ჩამოუგორდა თვალიდან, რამდენიმე დღე ბედნიერების ღიმილიც წაერთვაო, მაგრამ მერე, ალბათ, დედაც სიზმარში დაიგულა და... სიზმარში ხომ ყველაფერი ადვილია?! თითქოს დედა და ბედისა ერთად ეფერებოდნენ სახეზე, ისევ ღიმილი დაუბრუნდა.

სოფელში ამბობდნენ: დედის სიკვდილის მერე ბედისა უწყობს ყოველ

ღამე პურსა და ღვინოს სასთუმალთანო.

ერთ დღეს კი, როცა სოფელმა შაველოს სიყვარულის ბოლომდე ერთგული, მარტოობით გალეული ბედისა მიაბარა მიწას, მეორე დღეს საფლავზე მისულთ საკვირველი სურათი დაუხვდათ – შაველოს მთელი ღამე ეთხარა მიწა, ბედისას საფლავის გვერდით მეორე საფლავი გაეთხარა, შიგ ჩაწოლილიყო, გვერდით ჩიტის გალია მოედგა... იწვა ასე და ეძინა. საშინელი შესახედი იყო გძელ თმა-წვერში, მაგრამ სახეზე ისეთი ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა, ზოგმა მისი ბედიც კი ინატრა.

დიდხანს იფიქრეს, რა მოეხერხებინათ. ერთნი ამბობდნენ, ისევ სახლში

გადავიყვანოთო, ზოგმა – ასევე დავტოვოთო, თუმცა მათ შორის ისეთებიც ბევრნი ერივნენ, მიწას რომ სიამოვნებით მიაყრიდნენ.

ბოლოს ისევე დატოვეს, როგორც იყო და სახლებში დაბრუნდენ.

საღამოს კი ერთმანეთისგან ჩუმად, თითქმის ყველა ოჯახიდან გამოვიდა სასაფლაოსკენ წამსვლელი კაცი პურით და ღვინით ხელში. შაველოს სასთუმალთან ერთმანეთს ისე შესცქეროდნენ, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

კაცი ხომ ასეა მოწყობილი – თემის დასანახავად შეიძლება გაგკიცხოს კიდეც, მაგრამ გულში შენი საქციელი მაინც მოსწონდეს.

მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა... პატარა ნაკადულები დიდ მდინარეებად ქცეულიყვნენ. არემარე ერთიანად დაეფარათ მოგლეჯილი ხეებით, რომლებიც ზღვისკენ მიჰქონდათ.

იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა. ნელა დაიწყო შაველოს სასთუმალმა ფიფქებით ამოვსება, მერე უმატა, დილამდე კი ისე გადაავსო, იქ თუ ოდესმე მიწა იყო გათხრილი, ვერც ვერავინ წარმოიდგენდა. მიწის ნაცვლად, რომელიც სოფელმა ვერ მიაყარა, თითქოს ციდან დედამ და ბედისამ ითავეს მისი დაკრძალვა, თითქოს მუჭიდან, მიწის მაგივრად, ფიფქი სცვიოდათ და გულზე იქამდე ეყრებოდა შაველოს, ვიდრე საფლავი მთლიანად არ ამოივსო.

გაზაფხულამდე არც არავის გახსენებია, გაზაფხულზე კი, როცა თოვლი მთლიანად გადნა, თოვლქვეშ უხრწნელად შენახული სიზმრისკაცი და ღია გალიაში მკვდარი ჩიტი დახვდათ.

ჯოჯოხეთის სანთელი ჩაქრაო, – თქვა მღვდელმა და პანაშვიდი გადაუხადა, სოფელი კი მიწას აყრიდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა: ეს ჩიტი მაინც რატომ არ გამოფრინდა ამ ღია გალიიდანო.

ბევრმა გაზაფხულმა ჩაიარა... ბაჭუ-

ას შვილმა ორი მუხა დარგო შაველოს და ბედისას საფლავზე. მუხებსაც შაველო და ბედისა დაარქვა. შაველო დიდი გაიზარდა, ტოტებგანიერი, ბედისა – შედარებით მომცრო; ტოტები ერთმანეთში ჰქონდათ გადაჯაჭვული.

მათი შემხედვარე სოფელი ფიქრობდა, ხეები უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე ადამიანებიო.

გადიოდა ათწლეულები და აბა, ან რა გაახმობდათ?! – ერთ დღეს რომ მათი ჩრდილის ქვეშ ბედისას პირველი სიყვარულის შემზარავი ისტორია არ განმეორებულიყო...

ადამიანობისას დაკარგული – ხეებმა იპოვეს, მაგრამ ისევ კაცმა წაართვათ.

ჩიტი ანგელოზის ფრთებით

თოვს... თითქოს ღრუბლებზე ამოსულ ბაბუაწვერებს ქარმა მთელი ძალით დაჰქროლა და დედამიწას გადმოაბნიაო.

პირველი თოვლია ამ ადრიან შემოდგომაზე – ბავშვის სულივით სუფთა და გაურყვნელი. – ალბათ, სწორედ ასე გაიფიქრა აბდიამ და ამ ანგელოზის ცრემლივით სუფთა თოვლზე ფეხის დადგმა ეუხერხულა.

ტყეშია აბდია წამოსული, ფიჩხის და ნაყარი შეშის შესაგროვებლად; ნედლ ხეს კი აბა, როგორ მოჭრიდა კაცი, რომელსაც პირველ თოვლზე ფეხის დადგმაც ეუხერხულებოდა.

ღმერთს ამქვეყნად თუკი რამ შეუქმნია – ყველაზე იდუმალი, ყველაზე მშვიდი, ტკივილების უხმოდ ამტანი, თითქმის ყველასგან მიტოვებული, ზამთრის უღრანი ტყეა, ალბათ... ჩიტები რომ გადაუფრინდნენ, ცხოველებმა კი ზამთრის ძილს მიაშურეს. დგანან ხეები და ერთადერთი კვნესა მაშინ აღმოხდებათ, როცა ძლიერი ქარი მიტოვებულ ბუდეს გასტაცებთ, თითქოს ძვირფასი სახსოვარი წაართვათო ვინმემ.

დაიწყო აბდიამ ფიჩხის შეგროვება და უცებ რაღაც ხმა შემოესმა: ჩიტი გალობდა მთელი გატაცებით, სევდიანად. ძალიან გაუკვირდა აბდიას – ახლა ხომ ყველა ჩიტი უკვე გადაფრენილი უნდა იყოსო თბილ ქვეყნებში. მხოლოდ შაშვები, ჩხიკვები და ყვავები თუ შემორჩებიან ხოლმე ზამთარს, ისინიც სოფელთან ახლოს იდებენო ბინას.

მიუახლოვდა ჩიტს აბდია და გაქვავდა. მის წინ, ასკილის პატარა ბუჩქზე, უფრთო ჩიტი ამძვრალიყო, თვალები დაეხუჭა და, თითქოს სიკვდილს სიმღერით ეგებებაო, გარინდულიყო.

ფრთხილად მიუახლოვდა აბდია ჩიტს, ერთი მოძრაობით მუჭში მოიქცია, მკერდზე მიიკრა და მოეფერა.

ჩიტი შეფრთხა, გათავისუფლება სცადა, მაგრამ, მიხვდა, აბდია არაფერს დაუშავებდა და დანებდა.

მოჰყავს აბდიას ჩიტი სახლისკენ, მოჰყავს და ფიქრობს: რადაც არ უნდა დაუჯდეს, ჩიტს ფრთები უნდა დაუბრუნოს. უფრთო ჩიტი ხომ ოცნებაწართმეულ კაცს ჰგავს, უოცნებო კაცი კი განწირულია მარადიული ტანჯვისთვის. აუცილებლად დაუბრუნებს აბდია ჩიტს ფრთებს, აუცილებლად აუსრულებს ფრენის ოცნებას.

გუბეში არეკლილი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჰგავს ზოგიერთი ადამიანის სული – შორიდან უჩვეულოდ მიგიზიდავს, გგონია, რომ რაღაც განძი აღმოაჩინე, მაგრამ, საკმარისია, გუბე აიმღვრას, რომ ვარსკვლავები მაშინვე გაქრებიან, შენ კი სიმყრალის სუნი შეგაწუხებს... მაგრამ აბდია სულ სხვა იყო, ყოველგვარი ილუზიის გარეშე, მზე ჰყავდა სულში ჩაბუდებული... მზე, რომელსაც ყველა სულდგმულს უნაწილებდა.

დაბრუნდა აბდია სახლში, ხმა არ გაუცია ცოლ-შვილისთვის, დასვა ჩიტი ბუხართან და დაიწყო ფიქრი მისთვის ფრთების დაბრუნებაზე.

სამი დღე ფიქრობდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა, ბოლოს ისევე ცოლმა ურჩია, სოფლის ბოლოში მცხოვრებ

დედაბერთან მისულიყო და მისთვის ეთხოვა რჩევა.

ასეც მოიქცა აბდია – დედაბერს ესტუმრა, ყველაფერი აუხსნა და პასუხს დაელოდა.

დედაბერმა დინჯად დაიწყო: – ჩიტს მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზის ბუმბული თუ უშველისო.

დაღონდა აბდია. სად იშოვოს ანგელოზის ბუმბული? რა წყალში ჩავარდეს? მაგრამ ისევე დედაბერმა გამოაფხიზლა: – ამ მთების იქით, კლდოვან ჭიუხებში, დიდი ხნის წინათ ღრუბლის ბუდიდან ანგელოზებს ერთი ბარტყი გადმოუვარდათ. ბარტყი თეთრმა შუნებმა გაზარდეს და იქვე დაიდო ბინა კლდის ანგელოზად, მთაში მიმავალთა და მონადირეთა მფარველადო.

იმ დღიდანვე დაიწყო სამზადისი აბდიამ მთაში წასასვლელად, მეორე დღეს კი, დილაუთენია დაადგა მთების ვიწრო ბილიკს. მიდის და ფიქრობს: „რა უნდა უთხრას ანგელოზს? როგორ დაუჯერებს, რომ ბუმბული მართლა ჩიტისთვის უნდა? განა შეიძლება, ადამიანი ერთი უბრალო ჩიტისთვის ასე გაისარჯოს?.. მაგრამ მტკიცედ სჯერა კლდის კეთილი ანგელოზისა. განა ანგელოზები ვერ ხედავენ ადამიანთა სულებს? ნუთუ კლდის ამგელოზი ვერ დაინახავს აბდიას სულში ჩამწყვდეულ მზეს?

აიარა მაღალი მთები... მიადგა კლდოვან მწვერვალებს, რომლებიც ისე იკარგებოდნენ ღრუბლებს ზემოთ, თითქოს აისბერგებივით მიცურავდნენ ცის სილურჯეში.

კლდის ეხში ცხოვრობს ანგელოზი... უახლოვდება აბდია და თან ფეხები უკან რჩება. ხუმრობა ხომ არ არის, ანგელოზი იხილოს კაცმა. სულ სხვანაირი რიდი აქვს აბდიას ანგელოზისა.

შევიდა კლდის ეხში აბდია, მაგრამ არავინ დახვდა. დაჯდა და დაიწყო ლოდინი. სჯერა, რომ ანგელოზი უთუოდ მოფრინდება.

დაანთო სანთლები კლდის ფხაზე და დაიწყო ლოცვა.

საკუთარი თავისთვის ლოცვა თუ მართლა მთებს ძრავს, მაშინ ჩიტისთვის წაკითხული გულწრფელი ლოცვა ანგელოზს როგორ არ მოიყვანდა მლოცველის გულთან.

მართლაც მოფრინდა ანგელოზი, მოფრინდა და თან ზეციური ბრწყინვალება მოიყოლა.

კანკალით აუხსნა აბდიამ ყველაფერი, აუხსნა და თავჩაღუნული, შიშითა და მოკრძალებით ელოდა პასუხს.

სიტყვაძუნწი აღმოჩნდა ანგელოზი. მოიღუშა, ჩაფიქრდა... დიდხანს ფიქრობდა. ბოლოს სიფრთხილით გამოიძრო ფრთიდან ბუმბული, აბდიას გაუწოდა და ჩურჩულით უთხრა: მეორედ ნუღარ ჩაერევი ღმერთის საქმეში, ამ ჩემი ფრთებით ჩიტს თუ რამე დაემართება, მეც უსათუოდ დაღუპვა მელისო.

მოდის აბდია, მოდის სახლისკენ, მაგრამ სულაც არ ჰგავს იმ ადამიანს, რომელსაც სიხარული მოაქვს... მძიმე ნაბიჯით, ჩაფიქრებული მოდის სახლისკენ; მოდის და ყურში ანგელოზის სიტყვები ჩაესმის: „მეორედ აღარ ჩაერიო ღმერთის საქმეში!“ განა ღმერთს არ სურდა კეთილი საქმე?! განა ღმერთს არ გაახარებდა, ჩიტს რომ ფრენა შესძლებოდა?! მოდის და უამრავი კითხვა უტრიალებს.

ანგელოზებზე ფიქრობს აბდია, ფიქრობს, სად მიდიან ჩვენი მფარველი ანგელოზები ჩვენი სიკვდილის შემდეგ, იქნებ სულეთშიც თან მოგვდევენ და არ გვტოვებენ?!

უცებ დედა გაახსენდა აბდიას, გაახსენდა და ტკივილიანმა სითბომ დაუარა მთელ ტანში. დედაზე დიდი მფარველი ანგელოზი, არასდროს ჰყოლია ცხოვრებაში.

როგორც იქნა, სახლამდე მიაღწია, მაგრამ ორჭოფობს – ანგელოზის სიტყვები ახსენდება. ბოლოს მაინც გადაწ-

ყვიტა... მძინარე ჩიტთან მივიდა, ანგელოზის ბუმბული ფრთების ადგილას შეახო და მართლაც მოხდა სასწაული – ჩიტს ფრთები ამოუვიდა!

საოცრება იყო ჩიტის გამოღვიძება. განა არსებობს ამაზე დიდი სიხარული?! ეს იგივეა, ბრმას რომ ნათელი დაუბრუნდეს, ინვალიდის სავარძელში მყოფს – მუხლებში ძალა.

შეაფრთხიალა ჩიტუნამ ფრთები, მაგრამ ღამეა გარეთ უკვე, ვერ გაფრინდება. ვინ გაიგებს, როგორ ელოდებოდა ჩიტი გათენებას?! უშვილო ქალს რომ დიდი ხნის შემდეგ ყრმა ჩაესახება და მის დაბადებას ელიან მშობლები, ასე ელოდა ჩიტუნაც გათენებას.

გათენდა დილა... გამოიყვანა აბდიამ ჩიტი, შეაფრთხიალა ჰაერში... ისიც აიჭრა, ერთ ხანს ასე მიდიოდა... ავიდა ღრუბლებამდის, მერე უცებ მოწყდა, წამოვიდა დაბლა, აბდიას მხარზე დასკუპდა და, მადლობის ნიშნად, ნისკარტი ლოყაზე მოულამუნა.

იცის ჩიტმა, რაც გააკეთა მისთვის აბდიამ. ისიც კარგად იცის, ანგელოზის სიცოცხლე რომ მას აბარია, მაგრამ უნდა გაფრინდეს, უსათუოდ უნდა ჩავიდეს თბილ ქვეყნებამდე.

მთელი ზამთარი უგუნებოდ გაატარა აბდიამ. ყოველ ღამით ესიზმრებოდა ჩიტი, ესიზმრებოდა, როგორ მიაპობდა ცას ოკიანის თავზე, ქარიშხალში, თავსხმა წვიმაში.

ასეა – ზოგჯერ დიდი სიკეთის კეთებას დიდი პასუხისმგებლობაც მოსდევს.

მოვიდა გაზაფხულიც... დაიწყეს ჩიტებმა დაბრუნება. გამოჩნდნენ მერცხლები, აბდიას ჩიტი კი არა და არ ჩანდა.

ნუთუ დაიღუპა?! ნუთუ სადმე, ოკიანის ფსკერზე განისვენებს ჩიტის პაწია სხეული?! არ ასვენებდა აბდიას ფიქრი და რამდენჯერმე კლდის ანგელოზთან წასვლაც გადაწყვიტა, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა. ვაიდა აღარ დახვდეს ანგელოზი, ეს ხომ მისი ბრალი იქნება!

ერთ დღესაც, ფიქრში წასული, ჩვეულებრივად იჯდა ბუხართან, რომ უცებ რაღაც ხმამ ზეზე წამოაგდო. ეს ის ხმაა, ის ხმაა, რომელიც პირველად მოისმინა ტყეში, ჩიტთან პირველად შეხვედრისას. გარეთ გაიჭრა და, ის იყო, მესერზე შემომჯდარი ჩიტისკენ დააპირა წასვლა, რომ იხუვლა შურდულმა და მომაკვდავი ჩიტი მიწას დაენარცხა, მეზობლის პატარა ბიჭი კი გახარებული გამოიჭრა მის ასაღებად.

თავბრუ დაეხვა აბდიას, როგორღაც დაასწრო ბიჭს და ჩიტი ხელში აიყვანა. მომაკვდავის სუნთქვით ფეთქავდა ჩიტი, პატარა ბიჭიც მიხვდა, რომ რაღაც ძალიან დიდი დააშავა და ფეხებთან აეტუზა აბდიას.

ერთ ხანს უცქირა ცრემლმორეულმა მომაკვდავ ჩიტს, მერე იქვე, ბუერის ფოთლებზე დაასვენა, თვითონ კი მთელი ძალით მოკურცხლა მთებისკენ.

უნდა მიასწროს ანგელოზს სიკვდილამდე, აუცილებლად უნდა სთხოვოს პატიება.

ველარ მიუსწრო ანგელოზს აბდიამ, უკვე ამაღლებულიყო მარადიულ სასუფეველში.

ალბათ, უფლის გვერდით იჯდა და კარგად ხედავდა აბდიას სინდისის ქენჯნას, აბდიასი, რომელსაც უამრავი კითხვა დაუტოვა უპასუხოდ.

ვის მოეკითხებოდა ცათა სასუფეველში ანგელოზის სიკვდილი? აბდიას, რომელმაც იცოდა, რომ საფრთხეში აგდებდა და მაინც გამოართვა ბუმბული, თუ პატარა, უცოდველ ბიჭს, რომელმაც პირველად ისროლა შურდული პატარა ჩიტისკენ?!

ყოველთვის ასეა... ადამიანები, როგორც კი რაიმე უსამართლობას და ცოდვა-ბრალს წავაწყდებით, უფლის განკითხვას ვიწყებთ, ამ დროს კი გვავიწყდება, რომ ღმერთობაც იქამდეა ადვილი, სანამ მონადირე ხორცს გთხოვს მშიერი ცოლ-შვილისთვის, ირემი კი – სიცოცხლეს.

ოლანი ბიწაძე

ნარინჯისფერი

გზაზე ნარინჯისფერი ბურთი მოულოდნელად გამოჩნდა. დამუხრუჭება ჩემი ძლიერი მხარე არასდროს ყოფილა. მია სულ მეუბნება ხოლმე, მოვლენებზე სწრაფად ვერ რეაგირებო. მართალია...

მე და სანდრო მანქანიდან გადმოვედით. ქარმა სახე და ხელები მაშინვე ამიწვა.

ჯერ მანქანა დავათვალიერე, ხომ არაფერი დაუზიანდა-მეთქი, მაგრამ ბურთს ამხელა მანქანისთვის რა უნდა ექნა?! სხვა, ჩემ ადგილას, არც გაჩერდებოდა.

სანდრო უკვე მანქანაში მეგულებოდა, როცა მისი ხმა გავიგონე:

– კოტე, აქ მოდი! – ჩვეულებრივი ხმა ჰქონდა. გაჩერებული მანქანის უკან, რამდენიმე სანტიმეტრის იქით იდგა და გზაზე რაღაცას უყურებდა. მისკენ წავედი.

– ბურთი არა, ჩემი ფეხები! – მხარზე ხელი წამკრა და ახითხითდა. მერე ჩემი ეჭვები დაადასტურა:

– კატაა, შე ჩემა!..

მიას ბინაში ძალიან ბევრი სურათი აქვს. უმრავლესობაზე თვითონაა. ყველა კედლიდან იყურება და იღიმის. მაშინაც იღიმის, როცა მე და სანდრო მასთან სტუმრად მივდივართ და ბინაში შესვლისას ფეხსაცმლის გაწმენდა გვავიწყდება. იატაკზე ჩვენი ნაფეხურებია.

– უკვე ჩამოხვედით? – სარკაზმია. ორი საათი დაგვაგვიანდა ბათუმიდან თბილისში ჩამოსვლა. ჯერ სანდრომ შუა გზაზე სადღაც ჭამა მოინდომა, მერე ის ნარინჯისფერი ბურთი... რაღა ბურთი, კატა.

– მომენატრე! – ვეხუტები მიას... თმაზე ფორთოხლის სუნი აქვს... თმაც ფორთოხლისფერი აქვს... შეუღებავს...

სავარძლებზე ვსხდებით. მია ჩემ გვერდით, სანდრო – წინ. რაღაცებს ვყვებით... ყვებიან... მე მგონი, სახეზე ღიმილშეყინული ვზივარ. თვალწინ სანდრო მიდგას, რომელმაც მკვდარი კატა გზიდან ჯოხით გადაათრია. ახლა მართლა ბურთივითაო, ეცინებოდა.

– ჰეი, რამ გამოგაშტერა? – მიყვირის სანდრო. მგონი, ხელები არც დაუბანია. კატას არ შეხებია, მაგრამ ჯოხით ხომ გადაათრია.

– ააა, არაფერი, – თავი გავაქნიე. – რას ამბობდი? – სანდრო დამაკვირდა.

– ვიცი, შენ რაც გჭირს! – საკუთარი ცოდნით ასეთი გახარებული არასდროს ყოფილა. მერე მიას შეხედა. – იცი, ამან რა ქნა? – მია თავაზიანად უღიმის და ანიშნებს, მითხარიო. ვგრძნობ, ზურგი გამიოფლიანდა. ახლა ადგომას და ტუალეტში შესვლას აზრი არ აქვს. სანდროს ვეღარ ვხედავ. მხოლოდ მესმის:

– ამ შტერმა გზაზე უზარმაზარი კატა გაიტანა. – მისი სიცილი იმდენად გამაღიზიანებელია, მანქანით კი არა, ტანკით გადავუვლიდი ამ წამს.

გვერდიდან მიას მზერას ვგრძნობ, მერე მისი კითხვა მესმის, გაფუჭებული ფირფიტის მსგავსად.

– მოკვდა, ხო? – არადა, მხოლოდ ერთხელ იკითხა.

გონებაში კითხვა მანამ მესმის, სანამ ვიღარც არ უპასუხებს ჩემი ხმით:

– მოკვდა!

სანდრო მთელი ეს დრო იცინოდა, მერე ჩვენი სერიოზული სახეები რომ შეამჩნია, გაჩუმდა.

– მოიცათ, მეღადავებით? – რიგრიგობით გვიყურებს. – რამ დაგალენ-ჩათ?კაცი ხო არ მოგიკლავს?! ერთი გასიებული კატა იყო. ეტყობა, მაგიტო ვერ გაგასწრო... – ისევ იცინის. მე და მია კი ჩუმად ვართ. სანდროს ხმას არც ერთი ვცემთ. როდემდე გავუძლებთ, წარმოდგენა არ მაქვს. მომეჩვენა, თითქოს ყველაზე აუტანელი წუთები იყო. არადა, ყველაფერი მერე უფრო გართულდა, სანდრო რომ წავიდა. მია მის ადგილზე გადავჯდა.

პირისპირ ვისხედით.

დიდხანს...

– თუ დამარხეთ მაინც? – მკითხა მუხლებზე ხელებდაწყობილმა მიამ. ასე მაშინ ზის ხოლმე, როცა არასასიამოვნო დიალოგის მონაწილეა. მინახავს ასე ლექტორების, თავისი მშობლების, ერთი-ორი ვითომ „დაქალის“, სანდროს წინაშეც. ახლა ჩემ წინ ვხედავ.

– კი, როგორ არა, – ვამბობ ინსტინქტურად. ნეტავ, თუ ხვდება, რომ ვატყუებ. ვერ მიხვდებოდეს, რა იქნება.

– გზაზე კატა როგორ ვერ დაინახე? – პატარა ბავშვივით მტუქსავს. რაღაცის თქმა მინდა, თუმცა გაჩუმებას ვარჩევ. – შენი აზრით, უპატრონო იყო?

ისევ ჩუმად ვარ.

– კოტეე, მიპასუხე!

– არა მგონია. უპატრონო კატები ხომ ძალიან გამხდრები არიან. – იმის გაცნობიერებამ რომ უბრალოდ კატა კი არ მოვკალი, არამედ ვიღაცას მოვუკალი

კატა, უფრო ცუდად გამხადა. ალბათ სახეზე ყველაფერი მეწერა. მია ჩემთან მოვიდა და მხარზე თავი დამადო.

– მაინც მიყვარხარ! – მერე ოთახიდან გავიდა. მომეჩვენა, თითქოს კედლის სურათებიდან არც ერთზე აღარ იღიმოდა.

უფრო დამცხა.

...

სანდრო ერთი კვირა არ მინახავს. როგორც კი გამახსენდებოდა, მაშინვე მკვდარ კატაზე ვიწყებდი ფიქრს და მასთან შეხვედრისას, ალბათ, უარესი მოხდებოდა. ჯერ ლექციებს ვიმიზეზებდი, არ მცალია-მეთქი, მერე მიას.

ერთი კვირის შემდეგ მე და მიას სავაჭრო ცენტრში შეგვხვდა. ვიღაც გოგოებთან ერთად იყო.

– კოტეს გაუმარჯოს! – გადახვეული ხელები გოგოებს მოაშორა და ცოტა ხნით ლაპარაკი გაგვიბა. მგონი, მეც და მიაც ზედმეტად ცივად შევხვდით.

– არ მითხრათ, რომ იმ კატას გლოვობთ... – ლამის იყო ჩაბჟირდა, მერე გოგოებს მიუბრუნდა: – აუ, მაგარ რაღაცას მოგიყვებით...

– სანდრო, გეყოფა! – უცნაური ხმა მქონდა. გოგოები ისევ მიივიწყა და დაბნეული მზერით მომაჩერდა.

– მართლა არ მესმის! – ხელი ჩაიქნიასავით და წავიდა.

მე და მია მიასთან წავედით.

– სანდრო ასე განზრახ არ იქცევა, – ისე მითხრა, თითქოს დიდი ხანი ემზადებოდა ამისთვის.

– ბოროტულად კი გამოსდის და... – ჩემი სიბრაზის სანდროსკენ მიმართვა ყველაზე მეტად მეხმარებოდა.

– ჰოდა, ბოროტებას გულგრილობით არ უნდა ებრძოლო. უარესს იზამს.

– აბა, რით უნდა ებრძოლო? – მზერა მისი თმისკენ გამექცა. ზუსტად იმ კატის ბეწვის ფერი იყო.

– მე რა ვიცი... – მხრები რომ აიჩეჩა, თითქოს კატა გაცოცხლდა. თითქოს სანდროს არ მოუტანია გრძელი ჯოხი და არ გადაუგდია გზიდან, მერე გზაზე არც სისხლიანი ნაკვალევი დარჩენილა.

მია ჯერ სამზარეულოში იყო. აიკვიატა, ბლინები უნდა გამოვაცხოო. მისი აკვიატების დამწვრის სუნი მისაღებ ოთახშიც კი მეცა.

სანამ მოვიდოდა, ვფიქრობდი მასზეც, სანდროზეც, კატაზეც... მხოლოდ ის მოვიფიქრე, რაც მერე ოთახში დამწვარი ბლინებით ხელში შემოსულ მიას ვუთხარი:

– აუ, თმები შეიღებე, რა.

– რა სიცივეა, ამის დედა ვატირე! – სანდრო ხელებს ერთმანეთს უსვამს და თან თვალებით გათბობის ჩამრთველს ეძებს. – შენმა ახალმა მანქანებმა ხო მომკლა, რა... – მერე მანქანას ათვალიერებს. –კაია. მალე დაქოქე და გათბობა ჩართე!

მივდივართ. უფრო სწორად მანქანა მიდის. მივყავართ...

– რამდენ ხანში ჩავალთ? – ყოველი მგზავრობის წინ მეკითხება.

– გააჩნია, გზაზე რამდენჯერ მოგშივდება, – ვეუბნები და თვალს ვუკრავ.

– იმასაც გააჩნია, შენ გზაზე რამდენ კატას მოკლავ, – ისიც თვალს მიკრავს.

ტვინში სისხლი მასხამს. ვფიქრობ, მანქანიდან ხომ არ გადავაგდო, მაგრამ მის ბოროტებას ბოროტებით თუ ვუპასუხებ, გამოდის, მაინც ბოროტებამ გაიმარჯვა. ასე რომ ვფიქრობ... მიას გავლენაა...

მუსიკას ისე ხმამაღლა ვუსმენთ, არაფერი მესმის – არც მუსიკა.

დეჟავუ მაქვს. ახლა, ალბათ, ნარინჯისფერ ბურთს დავინახავ და დამუხრუჭება თავში აზრადაც არ მომივა. მარტო მაშინ გავაჩერებ, მუსიკის ღრიალშიც რომ გავარჩევ არაამქვეყნიურ ხმას და მანქანის რომელიმე ნაწილის ხმა მეგონება. გზის იმ კონკრეტულ მონაკვეთზე სიჩქარეს ვანელებ. სანდრო ხვდება, რომ განზრახ და ისევ ეცინება. მუსიკას უწევს და ამბობს:

– ნარინჯისფერ ბურთს მოჩვენება კი არა აქვს, – პირველად არ ახსნებს კატას და მისი უზომოდ მადლიერი ვარ. მაინც ვეწინააღმდეგები:

– ცდები. ნარინჯისფერი ბურთის მოჩვნება არსებობს და თან არც ერთი დარტყმით არ კვდება! – სანდრო უკვე აღარ მისმენს. აღარც მე ველაპარაკები. გზის განაპირა ადგილებს ვუყურებ და გეფიცებით, ჯერ ნარინჯისფერი ბურთის მოჩვენებას ვხედავ, მერე ნარინჯისფერ კატას.

მარტო მე ვხედავ.

მართლა მოჩვენება ყოფილა.

მართლა მომიკლავს.

„ᲞᲝᲛᲨᲘ, ᲞᲝᲛᲨᲘ-ᲞᲝᲛᲐᲠᲐ...“

ჩვეულებრივზე მოსაწყენი გავხდი.

ისედაც გავხდი ბოლო ორი თვეა. შარვალს ქამარს რომ ვუჭერ, სათავე რაღაცნაირად იჩურთება და ამით ვხვდები. ნაცნობების რეპლიკებიც მაგრძნობინებს ამას.

– ბიჭო, შენ საჭმელს არ გაჭმევენ?...

– მარტო ძვალი და ტყავი რატო დადიხარ?..

– ქარმა არ წაგიღოს...

ყველასთვის ერთი პასუხი მაქვს, ოღონდ არავის ვეუბნები. აზრი არ აქვს.

მოწყენილობა მაწუხებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ანამარია მელაპარაკება და ჩემ გამხიარულებას ცდილობს. არ გამოსდის. მაინც აგრძელებს. ცოტა შემეტენე გოგო კია. სხვა, მის ადგილას, თავს დამანებებდა. სხვას მეც დავანებებდი თავს, მაგრამ, მგონი, ანამარია მომწონს. როცა ლაპარაკობს, ბოლომდე ვერასდროს ვუსმენ, თუმცა მისი ლაპარაკი არ მაწუხებს. მის თითებს რომ ვუყურებ... კმარა!.. აბა, თვალებში ყურების ძალა სად მაქვს?!

მისი თითების დახატვა ვცადე. საშინელება იყო. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ანამარიას ვაწამებდი. ნახატი დავხიე, რა თქმა უნდა.

საერთოდაც, მოსაწყენი იმიტომ გავხდი, რომ ვერ ვხატავ. სხვის ნახატებს ვიხატავ, რადგან საკუთარი ფანტაზიით ვერაფერს ვქმნი. განა იმიტომ, რომ ფანტაზია არ მაქვს, უბრალოდ, გონებაში სურათებს სწორად ვერ ვალაგებ. არ ვიცი, რა მეშველება. დიდებას ვერასდროს მივაღწევ. მხოლოდ მეტროს სადგურს მივაღწიე და ისიც დაკეტილი დმხვდა. რა გაეწყობა, სახლამდე ფეხით წავალ. დიდებამდეც ფეხით წავიდოდი, მაგრამ, ამბობენ, მარტო ფუნჯით ან კალმითო ან სხვა რამითო. ფეხით მაქსიმუმ დიდუბემდე მივიდე. „კაკრას“ ჩემი სახლიც მანდაა.

...

ანამარიამ დამირეკა – კინოში წავიდეთო. ბილეთები უკვე უყიდია. ვერ ვიტან ფილმებს, რაღაცნაიარად ყველა მბეზრდება. მაინც დავთანხმდი. გრძელი მანტო ჩავიცვი და მამას დავემსგავსე. ორიგინალი მხატვარი ხომ არ ვარ და თურმე არც ორიგინალი პიროვნება ვარ. სახელიც კი ბაბუის მქვია – გოდერძი. ამიტომაც გადავიკეთე და გეგას მეძახიან. მეც მაგარი ვარ რა. რამე უფრო განსხვავებული უნდა დამერქვა.

ფილმის ყურებისას ორჯერ ჩამეძინა. პირველად სკამზე ჩამორტყმულმა საკუთარმა თავმა გამომაღვიძა, მეორედ – ჩემს მხარზე ანამარიას თავმა. მასაც ეძინებოდა თურმე.

ფილმის შემდეგ ანამარია, ალბათ, სადმე უნდა დამეპატიჟებინა. მაგის თავი აღარ მქონდა, ფული – მით უმეტეს. ხელები მანტოს ჯიბეებში ჩავიყავი და წამოვედი. ასეც მამაჩემს ვგავდი, სახლში რომ მოვიდოდა ხოლმე ცარიელ-ტარიელი. ტარიელი მაინც არ რქმეოდა.

ანამარია, მგონი, ცოტა ნაწყენი დარჩა. რა გასაკვირია, ჩემნაირი მოსაწყენი ადამიანისგან. საღამოს მომწერა და მითხრა, წამოსვლა თუ არ გინდოდა, მარტო წავიდოდიო. ვუპასუხე, მარტო წასვლა თუ გინდოდა, რატომ დამპატიჟე-მეთქი. ვიცი, ასე არ უნდა მეთქვა.

გამებუტა.

...

მუნკის „კივილს“ ვიხატავ. მშვენივრად გამომდის. ნეტავ ასე საკუთარი, თუნდაც ერთი სიტყვისმთქმელი მიმიკის დახატვა შემეძლოს. იტყოდნენ, გეგას ნახატიაო და მერე თუნდაც ცუდი რამეები ეთქვათ, მაგრამ ყველა დუმს. ჯერ ჩემი დაუბადებელი ნახატიც დუმს. საერთოდ, აპირებს კი დაბადებას? ექოსკოპიაზე მივალ. მეტყვიან – „ვწუხვარ, ცრუორსულობა აღმოგაჩნდათ!“

ხელოვანთა მშობლების კომიტეტში ვერასდროს მოვხვდები. აბა, უშვილო ხელოვანი რა ხელოვანია.

მუნკის „კივილის“ მამინაცვალი მაინც ვიქნები. მუნკი მიკივის – არაო. მეტის ღირსი ვარ.

ნახატი ბოლომდე არ მიმყავს.

დასაძინებლად ვწვები. ანამარია მესიზმრება. ჩემთვის ყვირილი უნდა, მაგრამ პირი არ აქვს. სიზმარშივე გადავწყვიტე – გავიღვიძებ თუ არა, ნახატს დავასრულებ. ანამარიასაც ვნახავ.

...

– „კომში, შომში-კომარაა...“ მა, კომარა რა არი? – ექვსი წლისა მამას ვეკითხები და, ერთი სული მაქვს, როდის მიპასუხებს. ის ჯერ ამთქნარებს, მერე არყის ჭიქას ცლის და თვალებს ახამხამებს.

– შენ გაინტერესებს, რა არის „კომარა“, ხო? – თავს ვუქნევ. – კომარა... – ფიქრობს. – კომარა კომშის ახალი სახეობაა. სიმღერის ავტორმა გამოიგონა. – მაშინ ვუჯერებ, წლების შემდეგ – აღარ. თვითონ ტყუილების გამომგონებელი იყო და მაგიტომ. აი, მაგალითად: „არ დამავიწყდება სკოლაში მოსვლა“; „საღამოს პურს მოვიტან“; „ეს ჭიქაც და მორჩა!“...

თვითონაც რომელიღაც ჭიქასთან ერთად მორჩა. ბოლო ტყუილი იყო, მალე დაგავიწყდებიო, რომ მითხრა. მისი სიკვდილის მერე ყოველდღე ველოდები, როდის დამავიწყდება. ლოდინი ჯერჯერობით გრძელდება.

....

– ანამარია, შენ კარგი გოგო ხარ, – ვეუბნები ანამარიას და თითებზე ვუყურებ. ისეთი წვრილი თითები აქვს, ლამაზად გათლილი ფანქრები მახსენდება. – შენთვის აჯობებს, აღარ შემხვდე.

– რატოოოო? – ბოლოში „ო“-ებს გამაღიზიანებლად წელავს. ჩემს ფიქრებში ბევრად სხვანაირია ხოლმე. – გუშინდელი უკვე დამავიწყდა, – აგრძელებს. – აღარ ვარ ნაწყენი და არც ვიქნები, გპირდები.

რა სისულელეა, ადამიანს ასეთი პირობა მისცე. საკუთარი თავი არ ეცოდება? წყენის უფლებასაც არ იტოვებს. აი, მე მაგალითად, განაწყენების უფლება რომ არ მქონდეს, რას ვიზამდი, როგორ დავაბრალებდი ყველას და ყველაფერს საკუთარ წარუმატებლობას?

– მისმინე, არ მინდა ჩემთან იყო! – ვუცხადებ განაჩენივით.

– რატო-მეთქი? – არ მეშვება. – მხატვარ ბიჭებს შეყვარებულები არ ჰყავთ? – ცოტა დაიმორცხვა, მაგრამ უკან მაინც არ დაიხია.

მის სიტყვებზე გამეცინა.

– მე მხატვარიც კი არ ვარ! – ვერაფერი გაიგო.

– ოცადაორი წლის ხარ, ყველაფერი წინ გაქვს, – მანუგეშასავით.

ამაში ჩემს მხატვრობაზე უნიჭო იყო. უბრალოდ, ყოველთვის ისეთ ფრაზებს ამბობდა, რაც სხვებისგან გაეგონა.

წამოსვლისას ხელი დავუქნიე. სასაცილოდ გამომივიდა და მან კი იმ წამსვე დაარღვია მოცემული პირობა. უზომოდ ნაწყენმა შემომხედა. კიდევ კარგი, აქ დავამთავრეთ ყველაფერი. წარმომიდგენია, რა მარტივად შეუძლია ყველა პირობის დარღვევა.

....

ვიღაცამ ჩემი დახატული მუნკის „კივილი“ იყიდა. ორმოცდაათი ლარი რა დიდი ფულია, მაგრამ მაინც გული დამწყდა, ავტობუსიდან ჩამოსულს ჯიბეში რომ აღარ დამხვდა. სიარული უს-

წავლია. საფულეც თან წაუყვანია და წასულან. რას ვიზამ, დაე, ბედნიერები იყვნენ ან ის ვიღაც მაინც გააბედნიერეონ, ავტობუსის საზღვარი ვინც გადაალახვინა.

სახლში მივედი თუ არა, facebook-ს ჩავუჯექი. ქვეყნად რა არ ხდება. აი, ანამარიას შეყვარებული ჰყავს. კარგი ბიჭი ჩანს. ეტყობა, არც მხატვრობაზე ოცნებობს.

უცებ გონებაში ყველა სურათი ამერია. მათი დახატვა ძალიან მინდოდა – რომელიმესი მაინც.

ფანქარი ავიღე ხელში. ვხატე...

ვხატე...

ვერ დავხატე...

არ დავნებდი –

ვხატე... ვხატე...

ბოლოს ფურცელზე ყვითელი გამოსახულება დარჩა. კომშს ჰგავდა, თან არც ჰგავდა. ჰოდა, სხვა რა გზა იყო, ფურცლის კიდეს მივაწერე – „კომარა“.

მამა გამიგებდა.

ჯარი არ გაიღო

ბავშვობაში დედა მემუქრებოდა ხოლმე – თუ ჭკვიანად არ მოიქცევი და გამაბრაზებ, თავს მოვიკლავო. მაშინ მეშინოდა და არ ვაბრაზებდი ხოლმე. მერეც მეშინოდა, ოღონდ სახლიდან მაინც გავიპარე, დიზაინერი უნდა გავხდე-მეთქი და თბილისში მეგობარს შევუსახლდი. თან რაღაც სკოლაში ჩავეწერე კურსებზე. ჩემთვის რომ გეკითხათ, ცხოვრება აწყობილი მქონდა.

დედა თავიდან მართლა ძალიან გაბრაზდა, ოღონდ თავისი პირობა არ შეუსრულებია. საერთოდაც, სიტყვის ქალი არ იყო. მეტყოდა, მშობელთა კრებაზე მოვალო და არ მოვიდოდა; შემპირდებოდა, საკერავ მანქანას ვინმეს გავაკეთებინებო და არ გააკეთებინებდა; იძახდა – შენ მეტი ვერავინ და ვერაფერი მომკლავსო და გუშინ თურმე მანქანამ მოკლა... მე მის საჭესთანაც კი არ ვმჯდარვარ.

ახლა ვიზავრ დედას კუბოსთან და მუხლებზე მისი ნაჩუქარი თავშალი მიდევს. თითქოს ტკივილია, რომელიც ვიცოდი, რომ არსებობს, ოღონდ ხედვით და გრძნობით ახლა ვგრძნობ და ვხედავ – მსუბუქია. მაინც მუხლებს მიმძიმებს.

რბილია. მაინც კანს მისუსხავს.

შავია. ლანდი გასდის. თვალებთან თუ მივიდებ, მაინც ვერაფერს ვხედავ.

ჩუმია. არ ლაპარაკობს. მაინც მესმის – დედა აღარ გყავსო, რომ მეუბნება. ნეტავ, ჩემი ესმის? მე ვეკითხები:

– რანაირად შეიძლება, დედა აღარ მყავდეს?!.

შეიძლება, პასუხი არც აქვს.

...

ჩემს მეგობრებს შევპირდი, საღამოს კაფეში მოვალ-მეთქი. რაც დედა მოკვდა, თითქმის აღარსად ვყოფილვარ. უკვე სამი კვირა გავიდა და მაინც ვერ მივეჩვიე. ველარც ახალ ესკიზებს ვხატავ.

ერთხელ დედამ მითხრა, საერთოდ არ მგავხარო. კომპლიმენტი იყო. საკუთარ თავს ვერ იტანდა. ჯერ არ ვიცი, ბოლომდე მართალი გამოდგა თუ არა.

თბილისში ყველამ ძველებურად გაგრძელა სიცოცხლე. მე კი იქ, სადღაც, დედა დავტოვე, რომელმაც, კაცმა არ იცის, რა დაიწყო ან დაიწყო თუ არა. ყველაზე აუტანელი ისაა, რომ ხალხს აქ არც არაფერი შეუწყვეტია. ერთი წამითაც კი არ უფიქრიათ იმაზე, რომ მე დედა მომიკვდა.

ვბრაზობ. სხვა რაღა დამრჩენია. დავემუქრებოდი, თავს მოვიკლავ-მეთქი, მაგრამ მათთვის ესეც უმნიშვნელოა. მაქსიმუმ ჩემმა რამდენიმე მეგობარმა იდარდოს და მეფუნთუშემ, რომელიც სპეციალურად ჩემთვის ყველაზე ბევრ შაქრისფხვნილმოყრილ ფუნთუშას ინახავს. ვიღაცას ვაგონებ – ადრე მითხრა. შვილი ჰყავს გერმანიაში, რომელსაც ფუნთუშები ძალიან უყვარს. მეფუნთუშეც ფუნთუშასავით კაცია – ფუმფუ-

ლა, დაბრაწული, ტკბილი გულით.

მე არ ვარ ფუნთუშასავით გოგო. მოვიფიქრებ და, როცა მეცოდინება, გეტყვით, რას უფრო ვგავარ. ერთი უკვე ვიცი – დედა ცოტა შეცდა მაშინ. მისგან დიდად არ განვსხვავდები.

ჩემს მეგობრებს შევპირდი, საღამოს კაფეში მოვალ-მეთქი.

არ მივსულვარ.

...

დღეს კლიენტმა დამირეკა, ჩემს კაბას თუ მოუხერხე რამეო. ის კლიენტიც და მისი კაბაც იმ წამს გამახსენდა. არ იდარდო, ცოტაღა დამრჩა-მეთქი. დამშვიდდა. ტელეფონი გათიშა თუ არა მისი კაბა მოვძებნე და გადაკეთება დავუწყე. უაზრობაა, პატარძლები რომ საქორწილო კაბების გადაკეთებას მოინდომებენ ხოლმე. გეგონება, მთელი ცხოვრება თავისი მოგონილი წესებით თამაში უნდათ. ვერ მივართვი. გამოჩნდება ვინმე ჩემნაირი და მათ მოგონილ დიზაინს ისეთ სახეს მისცემს, ვერც მიხვდებიან, მათი თავდაპირველი ვერსია რომ არაა. მოეწონებათ კიდეც. როცა მიხვდებიან, უკვე გვიანი იქნება.

კაბის გადაკეთებას გამთენიისას მოვრჩი. ოცდასამი წლის ვარ და ვერაფრით ვისწავლე, როგორ ვუთხრა ადამიანებს თავაზიანად, რომ ვერ ვიტან, როცა მუშაობისას ხელს მიშლიან. ღამის პირველ საათზე ჩემთან საჭორაოდ შემოსულ სესილის ეს შეკრული წარბებით ვუთხარი. ვერ გაიგო, მერე უხეშობა მომიწია. რაღაც მომაძახა: „დედაშენის ამბის მერე სულ თავს გაგივიდა“-ს მსგავსი და ოთახიდან გავიდა.

დავიფიცე: თუ ოდესმე მისთვის საქორწილო კაბის გადაკეთებას მთხოვს, ისეთ ჯოჯოხეთს მოვუწყობ, კაბის ჩაცმა საერთოდ აღარ მოუნდება.

...

– იცით, მე დედა გარდამეცვალა. – ვუთხარი მეფუნთუშეს, ბიძია ვალერის. არ ვიცი, რატომ. შეცბა. ვიზიარებო. ფულის გამორთმევას არ აპირებდა. მაინც დავუტოვე. ფუნთუშა გამოვართვი და წამოვედი. თავი სულელი მეგონა. განა იმ კაცს თავისი სადარდებელი არ ეყოფა? იქნებ, არც ედარდა. იქნებ, საერთოდ დავიწყებოდა ეს ამბავი, მაგრამ, რატომღაც მგონია, რომ ისეთი კაცია, ასეთი რაღაცები გულთან ახლოს რომ მიაქვთ. კიდევ კარგი, ასეთი ადამიანები არსებობენ. აბა, ერთი სხვებს შეხედეთ, ფეხებზე ჰკიდიათ დედაჩემიც, მეც, ჩემი ფუნთუშაც, რომელიც სახლში მიტანამადე გაცივდა. მათი გულებიც ვითომ ასეა?

ახალი ესკიზის დახატვა მინდოდა. ერთი იდეაც არ მომსვლია. ფანქარი ცარიელ ფურცელს ვერც კი შევახე, მერე ყველაფერი დამეზარა და საწოლზე ოთხად მოკუნტულს ჩამეძინა. დედა დამესიზმრა. ბიძია ვალერის საფუნთუშეში ყიდდა ფუნთუშებს. ბიძია ვალერი იქ არ იყო. გერმანიაში, თავის ქალიშვილთან თუ წავიდა.

...

სესილისთან ერთად ხუთი წელია, ვცხოვრობ. ისეთი გოგოა, ზუსტად რომ იცის, რა, რატომ და როგორ უნდა. მისი მშურს. სახლში იშვიათად არის. ისიც სულ რაღაცას საქმიანობს. კითხულობს ან სარკის წინ მკაცრი იმიჯით ლაპარაკობს. მეტწილად ჩხუბობს – იურისტია.

მთელი მისი გარდერობი პიჯაკებითაა სავსე. სტილიც ცხოვრებასავით ზუსტად განსაზღვრული და ისეთი მოწესრიგებული აქვს, დაუთოებაც არ სჭირდება. აბა, ჩემი კაბები, ერთმანეთში არეული, დაკუჭული ყრია. ათასი უთო თუ გამოასწორებს ამ ქაოსს, უთო კი მხოლოდ ერთი მაქვს, ეგეც დედას გასვენებაში ჩასაცმელი კაბის გაუთოების მერე გამიფუჭდა.

სესილი წყენას არ იმახსოვრებს. ყოველ შემთხვევაში, ჩემსას. გუშინ მოვიდა და სიხარულით მაუწყა, დათამ ხელი მთხოვა და ჩემი ერთ-ერთი მეჯვარე ხო იქნებიო.

გონებაში გადავთვალე – ოცდათვრამეტი დღეა, რაც დედა მოკვდა. ოცდათვრამეტჯერ დავუღრიალებდი – არა-მეთქი, თუმცა ეს, ალბათ, სწორი არ იქნება. მხოლოდ ერთხელ დავთანხმდი და ეგ იყო. ვერავის აიძულებ შენი უბედურების გაზიარებას, მით უმეტეს, თუ ეს უბედურება შენც კი არ გემჩნევა სათანადოდ.

ხომ მაფრთხილებდნენ – შავები ორმოცამდე მაინც უნდა ჩამეცვა.

...

ახალ ბინებს ვათვალიერებ. სესილის გარეშე ძველი ბინის ქირის გადახდა გამიჭირდება. ისევ ამ უბანში დარჩენა მინდა. ალბათ, არ გამოვა. სადღა ვიყიდო ხოლმე ფუნთუშები? ძია ვალერის თან ხომ არ წავიყვან.

დედას დავყვებოდი ხოლმე მეზობლებთან სტუმრად. სახლში მარტო დარჩენას ვერ ვიტანდი. ბიძია ვალერიც წამომყოლოდა იქნებ, მაგრამ კლიენტს რა გამოულევს. ფუნთუშები მარტო მე კი არ მიყვარს.

სესილი ახალ კაბას ყიდულობს. გადამკეთებლად არ დავჭირდები. გულმა თუ უგრძნო, შურისძიება რომ მინდოდა და თავს უშველა.

დღეს ვნახე ბინები. პირველი – კი, მეორე – კი, მესამე – კი და მხოლოდ მეშვიდე არ მომეწონა.

ჩაბარგება დავიწყე: პირველში – არა, მეორეში – არა, მესამეში – არა და მეშვიდეში გადავალ!

...

დედაჩემის სიკვდილის მერე ყველაფერი აირია. მეგონა, მალე დალაგდებოდა. ეს დალაგება არა და არ მეღირსა.

დედა იმედივით იყო ხოლმე. ხშირად ვერ ვგრძნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ არსებობდა და ეს რაღაცნაირად მეხმარებოდა.

მე სულ საკუთარ თავს ვეძებ. სიყვარულიც ჯერ ამიტომ ვერ მიპოვნია. არადა, აღარც დედაა ახლოს, რომ მითხრას, საით წავიდე. იმ მიმართულებით არ წავალ და ეგ იქნება. ბოლოს სწორ ადგილამდე მივალ. დიზაინერობაც ასე ვიპოვე. ბევრი ვიარე, მერე ერთ კართან ვიდექი და ველოდი, როდის გამიღებდნენ დაკაკუნების გარეშე, მაგრამ კარი არ გაიღო. თურმე გასაღები მე მქონდა და ამის საკუთარი თავისთვის თქმა დამავიწყდა.

ხვალ სესილის და დათას ქორწილში წავალ და დავლევ. თუ ბევრი მომივა, სიტყვითაც გამოვალ. თუ ზედმეტად ბევრი, ვიცეკვებ კიდეც. საშინელი მოცეკვავე ვარ, ოღონდ ამას მთვრალი არ დავაკომპლექსებინებ თავს.

დედას სიკვდილის მერე ყველაფერი და არაფერი მოხდა. ამის ატანა და თან გადატანა ჩემთვის ძალიან რთულია. პატარა, მაგრამ მსუქანი ბავშვივით ეს პრობლემა ხელში აყვანას მთხოვს. არ მინდა, ვაწყენინო. ამყავს და აქეთ-იქით დავატარებ, მერე ის სწყინს, რატომ არაფერს მყიდულობო. რა ვუყიდო, აბა? საფულე სახლში დამრჩა, თავთან ერთად. სახლს ხომ ვეღარ ვაგნებ, ვეღარც თავს. თურმე საფულესაც.

გამუდმებით იმაზე ვფიქრობ, რომ სულ უფრო ცოტა დრო დამრჩა. მერე პრობლემებიც გაიზრდებიან და მათაც აღარ დასჭირდებათ ხელში აყვანა.

სასწრაფოდ ხელახლა უნდა ვიპოვნო კარი.

საძებნელად ხვალ წავალ.

...

ახალი სიზმარი ვნახე. დედა ისევ ძია ვალერის საფუნთუშეში იყო და ფუნთუშებს ყიდდა.

ვიტრინიდან ხელი დამიქნია.

მისკენ წავედი. არ ვიცი, ფუნთუშის ყიდვა მინდოდა თუ მისი ნახვა. ალბათ, ორივე.

კარის სახელური ჩამოვწიე და, ჩემდა გასაოცრად, კარი არ გაიღო.

დედას დახმარება არც უცდია.

მეტიც, საფუნთუშედან გაქრა.



თამარ გელიტაშვილი

...მაგრამ რა არის მტვრად ქცევის შემდეგ?!

(გიორგი არაბულის პოემა „ალდის" ტექსტი და მეტატექსტი)

„არავინ იცის, რა არის სიკვდილი, არის თუ არა იგი დიდი სიკეთე ადამიანისთვის და მაინც ყველას ეშინია მისი, რადგან ის ყველაზე დიდ ბოროტებად წარმოუდგენიათ" – პლატონის ეს აპოფთეგმა იმ რიტორიკული შეკითხვის გაგრძელებაა, რომელიც სამყაროს გაჩენისთანავე გაისმის და დღემდე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს.

თუ რაციონალიზმს ავუბამთ მხარს, ფატალური დასკვნაც არ დააყოვნებს და სიკვდილს სამუდამო გაქრობად წარმოგვადგენინებს. ამიტომაც გონების გაფეტიშების უარყოფით და რწმენის პრიმატით ვცდილობთ, საიქიო ჩვენი სულიერი შვების ალაგად დავსახოთ.

და მაინც... რა არის სიკვდილი? – სწორედ ამ ამოუცნობ ფენომენს ემყარება საკმაოდ ცნობილი ახალგაზრდა პოეტის, გიორგი არაბულის პოემა „ალდის" ფაბულა და სიუჟეტი.

„ალდი" სიკვდილის რაობის ამოხსნის მცდელობაა. ჩვენს სინამდვილეში ამ იდუმალი სამყაროს კარის გაღება მანამდეც არაერთმა ფილოსოფოსმა, მწერალმა თუ მოაზროვნემ სცადა. საღვთისმეტყველო სწავლებით, „მტვერი ხარ და მტვრადვე იქცევი" (დაბადება 3:19), მაგრამ, რა არის ამ „მტვრად ქცევის" შემდეგ? – კაცობრიობის ისტორიაში დასმული ეს მარადიული შეკითხვა გახმიანდა გიორგი არაბულის პოემაში და გახმიანდა იმდენად ორიგინალურად, რომ, თემის სპეციფიკიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე, ალბათობა, ნაწარმოებში წამოჭრილი საკითხის ბანალურობას გვერდს ვერ ავუვლიდით, სავსებით გაქარწყლდა.

გიორგი არაბულის ეპიკური ნაწარმოები წარმოადგენს გვრინს, რაც ფშავ-ხევსურეთში დატირებას, „ხმით ნატირალებს" ნიშნავს. ამგვარი მინაწერით პოეტი თავიდანვე გვამზადებს იმისათვის, რომ პოემის სიუჟეტური ქარგა მთლიანად ურვას წარმოადგენს და სახალისო და მარტივად წასაკით-

ხი ნამდვილად არ იქნება, მითუმეტეს, იქვე სხვა მინაწერსაც ვკითხულობთ: „ეძღვნება ალუდას, ერეკლეს და ირაკლის“ (სამივე ახალგაზრდა გიორგი არაბულის უდროოდ გარდაცვლილი უახლოესი მეგობარი იყო – თ.გ.).

„ალდი“ მაღალმხატვრული ოსტატობითაა შესრუებული და მისი ღირსება რამდენიმე ფაქტორით განიზომება:

მხატვრული ქსოვილის ფუნქციური მრავალფეროვნება ერთ ორგანიზმად კრავს ლექსის დრამატიზმსა და არქიტექტონიკას, რაც ხელს უწყობს ავტორის გრძნობადი სამყაროს გამომზეურებას. თვალშისაცემია სიუჟეტური გრადაცია, რაც ნაწარმოების კონსტრუქციულ დინამიკას კვებავს და ექსპრესიულ მუხტს წარმოშობს; პოემას განსაკუთრებულ კოლორიტულობას ანიჭებს ხევსურულ დიალექტსა და კილო-კავზე აგებული ამბავი. მიუხედავად იმისა, რომ ურითმო ლექსთან გვაქვს საქმე, ტექსტში იმდენად არის გამძაფრებულ რიტმის გრძნობა, იმდენად მელოდიურია თითოეული პწკარედი თუ ტაეპი, რომ თავისუფლად შეგვიძლია მას სიმღერაც ვუწოდოთ.

მაშ, ასე:

ალდი პოემის ერთადერთი პერსონაჟია – ხევსური ბერიკაცი და უკანასკნელი მკვიდრი თავისი სოფლისა.

„თენდება რწმენაბერწი აღვსება“ – ამბობს პოეტი, რითაც ალდის უიმედობაზე, რწმენის კრიზისსა თუ ადამიანური საზრისის მოშლაზე მიგვანიშნებს. „აღვსება“ (იგივე აღდგომა) ქრისტიანთა ყველაზე დიდი საუფლო დღესასწაულია, შობასთან ერთად. ამ დროს ქრისტიანული სამყარო განსაკუთრებული სასოებით ადიდებს უფალს, მაგრამ ეპითეტი – „რწმენაბერწი“ იმავეს ვერ გვაფიქრებინებს ალდიზე. თუ რამ გამოიწვია ალდის ასეთი პესიმიზმი და რამ შეურყია რწმენის სიმტკიცე, პოემის შემდგომი სტრიქონები გვამცნობს:

„სიკვდილისთვის დაიბადა ალდი,
სიკვდილისთვის დაბერდა ალდი.
ყველაფერს ხავსი და ბალახი ედება
ბოლოს –
სახლსაც,
იარაღსაც,
საფლავსაც,
სახელსაც...“

ტექსტიდან აშკარად ხმიანობს წარმავლობის სევდით გამოწვეული წუხილი, რომ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული; ყველაფერს სიკვდილის ბეჭედი ატყვია და მის ბოროტ მარწუხებს ამქვეყნად ვერავინ და ვერაფერი დააღწევს თავს, რადგანაც ასე დაუწესებია განგებას – „ღვთის წილია ყველა საქმეში“ და არავის ძალუძს უზენაესის წესის შეცვლა. არადა, რა საამური იქნებოდა, რომ:

„სული არსად არ მიდიოდეს,
აქვე რჩებოდეს,
ჩვენს რეალურ ყოველდღიურობაში,
ხოლო ხორციელ ტანჯვას იმით
ვწამლობდეთ,
რომ ტანიდან ისე განვიძარცვოთ,
როგორც ტალავარი“.

რას არ დასთმობდა ალდი, ეს რომ შესძლებოდა და სიცოცხლე მარადიული ნეტარება ყოფილიყო:

„ნეტა შეიძლებოდეს
ჩამოქცეული სახლის ბანი მარტო
კაცის ხელით
მთელდებოდეს და იტკეპნებოდეს.
ნეტავ შეიძლებოდეს ამ ბანზე
ბალღები დარბოდნენ და
კვამლი ამოდიოდეს...“

ალდის ეს ნატვრა ადამიანთა მოდგმის საერთო ნატვრაა, მათი ცხოვრების თანმდევი ნაწილია, რომელსაც მხატვრულად შეასხა ხორცი გიორგი არაბულმა.

როგორც პოემის შინაარსი გვამცნობს, სიბერით დაუძლურებულ ალდის სხვა აღარა დარჩენია რა, გარდა სიკვდილის მოლოდინისა, მაგრამ ეს ტრაგიზმი ორმაგად მძაფრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ – სიკვდილიც არის და სიკვდილიც! ყველა მიცვალებულს ჰყავს გამპატიოსნებელი და წესისამგები, მაგრამ ალდი სრულიად მარტოა:

„აღარცვინ ხმისგამცემი,
აღარცვინ ჯვრის მსახური,
აღარცვინ მთიბელი და
გამომხდელი ქერის არაყისა.

ალდიმ უნდა ილოცოს,
ალდიმ უნდა თიბოს
ჯინჭველაგორიანი ყანები,
ალდიმ უნდა გამოხადოს
წინწარაქარი.
ალდიმ უნდა გადაამთხოს ნადირი
და ქაჯ-ეშმაკნი,
ალდიმ უნდა გაითხაროს საფლავი,
ალდიმ უნდა ჩაიცვას ტალავარი,
ალდი უნდა მოკვდეს.

ბოლოჯერ უსმენს გულწითელას
სტვენას –
სიკვდილის საგალობელს“.

აღარვინ დარჩა ცოცხალი, რომ ალდის მიცვალებულთათვის დადგენილი წესი აუგოს, სათანადოდ მიაგოს პატივი, გააპატიოსნოს და თავისი რჯულისა და ადათის შესაფერისად შეასრულოს ყველა რიტუალი. აღარვინ ჰყავს მას – აღარც მოკეთე და აღარც მტერი. ამიტომაც დაჰკარგვია მის ყოფას აზრი, ეს კი საკმარისზე მეტი მიზეზია იმისათვის, რომ ალდის რწმენას ბზარი გაუჩნდეს.

წუთისოფლის ამაოების განცდას დრამატული ელფერი მიუნიჭებია გარესამყაროსთვის.

უშვილძიროდ გაქრობა ყველაზე დიდი ტრაგედიაა. მოსალოდნელი სიკვდილის შიშს ადამიანს თავისი მონაგარი უქარწყლებს (აღნიშნული პრობლემატიკა მკვეთრად არის დასმული ანა კალანდაძის ლექსში „მკვდართა მზე ვარ“, რასაც საგანგებო წერილი მივუძღვენი), მაგრამ ალდის არც მონაგარი დარჩა და არც სხვა ვინმე ხმის გამცემი. ამიტომაც სულერთია, მისთვის – იცოცხლებს თუ მოკვდება. მარტომყოფისთვის ერთი ფასი აქვს სიცოცხლესაც და სიკვდილსაც. ამის მიუხედავად, გიორგი არაბულის ლექსში მაინც მკაფიო ზღვარია გავლებული ღირსეულ სიკვდილსა და უღირს სიცოცხლეს შორის:

„სირცხვილი რომ მოგადგება –
სიკვდილი ეგ არი,
ბეჩავად ყოფნა და კარში
ვერგამოსვლა – სიკვდილი ეგ არი,
დიაცთან რომ შერცხვები –
სიკვდილი ეგ არი,
შინ ყვირილი რომ გაგიადვილდება
და გარეთ ხმის გაღების შეგრცხვება
– სიკვდილი ეგ არი,
სტუმრად მოსულ მტერს რომ
ხელცალია ან მწოლიარე ავადმყოფი
დახვდები – სიკვდილი ეგ არი,
მკვდარ შვილს ზურგში რომ ექნება
ჭრილობა – სიკვდილი ეგ არი,
მარტო კაცის ყოფა – სიკვდილი
ეგ არი...“

ენანება ალდის საკუთარი თავი, ენანება სოფელთან გამოთხოვება, რომელიც მასთან ერთად დაიბადა; ენანება ჭიისშესაჭმელი საკუთარი სხეული და, სულეთში მოგზაურობისთვის გამზადებულს, უფრო და უფრო უმძაფრდება სურვილი შეუცნობადის შეცნობისა – „რა ხდება საზღვარს იქით? / რა ფერი ბილიკებია?“

ალდის არ სურს, რომ სიკვდილმა მოუსწროს და უპატრონო, დაუტირებელ მკვდრად მიიბაროს. ამ მიზნით

გადაწყვეტს, დაასწროს მას და თავადვე შეასრულებს ყველა იმ რიტუალს, რასაც მისი ადათ-წესი მოითხოვს – თავადვე გაიპატიოსნებს საკუთარ სხეულს და თავისივე ფეხით მიუყვება გზას სასაფლაოსკენ.

სიკვდილის ხატის დადგენა-გააზრება სამყაროს კოსმოგონიის თანმხლებია. ეს პრობლემა სისტემურად არის დასმული გიორგი არაბულის პოემაში. „ალდი“ გარდაცვალების მისტიკური აუცილებლობით მოგვრილი წუხილის აპოლოგიაა, საიდანაც აშკარად იგრძნობა დაუცხრომელი მღელვარება პოეტისა, რომელსაც სურს სიკვდილის არსის ფილოსოფიური ტრაქტატი ჩამოაყალიბოს. ამიტომაც ერთ კითხვას კი არ სვამს მარტივად და უბრალოდ – რა არის სიკვდილი? მრავალფეროვან კონტექსტში განიხილავს მის იდუმალებას:

„საით მიდის ადამიანი?
.....
რამდენი ხნისაა სიკვდილი?
რამდენი და-ძმა ჰყავს?
ნეტავ რა ჰქვია დედას
სიკვდილისას,
თუ იცის ტალავარის ქსოვა და
ლოცვა შეშინებულისა?
ნეტავ თუ დაჰღამებია მამას შეშაზე
წასულს
და ჰლოდინებია სიკვდილი
ცისპირისტეხამდე?!

რა ფერია სიკვდილი?
თბილია თუ ცივი სახლში
შემოპატიჟებული?
სად მიდის სიკვდილი?
სად სძინავს სიკვდილს?..“

ჩვენს სალიტერატურო რეალობაში ნაკლებად მეგულება ასე ორიგინალურად გაჟღერებული რიტორიკული შეკითხვა-შეძახებები, როგორსაც პოემა „ალდიში“ ვხვდებით. ეს არის ყველასაგან განსხვავებული პოეტური ხერხი მგოსნისა, რომელმაც გარდაცვალების ზესთასოფლური გამოცანა მიწიერ, ყოფით რეალობამდე დაიყვანა და ამ გზით სცადა უკვე მრავალგზის გაცვეთილი თემატიკის წამოწევა, რასაც მშვენივრად გაართვა თავი. პოემის სიუჟეტურ ქარგას ეფექტურობას მატებს ტექსტის ამაღლებული ტონალობა. მონოლოგური თხრობა მძაფრი რიტმულობით გამოირჩევა და მომენტალურად მოაქვს ემოცია. რაც შეეხება შემდგომ სტრიქონებს, პოეტმა სიკვდილზე ერთგვარი „ჯავრის ამოყრა“ სცადა, უფრო სწორად, ისეთი რამ ინატრა, რითაც შეძლებდა სიკვდილისთვის ლაგამის ამოდებას, მის გამწარებას და საბოლოო დამორჩილებას:

„ნეტავ სიკვდილსაც მისცა შვილიო,
იმას სხვა სიკვდილ შამაჰყარაო,
დედას და დასამც ახედვინაო,
იქნებ მაისვენებდის გულიო,
იქნებ, წეს გამაიცვლებოდაო...“

სიკვდილის დამაძლეველი ნატვრის მთელი კასკადია მოცემული გიორგი არაბულის პოემაში, სადაც სიტყვა „ნეტავ“ გარკვეულწილად ირონიზებულია, ხოლო სინანულის გამომხატველი ასეთი ფორმა ერთგვარ გროტესკისმაგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

გიორგი არაბულმა ფსიქოლოგიური შინაარსის მქონე ეპიკური ტექსტით ყველას სათქმელი თქვა და ყველას ნატვრა ინატრა. ინდივიდუალური ხელწერითა და მხატვრული ინტონაციებით შესრულებულ ამ პოეტურ ქმნილებაში თვალშისაცემია ამბივალენტური კონტრასტი სიკვდილ-სიცოცხლის დამოკიდებულებისა:

„ნეტავ შეიძლებოდეს სიკვდილი
მოდიოდეს
და სახლში პატიჟებდე,
ნეტავ შეიძლებოდეს,

სიკვდილის სოფელში,
იმათ მკვდართ საფლავებზე
ქრისტესსისხლები ამოდიოდეს,
ნეტავ შეიძლებოდეს
სიკვდილი წინ გეჯდეს, არაყს
ასმევდე და
ბალღის სიცილს ასმენინებდე.
ნეტავ შეიძლებოდეს,
სიკვდილს საბანს აფარებდე და
თვითონ მიწას არ გაყრიდეს“.

„ალდი“ ფსიქოლოგიური დრამაა, რომლის აზრობრივი შინაარსიც ტექსტის ზედაპირზეა გამოტანილი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ სქემატურობასთან ან შიშველ ნატურალიზმთთან გვქონდეს საქმე. პოემის ქვეტექსტში, როგორც ითქვა, სიკვდილის ფენომენის ამოუხსნელობით გამოწვეული სკეპტიციზმი იკითხება და მისგან გამომდინარე – უდიდესი პესიმიზმი, მაგრამ, რა ხდება ნაწარმოების ფინალში?

პოემას ეპილოგი აქვს, სადაც მოულოდნელი ეფექტურობით არის შემოჭრილი ესეისტურ-თეორიული მსჯელობა და, რაც პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელ მეტატექსტად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ მონაკვეთში პოეტი აქტიურად ერთვება ნაწარმოების სიუჟეტში და საკუთარი შემოქმედებითი პროცესის პერიპეტიებში გვახედებს. ის გულს უშლის მკითხველს და იმ შინაგან განცდებს გვიზიარებს, რომლებიც წერის დროს ეუფლებოდა:

„ალდის ლექსი და სიზმრები
აქ მთავრდება.
ბევრი ვიფიქრე ბოლოზე,
ჩემს ხელში იყო მისი სიკვდილი
და ცოცხლად დარჩენა.

მე გავიმარჯვე დღეს ამ ლექსით,
მე გავიმარჯვე დღეს ალდით
და ერთი ადამიანი გამოვგლიჯე
სიკვდილს,
ვერ მოვკალი ალდი,
ვერ დავიდე კაცის და სოფლის
ცოდო.
მე,
ლექსმწერალს,
მჯერა, რომ ზის ახლა,
სადღაც მკვდარ სოფელში და
ფიქრობს:
საიდან მოდის სიკვდილი?
ან სად მიდის ჩვენგან წასული?“

გიორგი არაბულის პოემა ლიტერატურულ-ფილოსოფიურ დისკურსს წარმოადგენს, რეკვიემს, სადაც, როგორც არაერთხელ ითქვა, პოეტმა ყველა ჩვენგანის მიერ წარმოსათქმელი წყევლა გააჟღერა:

„სიკვდილო, თუკი ადვილი ხარ,
ერთხელ შენ თვითონ რად არ
მოკვდი,
თოვლივით მზეზე რად არ დასდნი?“

ვგონებ, ეს ერთადერთი წყევლაა, რომელიც ყველას მოგვეტევება და ცოდვათა ჩამონათვალში არ განიხილება.



ლევან ბერძენიშვილი

ვაჟა-ფშაველას ნეოლიბერალური პროფანაციის თაობაზე

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას არასოდეს აკლდა, როგორც პროფესიონალ ლიტერატურათმცოდნეთა, ასევე დილეტანტ მკვლევართა ყურადღება. ამდენად, სრულიადაც არაა გასაკვირი ის ფაქტი, რომ ცნობილმა ფილოლოგმა, პარლამენტარმა ლევან ბერძენიშვილმაც განიზრახა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ საკუთარი შეხედულებების გამოთქმა და რამდენიმე „აღმოჩენაც“ გამოამზეურა. ბერძენიშვილის შეხედულებები ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თაობაზე წარმოდგენილია მის ნაშრომებში: „ქართული ლიტერატურის ლიბერალური და დემოკრატიული საფუძვლები“[1], „ადამიანის უფლებები ქართულ ლიტერატურაში“[2] აგრეთვე მის ვიდეოლექციაში: „ვაჟა – ჩვენი თანამედროვე“. ვიდეოჩანაწერი გადაიცა თიბისი ბანკის ინტერნეტტელევიზია „არტარეას“ ეთერში. შესაბამისად, ბერძენიშვილის ვაჟასმცოდნეობითი შეხედულებების შეფასებისას ვეყრდნობით ზემოთ დასახელებულ ნაშრომებს და ხსენებულ ვიდეოჩანაწერს.

ლ. ბერძენიშვილის მოსაზრებებზე მხოლოდ იმის გამო ვამახვილებთ საგანგებო ყურადღებას, რომ მათში ოსტატურადაა შერეული ტყუილი და მართალი, მასმედიის მეშვეობით შექმნილი ავტორიტეტის საფუძველზე, ამ ახალ „აღმოჩენათა“ გაცნობისას, შეიძლება გაბრიყვდნენ ბატონი ლევანის მსმენელი გამოუცდელი ახალგაზრდები, თორემ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების საფუძვლიანად მცოდნეს ბერძენიშვილის მსფელობაზე მწარედ თუ გაეღიმება მხოლოდ.

ლევან ბერძენიშვილის ვაჟასმცოდნეობთი დაკვირვებების გააზრება ნეოლიბერალური იდეოლოგიის (რომლის გულმხურვალე აღმსარებელიცაა ბერძენიშვილი) ჭრილში უნდა მოხ-

1. იხ. კრებული „დემოკრატია და ქართული კულტურა“, თბ., 2011, გვ. 67-113.

2. იხ. კრებული „ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა“, თბ., 2004, გვ. 60-82.

დეს. ამ კოსმოპოლიტური იდეოლოგიის ერთი უმთავრესი პრინციპია ბრძოლა ეროვნული ავტორიტეტების წინააღმდეგ, ვინაიდან გლობალისტურ იდეოლოგიას სძულს ასეთი ავტორიტეტები, რადგანაც სწორედ მათზე დაყრდნობით ახდენს საზოგადოება თვითრეგულაციას და გარკვეული ღირებულებების ირგვლივ ერთიანდება.

ნეოლიბერალები, ნაციონალურ ავტორიტეტებთან ბრძოლის თვალსაზრისით, ერთგულად მისდევენ თავიანთი სულიერი წინაპრების, ინტერნაციონალისტი მარქსისტების მეთოდოლოგიას: შეურაცხყოფენ, მდაბალი, საძაგელი სახით წარმოგვიდგენენ მათთვის მიუღებელი იდეოლოგიის მქონე მწერლის პიროვნებას, რათა საზოგადოების თვალში მას ავტორიტეტი არ ჰქონდეს და, მეორე მხრივ, აყალბებენ მის შემოქმედებას, გვთავაზობენ მის უკიდურესად ტენდენციურ ინტერპრეტაციას. სწორედ ამ მეთოდებს იყენებს ლევან ბერძენიშვილი ვაჟა-ფშაველასთან მიმართებით: უაღრესად საძაგელი სახით გვიხატავს ვაჟას პიროვნებას და, ამავდროულად, ამახინჯებს მის ნააზრევს, სახავს ვაჟა-ფშაველას ნეოლიბერალიზმის იდეურ წინამორბედად. მის ნაშრომში „ქართული ლიტერატურის ლიბერალური და დემოკრატიული საფუძვლები“ არათუ ვაჟა-ფშაველა, არამედ შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილიც კი ლამისაა ლიბერალ-კაპიტალიზმის აპოლოგეტებად არიან წარმოჩენილნი, მაგრამ სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ამჯერად მხოლოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ბერძენიშვილისეულ ინტერპრეტაციაზე გავამახვილებ ყურადღებას.

ბერძენიშვილის ჭორები ვაჟას შესახებ

„თუ ბიოგრაფია იწერება, უნდა დაიწეროს სიმართლით, ნამეტნავად სიყალბე უნდა შესწორდეს ჩემ სიცოცხლეშივე, რადგან იგი ჩემი სიკვდილის შემდეგაც იბარტყებს საკმაოდ“
ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველაზე წაკითხული ლექციის შესავალში ლ. ბერძენიშვილი ახალგაზრდებს პოეტის პიროვნებაზე ესაუბრება და მის ზოგიერთ პიროვნულ თავისებურებაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისივე შეხედულებით, სინამდვილეში, ვაჟა-ფშაველა საკმაოდ ბილწი და ავხორცი ადამიანი ყოფილა, რომელიც, თურმე, *„პეტერბურგში სახლში შეჰყვა ქალს და იქ უპირებდა გაუპატიურებას საკუთარი ქმრის თვალწინ“.* ბერძენიშვილის ეს განაცხადი ურცხვი ტყუილი გახლავთ. ვაჟას შესახებ არსებულ არც ერთ მოგონებაში არ დასტურდება, რომ იგი როდისმე ქალის გაუპატიურებას აპირებდა, მით უმეტეს, საკუთარი ქმრის თვალწინ. სოლომონ ყუბანეიშვილის წიგნში „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ (თბ., 1961, გვ. 131) მოთხრობილია ერთი ასეთი ამბავი: პეტერბურგში ყოფნისას ვაჟას ერთ საღამოს ქუჩაში მიმავალი ლამაზი ქალი მოსწონებია და მოსვენება არ მიუცია – გამეცანიო. „ბოლოს ქალს უთქვამს, მაშ, კარგი, წამოდი ჩემთანო. ვაჟაც გაჰყოლია. მიუყვანია სახლში, ასულა მაღლა, შეუღია კარები და ვაჟაც შიგ შეჰყოლია, მაგრამ რას ხედავს? ოჯახი სავსეა: ქალები, ბავშვები, კაცები... უკან ველარ გამობრუნებულა, არ გამოუშვიათ. ქალს წაუვლია ხელი, მიუყვანია ერთ კაცთან და უთქვამს: „პრედსტავლიაუ ეტაგო ნახალაო“. – ძალიან დამცხაო, – უთქვამს ვაჟას ს. მშველიძისათვის. – მაგრამ რაღას ვიზამდი? მოვიხადე ბოდიშიო. მთელი ოჯახი სიცილით იხოცებოდა, ის კაცი თურმე იმ ქალის ქმარი იყო. კაცმა ჩასჭიდა ხელი ვაჟას და გვერდით მიისვა: – არაფერია, მეც ბევრჯელ მომსვლია სტუდენტობის დროს ეგრეო. შემდეგ ვაჟა დადიოდა თურმე იმ ოჯახში, განათლებული ოჯახი იყოო, – უთქვამს

ვაჟას“. რა ავადმყოფური ზრახვები უნდა ამოძრავებდეს ადამიანს, რომ ამ იუმორისტულ ეპიზოდს ისეთი შეფერილობა მისცეს, თითქოს, ვაჟა *„პეტერბურგში სახლში შეჰყვა ქალს და იქ უპირებდა გაუპატიურებას საკუთარი ქმრის თვალწინ“.* კომენტარი, ვგონებ, ზედმეტია.

რისთვის სჭირდება ბერძენიშვილს ასეთი გამაოგნებელი ცილისწამება? იმიტომ, რომ ლექტორის მიზანია, ერთობ „ადამიანური“, დესაკრალიზებული სახით წარმოუდგინოს პოეტი ახალგაზრდებს და დაამსხვრიოს წარმოდგენა ვაჟას რაინდობაზე. საღი გონების ახალგაზრდა, რომელიც მოისმენს, რომ თურმე ვაჟა-ფშაველა ისეთი პირუტყვი ყოფილა, რომ ქმრის თვალწინ ქალის გაუპატიურებას აპირებდა, როგორ განეწყობა დიდი პოეტის პიროვნებისადმი? მაშინ რაღა ფასი ჰქონია ვაჟას მაღალეთიკურ იდეებს, თუ თავად მათი ავტორი ზნეობრივი მინიმუმის დაცვას ვერ ახერხებდა ცხოვრებაში?! ვინც საფუძვლიანად იცნობს ვაჟას ბიოგრაფიას, განა მისთვის ცხადი არაა, რომ ისეთი რაინდული ბუნების ადამიანი, როგორიც ვაჟა-ფშაველა იყო, ასეთ არაკაცურ საქციელს არ ჩაიდენდა?

ბერძენიშვილი უფრო შორსაც მიდის. იგი აცხადებს, რომ ზოგიერთ მთიელს უყვარდა თავის მოწონება იმ ფაქტით, რომ მის სახლში ვაჟა-ფშაველა იყო ნამყოფი. რასაკვირველია, ყველა ნორმალური ქართველისათვის სასიხარულო და საამაყო იქნებოდა ის გარემოება, რომ მის ჭერქვეშ დიდ გენიოსს გაეთია ღამე, ამაში რომ უცნაური არაფერია, ცხადია.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ შინაარსს დებს ავადმყოფური წარმოსახვა ამ ფაქტში: *„მთაში ხშირად ტრაბახობენ ხოლმე, აქ უყვარდა, ამ სახლში გაჩერება, რაც კაცმა არ იცის რას ნიშნავს, მასპინძლისაგან განსაკუთრებით. ამის მინიშნებაა, რომ შთამომავალი არის“.* ძნელია აუღელვებლად მოისმინო ეს სიტყვები. ჯერ იმ მთიელს რა ეთქმის, რომელსაც ეამაყება, რომ მსუბუქი ყოფაქცევის წინაპარი ჰყავდა და მერე – იმ გენიოსად მიჩნეულ მწერალს, რომელმაც, მართალია, „სტუმარ-მასპინძელი“ კი დაწერა, მაგრამ იმდენი არა სცოდნია, რომ მასპინძლის ოჯახში რიგიანად უნდა მოიქცე და ქალ-რძალს გასაუპატიურებლად არ უნდა დაერიო. მთიელთა ზნეობრივი კოდექსისათვის ასეთი რამ ხომ ყოვლად წარმოუდგენელია!

მაინც რა მიზანი ამოძრავებს ლევან ბერძენიშვილს, ასეთ „ორიგინალურ“ აზრებს რომ აფრქვევს? ხომ შეეძლო მას, რომ ვაჟა სრულიად სხვა, ჭეშმარიტად რაინდული სახით წარმოეჩინა მსმენელთათვის და გაეცნო მათთვის ის მოგონებები, რომლებშიც ვაჟას რაინდობის, გამაოგნებელი სულგრძელობისა და უპოვართა თანადგომის გასაოცარი ფაქტებია წარმოდგენილი? შეეძლო, მაგრამ ლ. ბერძენიშვილის მიზანი იყო ვაჟას დასახვა უზნეო, უსინდისო ადამიანად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი სისულელე ითქმის ვაჟას მდედრობით სქესთან დამოკიდებულების შესახებ. ამის მიზეზი ისაა, რომ კომუნისტური ხელისუფლება ისე ალაპარაკებდა ზოგიერთებს ვაჟას შესახებ, როგორც თავად აძლევდა ხელს (პირველი თაობის კომუნისტები, ნეოლიბერალთა მსგავსად, დაუცხრომლად იღვწოდნენ არაკომუნისტი კლასიკოსების დესაკრალიზაციისათვის, მათი ავტორიტეტის მოსპობისა და „გაშავებისათვის“[1]).

ვაჟა-ფშაველას მდედრობით სქესთან დამოკიდებულების თაობაზე ვაჟას ქალიშვილი გულქან რაზიკაშვილი ბრძანებს: „ვაჟას ქალები უყვარდაო!.. სადა სცალოდა წაწლობისა და ქალებისთვინა, მე არ ვიცოდი მამა რაი იყო, მაშ, ფიი! რომელი მწერალია, რო ქალებზე არა სწერდეს!.. ფეთებას შეიყრიდა, ქალი რასა ჰქვიანო.. თვალების ჭკვაზე უნდა იაროს კაცმაო? გულის ხმაზე უნდა იაროს, გულის ჭკვაზედაო, – იცოდა“[2]

„ცოდვა უნდა აშინებდეს კაცსაო, ცოდვას ეკრძალებოდა, კეთილით უნდა ხსენდებოდესო, – სთქვის. – ადამიანიო“.[3]

ერთი სიტყვით, ლევან ბერძენიშვილის ჭორები მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია და არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან.

„ალუდა ქეთელაური“

ლევან ბერძენიშვილის ვიდეოლექცია უმთავრესად „ალუდა ქეთელაურის“ ანალიზს ეძღვნება. ამის მიზეზი ისაა, რომ ყველაზე მეტ ლიბერალიზმს ბერძენიშვილი ამ ნაწარმოებში ხედავს და სწორედ მას მოიმარჯვებს საკუთარი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. კრიტიკოსის დასკვნით, თურმე *„ალუდამ გუმანით „იცის“ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მეოთხე მუხლის დებულება“.*[4] ქეთელაური ლიბერალიზმის ისეთ სიღრმეებს მიახლებია, რომ მტრობის ცნებაც კი გაუუქმებია. *„ვაჟა-ფშაველამ თქვა, რომ ალუდა ქეთელაური არის კაცი, რომელმაც მტრობა გააუქმა.“ „ვაჟა-ფშაველამ თქვა, რომ მტერი საერთოდ არ არსებობს“*, – ასე ესახება ორატორს პოემის მთავარი სათქმელი. ლ. ბერძენიშვილის აზრით, ვაჟა-ფშაველა იესო ქრისტეზე წინ წასულა, რადგან ქრისტიანობა, თურმე, მხოლოდ ფორმალურად აუქმებს მტრობის ცნებას, ვაჟა-ფშაველას კი ფაქტობრივად გაუუქმებია. ქრისტეს სიტყვები „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა“ (მათე 5, 39), ბატონი ბერძენიშვილის აზრით, სინამდვილეში ნიშნავს – *„უპოვე საყვარელი ადგილი მტერს“*.

უფლის სიტყვების ასეთი, ერთობ „ორიგინალური“ წაკითხვა უკიდურესი დამახინჯებაა სახარების ზნეობრივი სწავლებისა. იესო ქრისტე, ბერძენიშვილის მიხედვით, ფარისეველთაგან თურმე არაფრით განსხვავდებოდა, რადგან მტრის არა ნამდვილი, არამედ მოჩვენებითი სიყვარულისაკენ მოუწოდებდა. ქრისტიანობა მტრის ნამდვილი, გულითადი სიყვარულისაკენ უხმობს ადამიანს და არა თვალთმაქცობისკენ. წმ. მამათა თქმით, „ყოველი დაბადებული ადამიანი მოყვასია“. ამიტომაც უნდა უყვარდეს ადამიანს ყველა, მათ შორის თავისი მოძულეებიც, ამას გულისხმობს „არა წინა-აღდგომად ბოროტისა“ (მათე 5, 39), მაგრამ, როდესაც ბოროტება საზოგადოებრივ საფრთხეს წარმოადგენს, ემუქრება საზოგადოებას ფიზიკური და სულიერი განადგურებით, ქრისტიანი ვალდებულია, წინ აღუდგეს და შეებრძოლოს მას. ამიტომ აკურთხებს ეკლესია თავდაცვით ომებს და მეომართა თავგანწირვას, რადგან „არავის აქვს იმაზე მეტი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მოყვასისათვის” (იოანე 15:13).

ვაჟა-ფშაველას ეთიკური მსოფლმხედველობის საყრდენი, რა თქმა უნდა, ქრისტიანობაა. ვაჟას ქრისტიანული მრწამსი შესანიშნავად ვლინდება ღვთისადმი მიმართულ პოეტურ ვედრებაში:

„ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა,

1. იხ. თუნდაც კრებული „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“, ფ. მახარაძის წინასიტყვაობით, ტფ., 1931.

2. მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი, გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი. ჩაიწერა ეთერ თათარაიძემ, თბ., 1991, გვ. 9.

3. იქვე, გვ. 63.

4. ლ. ბერძენიშვილი, ადამიანის უფლებები ქართულ ლიტერატურაში, გვ. 74.

ოღონდ ამშორდეს მგელობა,
არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!“

მაგრამ, როდესაც საქმე სამშობლოს მტერს ეხება, ვაჟა-ფშაველა შეურიგებელია. ვისაც ზერელედ მაინც გადაუკრავს თვალი მისი შემოქმედებისათვის, კარგად მოეხსენება, რომ სამშობლოს მტრისადმი თავდაუზოგავი ბრძოლისაკენ მოწოდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთი უძირითადესი მოტივია:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შაგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება...
მტრისაკენ მივიზიდებით,
რომ გავწყდეთ, როგორც ლომები...
შვილებს საზღაპროდ ექნება
ჩვენი ბრძოლა და ომები!“ – და ა.შ.

მაგრამ, იქნებ, ალუდა ქეთელაურმა გააუქმა მტრობის ცნება? პოემის ტექსტი, რა თქმა უნდა, სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მოძმეთაგან შერისხული ალუდა ამბობს: **„მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!“** ალუდას ეს სიტყვები ნაცარტუტად აქცევს ბერძენიშვილის ჰაერზე დაფუძნებულ მსჯელობას. აქედან ჩანს, რომ ალუდას არც მტრობის ცნება გაუუქმებია და სამშობლოს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაზე ამბობს უარს.

მიუხედავად პოემის ტექსტისა, ლევან ბერძენიშვილი მაინც ჯიუტად ცდილობს, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ჰეროიკულ-რაინდული სულისკვეთება დააკნინოს და პოეტი წელმოწყვეტილ ლიბერალად, ნეოლიბერალური კონფორმიზმის მქადაგებლად დასახოს, რაც ორატორს კომიკურ ვითარებაში აყენებს.

„ვაჟა-ფშაველამ ალუდა ქეთელაური რომ დაწერა, თქვა, საქართველოს ისტორია დამთავრდა, ქართული იდეოლოგია დამთავრდა, ყველანაირი აზროვნება საქართველოში დამთავრდა, ახლა არის ახალი აზროვნება, ამ ახალ აზროვნებას ჰქვია ვაჟა-ფშაველიზმი... რაც ნიშნავს იმას, რომ მტრობა საერთოდ არ არსებობს“, – ბრძანებს ბერძენიშვილი. უდავოდ, თავისებური ნიჭი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ერთ წინადადებაში ამდენი ტყუილის თქმა მოახერხოს.

რა „საქართველოს ისტორია დამთავრდა“? რა „ქართული იდეოლოგია დამთავრდა“? რა „ვაჟა-ფშაველიზმი“? რა „მტრობა საერთოდ არ არსებობს“?! სად დაამთავრა ვაჟა-ფშაველამ საქართველოს ისტორია? რა ახალი იდეოლოგია დაამკვიდრა მან? განა საქართველოს ისტორიული წარსული უმძლავრესი შემოქმედებითი იმპულსი არ არის ვაჟა-ფშაველასათვის? განა სიძველით არ სუნთქავს ვაჟას მთელი შემოქმედება? განა წინაპართა ნაფიქრ-ნაღვაწთან უწყვეტი ერთიანობა არ არის ვაჟას პოეზიის უმთავრესი მახასიათებელი?

არავითარი ახალი იდეოლოგია ვაჟას არ შემოუღია. იგი ერთგული მიმდევარი იყო ილია ჭავჭავაძის ნაციონალური იდეისა და წერდა: „ყოველი კაცი იმედით სცოცხლობს და ჩვენც, როგორც მომაკვდავთ, იმედი გვასულდგმულებს, რომ ხალხი „ნაციონალისტებისაკენ“ გადმოვა და იმათ კი, ვინც გზა-კვალს ურევს, საბოლოოდ და დღესდღეისობით გამოსადეგს არაფერს ასწავებს, ზურგს შეაქცევს... ამის ნიშნებს, ჩვენდა სასიხარულოდ, ვხედავთ დღეს. ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ ეს „ნაციონალიზმი“ მუდამ იქნება ჯანსაღი და არადროს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევა“.[1]

კიდევ უფრო შორს მიდის ლ. ბერძენიშვილი, როდესაც პოემის ფინალს აანალიზებს. *„ტრადიციულად ითვლება, რომ ვაჟა-ფშაველამ დახატა კონფლიქტი თემსა და პიროვნებას შორის, რომელშიც თემმა ფიზიკურად იმძლავ-*

რა, მაგრამ მორალური გამარჯვება ალუდას დარჩა. სინამდვილეში აქ ყველაფერი უპირისპირდება ერთმანეთს და არავინ არის მტყუანი, ყველა მართალია. ვაჟა-ფშაველამ წარმოადგინა მრავლობითი ჭეშმარიტების, მორალური პლურალიზმის გენიალური მაგალითი... თემიც მართალია და ალუდაც მართალია. უბრალოდ, ჩვენს მეტ სიმპათიას ალუდა ქეთელაური იწვევს".[2]

თურმე, ჯერ სად ყოფილან ნეოლიბერალები, როცა ვაჟა-ფშაველას რელატიური ეთიკა, ჭეშმარიტებათა პლურალიზმი უქადაგია!

ნაწარმოებში, ცხადია, არავითარი მინიშნება არ გვაქვს რაიმე მორალურ პლურალიზმზე ანდა იმაზე, რომ ვაჟა თემს ამართლებდეს. თავისი მოსაზრების გასამყარებლად ლევან ბერძენიშვილს მხოლოდ ერთი არგუმენტი მოაქვს. ბატონი ლევანის აზრით, ის ფაქტი, რომ განკვეთილი ალუდა არ აძლევს დედასა და ცოლს თემის დაწყევლის უფლებას („ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ, ნუ გადიქცევით ცეტადა!"), უნდა მიგვანიშნებდეს ალუდას და, შესაბამისად, ვაჟა-ფშაველას მიერ იმის აღიარებაზე, რომ თემსაც თავისი სიმართლე აქვს.

აქ უმჯობესია, გავიხსენოთ, როგორი სისასტიკით ექცევა თემი ალუდას. „ჯაგარაშლილი" ბერდია მოუწოდებს ხევსურებს:

„დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,
ყველანი – დიდნი, მცირენი, –
სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი;
ნუ დაინანებთ, ექმნენით
ცოლ-შვილის ამატირენი...
ცეცხლი მიეცით საძნოვარს, –
ცასა სწვდებოდეს ალები...
შატილს ცოლ-შვილი უტირეთ,
გუდანს – შინშნი და ქალები;
ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შასაბრალები".

მხოლოდ ერთს ვიკითხავთ: შეიძლება, საღ გონებაზე მყოფმა ადამიანმა საკუთარი ოჯახისადმი გამოვლენილი ამგვარი სისასტიკე **გაამართლოს**? მან მხოლოდ შეიძლება **მიუტევოს** მოძალადეებს.

ალუდა თემს კი არ ამართლებს, არამედ დიდსულოვნად მიუტევებს მას. ზემოთ ციტირებული სიტყვების („ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ, ნუ გადიქცევით ცეტადა!") მხატვრული ფუნქციაა, გვიჩვენოს პერსონაჟის დიდბუნებოვნება, მისი სულიერი სიმაღლე. ეს სიტყვები ზუსტად შეესაბამება ნაწარმოების მხატვრული განვითარების ლოგიკას. აბა, სხვაგვარად როგორ მოიქცეოდა ალუდას მსგავსი ზნეობრივი გმირი ამ შემთხვევაში? ხომ არ შეაგულიანებდა ქალებს და თავადაც აჰყვებოდა თემის ლანძღვაა-გინებაში?!

განა თემისაგან შერისხული ჯოყოლა ალხასტაისძე ბოლოს მაინც თანამოძმეთა გვერდით რომ იბრძვის, ამით ამართლებს მათ საქციელს? განა იესო ქრისტე რომ ამბობს თავის ჯვარმცმელებზე: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან" (ლუკ. 23,34) ამით აღიარებს, რომ მათ თავიანთი სიმართლე აქვთ?

ლევან ბერძენიშვილის გაცვეთილი კლიშე ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციას შეიძლება მივუყენოთ და შემდეგ დავიწყოთ მსჯელობა ჭეშმარიტებათა პლურალიზმზე. ამ აზრით, ქრისტეს ჯვარმცმელებზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათაც ჰქონდათ საკუთარი სი-

1. ლ. ბერძენიშვილი, ქართული ლიტერატურის ლიბერალური და დემოკრატიული საფუძვლები, გვ. 100-101.

2. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. 9, თბ., 1964, გვ. 291.

მართლე, მით უმეტეს, რომ, როგორც ალუდა არ აძლევს ქალებს თემის დაწყევლის ნებას, ასევე ქრისტეც არ აძლევს მის თანმხლებთ უფლებას, რომ მახვილით აღუდგნენ წინ მის შესაპყრობად მოსულ ხალხს. ლ. ბერძენიშვილის ლოგიკით გამოდის, რომ სახარებაც მორალური პლურალიზმის გენიალურ მაგალითს გვიჩვენებს!

ერთი სიტყვით, ლევან ბერძენიშვილის მსჯელობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ძალიან კი ცდილობს ავტორი, რომ ყველაფერი თავდაყირა დააყენოს, მაგრამ ეს მისი აზროვნების სტილია და არც არის გასაკვირი. არავითარ მორალურ პლურალიზმზე, ეთიკურ რელატივიზმზე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სერიოზულად არ შეიძლება იყოს საუბარი. ბერძენიშვილის მიერ ვაჟას მორალურ პლურალისტად გამოცხადებას სხვა, შორს მიმავალი მიზანი აქვს. ვაღიარებთ რა იმას, რომ ვაჟა-ფშაველა ზნეობრივ სფეროში მრავალი ჭეშმარიტების, ურთიერსაპირისპირო საწყისების თანაბარ ღირებულებას აღიარებდა, აქედან ერთი ნაბიჯიღა რჩება ვაჟა-ფშაველას სექსუალურ უმცირესობათა მეგობრად და მფარველად გამოცხადებამდე.

დიახ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ირგვლივ გამართული ნეოლიბერალური ჩხირკედელაობა ბოლოს აუცილებლად დასრულდება იმით, რომ ბერძენიშვილის ნაკვალევზე მოსული რომელიმე ახალბედა ავტორი დაწერს: რადგანაც ალუდა ქეთელაური და ჯოყოლა ალხასტაისძე უპირისპირდებიან საზოგადოებას, ამდენად, ისინი იბრძვიან უცხოს უფლებებისათვის და, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე ეპოქაში ეს გმირები აუცილებლად იბრძოლებდნენ გეებისა და ლესბოსელების გამოხატვის თავისუფლებისათვის, სოციუმში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის! აი, საით მიერეკება ბერძენიშვილის მსჯელობა.

ბერძენიშვილის მხრიდან კიდევ ერთი დიდი სიყალბეა ვაჟა-ფშაველას ლიბერალური ინდივიდუალიზმის მეხოტბედ გამოცხადება. იგი წერს, რომ ვაჟა-ფშაველა ინდივიდის უფლებებს საზოგადოების უფლებებზე მაღლა აყენებდა: *„ვაჟა-ფშაველა მკითხველის წინაშე სრული სიმძაფრით აყენებს ორი სიმართლის, მრავალი ჭეშმარიტების პრობლემას და, როგორც ავტორი, გულშემატკივრობს ჭეშმარიტების იმ მხარეს, რომელიც ადამიანის უფლებებს საზოგადოების უფლებებზე მაღლა აყენებს“.*[1]

მტკნარი სიცრუეა. ვაჟა-ფშაველა არსად აყენებს ადამიანის უფლებებს საზოგადოების უფლებებზე მაღლა. პოეტისათვის იდეალია არა ისეთი საზოგადოება, რომელსაც ლიბერალი ინდივიდი აზის თავზე, არამედ სოციუმი, სადაც დაბალანსებულია პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა, სადაც აღიარებულია ორივე მხარის უფლებების თანაბარი ღირებულება. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში მწერალი ერს უფრო მეტ უფლებას ანიჭებს, ვიდრე ინდივიდს. მოთხრობაში „დედამიწამ რა სთქვა?“ დედამიწა ასეთი სიტყვებით მიმართავს ადამიანს: „ადამიანო, ნუ ამბობ, ეს მიწა ჩემის ხმლით დაჭერილი მაქვსო... შენ მარტოს არა გაქვს უფლება სთქვა, ეს ჩემია და მარტო ჩემიო. ეს შეუძლიან სთქვას მხოლოდ ერმა და მარტო ერმა, რადგან ერი ჩემი შვილი და მე დედა მისი“.[1]

ვაჟა-ფშაველას ინდივიდუალიზმთან დამოკიდებულების საკითხი ჩვეული სიღრმით აქვს განხილული ვაჟას შემოქმედების აღიარებულ მკვლევარს გრიგოლ კიკნაძეს: „გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობების წინააღმდეგ ბრძოლა და ასეთ ინდივიდთა

1. ლ. ბერძენიშვილი, ადამიანის უფლებები ქართულ ლიტერატურაში, გვ. 77.

მხარეზე ყოფნა, რასაკვირველია, უეჭველად ინდივიდუალიზმის აპოლოგიას არ ნიშნავს... ვაჟა-ფშაველას გმირები ინდივიდუალისტები არ არიან. ისინი სოციალურ პიროვნებებს წარმოადგენენ, ოღონდ მათ ჯანსაღი სოციალური პირობები იზიდავთ... ვაჟა დაინტერესებულია ინდივიდუალურისა და სოციალურის შერწყმა-შეთვისების პრობლემით; იგი ისეთ სოციალურს მოითხოვს, რომელიც ინდივიდუალობას გაუწევს ანგარიშს".[2]

მკვლევარი მიუთითებს, რომ ვაჟას ეს გმირები არ იბრძვიან რაიმე უფლებებისათვის: „ვაჟას გმირების ამდაგვარი მოქმედება ამა თუ იმ უფლების მოსაპოვებლად როდი წარმოებს; არაფერი არ უნდა გმირს გარდა იმისა, რომ სხვის წინაშე ვალდებულება იკისროს. უფლების და რაიმე უპირატესობის ძიებისაგან პიროვნება აქ თავისუფალია".[3] მართლაც, ვაჟას გმირები იბრძვიან არა რაიმე უფლებების მოსაპოვებლად, არამედ პიროვნული ღირსების ხელშეუხებლობისათვის. ჯოყოლა იმიტომ კი არ უპირისპირდება თემს, რომ რაიმე **უფლებას** მოითხოვს, არამედ იმიტომ, რომ თემი არ აძლევს საშუალებას მას, აღასრულოს წმიდათაწმიდა **მოვალეობა** სტუმარ-მასპინძლობისა. აქ პიროვნება თემის ადათებს კი არ უპირისპირდება, არამედ პირიქით, მხოლოდ იგი აღასრულებს მას და საღვთო კანონის დამრღვევ თანამოძმეებსაც იმავეს მოუწოდებს:

„ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?
თვის რჯული დაგიწყებიათ,
მიტომ იქცევით მცდარადა!"

ერთი სიტყვით, ჯოყოლა უწმინდესი მოვალეობის ღალატში თემს სამართლიანად ადანაშაულებს.

თუ საფუძვლიანად გავეცნობით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, ვნახავთ, რომ ვაჟასთან გაცილებით მეტია საუბარი არა უფლებებზე, არამედ – მოვალეობებზე. ვაჟა ადამიანურ მოვალეობათა მეხოტბე ავტორია. სწორედ მოვალეობისადმი უდიდესი ერთგულებით გამოირჩევიან ვაჟა-ფშაველას იდეალური პერსონაჟები. ვაჟასათვის მოვალეობა არ არის ავტორიტეტისადმი შიშის საფუძველზე წარმოშობილი, ადამიანის თავისუფლების შემლახველი და დამაკნინებელი გრძნობა, არამედ ესაა მოქმედების გაცნობიერებული აუცილებლობა. ვაჟას გმირებს იმდენად აქვთ გათავისებული მოვალეობის ცნობიერება, რომ მოვალეობის აღსრულება მათ შინაგან, სასიცოცხლო მოთხოვნილებად არის ქცეული.

XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები სწორედ ერისადმი, საზოგადოებისადმი მსახურების მოვალეობით აშუალებდნენ პიროვნების თავისუფლებას, განსხვავებით დღევანდელი „მოღვაწეებისაგან", რომელთაც ლიბერალი ინდივიდის თავნებობას შესწირეს და გადააყოლეს ყველაფერი.

ერთი სიტყვით, მცდარია ლევან ბერძენიშვილის დებულება იმის თაობაზე, რომ ვაჟა-ფშაველამ მტრის ცნება გააუქმა, მცდარია მისი შეხდულება, რომ ვაჟა-ფშაველა მორალური პლურალიზმის მაგალითს გვიხატავს და არასწორია მოსაზრება, რომ პოეტი ადამიანის უფლებებს საზოგადოების უფლებებზე მაღლა აყენებს. ეს ყველაფერი არის ბერძენიშვილის სურვილი და არა სინამდვილე.

---

1. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. I, თბ., 2005, გვ. 136-137.
2. გ. კიკნაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 2005, გვ. 136-137.
3. იქვე, გვ. 133.

ვაჟა-ფშაველა და ქართველი საზოგადოება

ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ქართველი საზოგადოება უარყოფითად შეხვდა პოემა „ალუდა ქეთელაურს“, ნაწარმოებში გამოხატული იდეის – საყოველთაო შემწყნარებლობის გამო, რადგან ქართველებისათვის, თურმე, მიუღებელი იყო ისეთი მასშტაბის ლიბერალიზმი, როგორიც ვაჟამ იქადაგა. *„ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ არის ცაში დაწერილი ნაწარმოები, ქართველები მიადგნენ, ჩამოათრიეს მიწაზე და „შვლის ნუკრის ნაამბობის“ ავტორად აქციეს“,* – ლიტერატურათმცოდნეობისათვის სრულიად შეუფერებელი ლექსიკით გვიხსნის საქმის ვითარებას ორატორი.

ნუთუ მართალა მიუღებელი აღმოჩნდა პოემის მთავარი სათქმელი საზოგადოებისათვის? იქნებ მართალა არ აპატიეს ქართველებმა ვაჟას „ალუდა ქეთელაურის“ დაწერა და დაიწუნეს ნაწარმოების იდეა? რა თქმა უნდა, რეალობა სრულიად განსხვავებულია და ლევან ბერძენიშვილის განაცხადი მტკნარი სიცრუე გახლავთ. **XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ვაჟას ხსენებული პოემის შესახებ არც ერთი უარყოფითი გამოხმაურება არ გამოქვეყნებულა. პირიქით, გ. ყიფშიძემ და ი. ვართაგავამ უმაღლესი შეფასება მისცეს „ალუდა ქეთელაურს“.**[1] იპოლიტე ვართაგავა წერდა: „იმ დროს როდესაც მომეტებული ნაწილი თანამედროვე მოწინავე, კულტურითა და ცივილიზაციით მოამაყე ერებისა დღესაც ვერ ამაღლებულა ადამიანთა საერთო ძმობის შეგნებამდი, იმ დროს როდესაც „კულტუროსანი“ ევროპიელი დღესაც არ ერიდება უმიზეზოდ – მხოლოდ ანგარებისათვის – შელახოს და შეაგინოს სახელი... ღირსეულ პატარა ერებისა... იმ დროს როდესაც „განათლებული“ ევროპიელნი დღესაც, მეოცე საუკუნეში სინდისის მხილებასაც არ განიცდიან... ღვიძლი ძმების სისხლის დაღვრისათვის... „უკულტურო“, „გაუნათლებელი“ ბავშვობიდან ომიანობას, ხანჯლის ტრიალს და სისხლის ღვრას დაჩვეული მთის შვილი ალუდა ისეთს შეგნებას, განცდას და მგრძნობიარობას იჩენს, რომელიც იშვიათი მოვლენაა განათლებულ ევროპაშიც და რომელიც დიდბუნებოვან, რჩეულ ადამიანთა ხვედრია“. კრიტიკოსის აზრით, „ალუდა ნამდვილი განხორციელებაა ძველი ქართველისა – მისი ვაჟკაცობისა, დიდსულოვნობისა, ღრმა და შეგნებულ მორწმუნეობისა. ის წარმომადგენელია ქრისტიანულ კულტურით გრძნობა-გონება გაპატიოსნებულ... ძველი ჯვაროსანი ქართველისა“. ი. ვართაგავა სრულიად მართებულად აფასებს ნაწარმოების მხატვრულ-ეთიკურ ღირებულებას: „იმისთანა ღრმა შინაარსიანი, იდეური და ფილოსოფიური პოემა გენიოსებად აღიარებული მწერლების ნაწარმოებებშიც ერთი-ორიღა თუ შეგხვდებათ!.. თვით მეცხრამეტე საუკუნის მსოფლიო გენიოსი და „უდიდესი მწერალი რუსეთის მიწისა“ – ტოლსტოიც სიამოვნებით მოაწერდა ხელს „ალუდა ქეთელაურზე“.[1]

იპოლიტე ვართაგავას ეს შეხედულება ქართველთაგან ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. ამდენად, ბატონი ლევანი, ჩვეულებისამებრ, ურცხვად იტყუება.

შემდეგ იგი გადადის იმის მტკიცებაზე, რომ ქართველი საზოგადოების ზეწოლით, ვაჟა-ფშაველამ შეიცვალა ეთიკური პოზიცია ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით. ვინც ვაჟას ბიოგ-

1. იხ. კრებული ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში: I, ქრესტომათია, შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო იოსებ ბოცვაძემ, თბ., 1955, გვ. 107, 264-276.

რაფიას გაეცნობა, ნახავს, რომ დიდი პოეტის ერთი უმთავრესი თვისება ურყევი ხასიათი, თუ შეიძლება ითქვას, სიკერპე გახლდათ. ვაჟა არ იყო ის ადამიანი, რომელიც რაიმე ზეწოლის შედეგად სხვის ჭკუაზე გაივლიდა. მაშინ, როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილისათვის გაუგებარი და მიუღებელი იყო ვაჟა-ფშაველას პოეტური ენა, მას ოდნავადაც არ დაუხევია უკან, იგი ყურს არ ათხოვებდა მოქირქილეებს და ერთგულად მიჰყვებოდა არჩეულ გზას. სავსებით გამართლებული იქნება ვაჟაზეც იგივე სიტყვები გავიმეოროთ, რაც თავად მან ბრძანა ილია ჭავჭავაძის შესახებ: ვაჟა-ფშაველა მთლიანი პიროვნება იყო, როგორც „ზოდი ოქროსი“. ამდენად, საზოგადოების ზეწოლის შედეგად ვაჟას გარდაქმნის ამბავი მონაჭორი გახლავთ, რისი არავითარი რეალური საბუთიც არ არსებობს.

მაშ, რა მიზანი აქვს ლევან ბერძენიშვილის მტკიცებას, რომ თითქოს ქართველებმა „ალუდა ქეთელაურის“ დაწერა არ აპატიეს ვაჟას და შემდეგ აიძულეს პოეტი, „სხვაგვარად“ ეთხზა? რატომ საუბრობს ორატორი ამ პოემის ირგვლივ არსებულ დაპირისპირებაზე მაშინ, როდესაც სინამდვილეში მსგავსი არაფერი ყოფილა? საქმე ისაა, რომ ვაჟას ნაწერთა ჩხრეკისას მან ვერსად მონახა ნეოლიბერალიზმის საფუძვლები, იდეები, რომლებიც საბაბს მისცემდა მას, ვაჟა თავის სულიერ წინამორბედად დაესახა, ამიტომაც ასეთი „გამოსავალი“ იპოვა: კი უნდოდა ვაჟას ნეოლიბერალური ტოლერანტობის, ჭეშმარიტებათა პლურალიზმის ქადაგება, მაგრამ საძაგელმა ქართველებმა არ დაანებეს და ამიტომაც ვერ ვხვდებით მის შემოქმედებაში სათანადო მაგალითებსო. დიდებული გამოსავალია! ღიმილისმომგვრელია ლევან ბერძენიშვილის თავგამოდებული მცდელობა – ვაჟა-ფშაველა დასახოს ქართველთაგან წამებულად, რომელიც, თურმე, ევნო თავისი ლიბერალიზმისათვის.

ძალზე ტენდენციურად, ყოველგვარი ლიტერატურული ტაქტის გარეშე მსჯელობს ლევან ბერძენიშვილი ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ვერ მონახა რა საბუთი იმისა, რომ ქართველებმა ვაჟას „ალუდა ქეთელაური“ დაიწუნეს, მან ახალი თეორია გამოაცხო, რომ თურმე, აკაკის ვაჟასადმი მიმართული ცნობილი სიტყვები: „ენას გიწუნებ, ფშაველო...“ ნიშნავდა *„იდეოლოგიას გიწუნებ, არ მომწონს შენი აზროვნებაო“*. ბატონი ლევანის აზრით, *„ვაჟა-ფშაველამ გაიმარჯვა იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომელშიც მას აკაკი და მთელი საქართველო დაეტაკა „მტერობის“ დროშით“*. დემაგოგიის იშვიათი ნიმუშია ეს სიტყვები.

აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პოლემიკა საყოველთაოდაა ცნობილი. არავისთვის წარმოადგენს სიახლეს ის ფაქტი, რომ **აკაკი წერეთლისათვის მიუღებელი იყო ვაჟა-ფშაველას პოეზიის ენობრივი სტილი და ამით ამოიწურებოდა დაპირისპირების მთელი შინაარსი. აკაკის ნაწერებში ერთი უმცირესი მინიშნებაც კი არ გვაქვს იმის თაობაზე, რომ მას ვაჟას „იდეოლოგია“ არ მოსწონდა.** ცნობილ ლექსში აკაკი ვაჟა-ფშაველას მოიხსენიებს, როგორც „მარგალიტების მთესველს“. მარგალიტებად სწორედ ვაჟას იდეები უნდა ვიგულვოთ, რომელსაც აკაკის აზრით, არც მთლად გამართული ენით გვითესავს პოეტი.

აკაკი წერეთელი დიდი პატივისმცემელი იყო ვაჟა-ფშაველას პიროვნებისა და შემოქმედებისა. 1890 წელს აკაკი წერეთელმა ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველა

1. ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში I, 1955, გვ. 272, 273, 276.

დაიცვა თავისი უახლოესი მეგობრის ნიკო ნიკოლაძის უმართებულო კრიტიკისაგან [1](პოლემიკა შეეხებოდა ვაჟას საბავშვო მოთხრობას „ჩვენი მამალი“). აკაკისვე ეკუთვნის დიდი სითბოთი და პატივისცემით განმსჭვალული მოგონება ვაჟას პიროვნული ღირსების, მისი ვაჟკაცობისა და შეუპოვრობის თაობაზე.[2] მოგონებაში მოთხრობილია, თუ როგორ გააპანღურა ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველამ „დროების“ რედაქციიდან პენზელი ავანტიურისტი ნიკოლაი აშინოვი, რომელიც გაზეთის რედაქტორს მოკვლით ემუქრებოდა.

თავის მხრივ, ვაჟა-ფშაველაც დიდი პატივისმცემელი იყო აკაკი წერეთლის პიროვნებისა. ამის დასტურად ვაჟას მიერ გამოვლენილი სულგრძელობის ის შესანიშნავი მაგალითიც იკმარებს, აკაკის იუბილეზე უბრწყინვალესი მისასალმებელი ლექსით რომ გამოვიდა.[3]

ამრიგად, ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთელს შორის არავითარი არსებითი მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება არ ყოფილა. პოლემიკა ეხებოდა მხოლოდ სტილის საკითხებს (არამც და არამც „ალუდა ქეთელაურსა“, მით უმეტეს, ვაჟა-ფშაველას მიუღებელ „იდეოლოგიას“) და ვაჟა, როგორც თავადაც აღიარებდა, გამგრძელებელი იყო სამოციანელთა ლიტერატურული ტრადიციებისა. ლევან ბერძენიშვილი კი ამ შემთხვევაშიც, ჩვეულებისამებრ, ფაქტებზე ძალადობს.

უნდა ითქვას ისიც, რომ ვაჟას თანამედროვე ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა სათანადოდ ვერ შეაფასა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის და ავტორი განათლებასთან მწყრალად მყოფ პროვინციელად ჩათვალა. დრომ დაადასტურა, რომ პროვინციალიზმი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სხვისი წამხედურობით ეროვნული კულტურისადმი მაღლიდან ცქერაში გამოიხატება.

ცალკე საუბრის თემაა იოსებ სტალინის დამოკიდებულება ვაჟა-ფშაველასადმი. აქ ლევან ბერძენიშვილი უკვე ფანტასტიკის სფეროს მიაშურებს და ვარაუდს გამოთქვამს, რომ შესაძლოა სტალინს სურდა ხალხისთვის მიენიშნებინა, რომ თითქოს იგი ვაჟა-ფშაველას უკანონო შვილი იყო. მიუხედავად ამისა, ლ. ბერძენიშვილის მიხედვით, მაინც სტალინი ყოფილა ინიციატორი 1940-50-იან წლებში ვაჟას სახელის წინააღმდეგ აგორებული იდეოლოგიური კამპანიისა. აღნიშნულ საკითხს მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული გამოკვლევა უძღვნა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცნობილმა მკვლევარმა, პროფესორმა იუზა ევგენიძემ.[1] ნაშრომში სათანადო წყაროებზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ სტალინს არ გაუცია უშუალო ბრძანება ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ გალაშქრებისა. ეს ყველაფერი გახლდათ საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი პირის, კანდიდ ჩარკვიანის პირადი ინიციატივა, რაც გაპირობებული იყო მლიქვნელობითა და თავის გამოჩენის სურვილით, რაზეც სტალინისაგან საყვედურიც კი დაიმსახურა. მოგვიანებით, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ჟამს, როცა მოდური გახდა ყველაფრის სტალინისათვის გადაბრალება, ამხანაგმა კანდიდმაც დიდ ბელადს შეაწმინდა ხელი, თან წარმოად-

1. იხ. გაზეთი „თეატრი“, 1890, №8-10.

2. იხ. გაზეთი „Закавказская Речь“, 1911, №105.

3. ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის ურთიერთმიმართების შესახებ ვრცლადაა მოთხრობილი პროფესორ იუზა ევგენიძის წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, თბ., 2009, გვ. 268-282.

გინა დეტალური დიალოგი, რომელიც თურმე მას სტალინთან სატელეფონო საუბრის შემდეგ ჩაუწერია. სტალინთან სატელეფონო საუბრის დროს თვით მარშლებიც კი ფეხზე წამოიჭრებოდნენ და დაძაბულობისაგან საყელოს იკრავდნენ ხოლმე, კანდიდ ჩარკვიანს კი იმდენი მოუხერხებია, რომ დეტალურად ჩაუწერია ბელადის ნაუბარი. ერთი, სიტყვით, ამხანაგი კანდიდის ცნობები ნაკლებადაა სარწმუნო.

სტალინის პიროვნებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ სტალინი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პატივისმცემელი იყო. სწორედ მისი დავალებით გადაასვენეს ვაჟა მთაწმინდაზე 1935 წელს, მანვე მოაწერა ხელი საკავშირო მთავრობის დადგენილებას ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა სრული კრებულის გამოცემის თაობაზე და სტალინის ბრძანებითვე ვაჟას სახელი შეიტანეს იუნესკოს ხუთი აღიარებული კლასიკოსის სიაში.[2]

ყველაფრის სტალინისათვის გადაბრალება, უკვე დიდი ხანია, ჩვენი ლიბერალების ინტელექტუალური უმწეობის დასტური და იოლად ფონს გასვლის საშუალებაა.

ვაჟა-ფშაველა და ლევან ბერძენიშვილი პატრიოტიზმის შესახებ

2003 წელს დაწერილ თავის ნაშრომში „პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადასხვა დონე“ ლევან ბერძენიშვილი ხოტბას ასხამს ვაჟა-ფშაველას თეორიულ შეხედულებებს კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების თაობაზე. ავტორს ვაჟას ნააზრევი სადღეისოდაც სანიმუშოდ მიაჩნია. *„1905 წელს ვაჟა-ფშაველამ დაწერა სტატია „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, სადაც ბევრი საკითხი ისე კარგად არის გადაჭრილი, რომ დღესაც კი, როცა XX საუკუნემ ამ სფეროში ახალი უმნიშვნელოვანესი გამოცდილება მოიტანა და ვითარება სრულიად შეიცვალა, არანაირ კორექტივს არ საჭიროებს“,*[1] – წერდა იმ დროს ბერძენიშვილი.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ადამიანის შეხედულებები დროთა განმავლობაში იცვლება და ვითარდება. დღეს ლევან ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ ვაჟა-ფშაველას ნააზრევი, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, უკვე განვლილი ეტაპია. ვაჟას შემოქმედების შესახებ წაკითხულ ლექციაზე იგი ამბობს: *„მისი სტატიები, მათ შორის ისიც, რომელიც გაფეტიშებულია დღეს, ჩვენ დაძლეული გვაქვს, მაგალითად, როგორიც არის სტატია „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ გავლილი გვაქვს და ცოტა უფრო შორსაც ვართ წასულნი... „ასავალ-დასავალისათვის“ შეიძლება ის ძალზე პროგრესულიცაა, მაგრამ ძირითადად ეს დაძლეული გვაქვს“.* ერთი სიტყვით, ბატონი ლევანი უკვე ძალიან შორს წასულა და უკან მოუტოვებია ვაჟა-ფშაველა. საინტერესოა, რატომაა მიუღებელი მისთვის ვაჟას პოზიცია.

ვნახოთ, თუ რას ბრძანებს თავად ბერძენიშვილი პატრიოტიზმის შესახებ. მისი თვალთახედვით, *„ყველაზე პერსპექტიული და ყველა თვალსაზრისით სასარგებლო არის ამ ცნების ამერიკული განმარტება, რომლის მიხედვით პატრიოტიზმი ზუსტად იგივეა, რაც*

1. იუზა ევგენიძე, „ქართული პუბლიცისტურ-ლიტერატურული აზროვნება კულტურის კრიზისის კონტექსტში“, იუზა ევგენიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული: „ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს“, თბ., 2013, გვ. 125-230.

2. ვრცლად აღნიშნულის შესახებ იხ. ი. ევგენიძის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 196-229.

ლოიალობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი".[2]

„როდის გვექნება თანამედროვე და სრულფასოვანი პატრიოტიზმი? – კითხვას სვამს ლევან ბერძენიშვილი და თავადვე პასუხობს, *– მაშინ, როცა პატრიოტული ფრაზა იქნება: – არა „ვასრულებ ილიას ნაანდერძალს!" ან „წინ, ახალი დიდგორისაკენ!", არც „მამული, ენა, სარწმუნოება" და არც თუნდაც „მე მიყვარს ქართველი ხალხი", არამედ – „ყოყმანისა და ორჭოფობის გარეშე ვემორჩილები საქართველოს პრეზიდენტის (ან პარლამენტის, ან უზენაესი სასამართლოს) გადაწყვეტილებას (მიუხედავად იმისა, რამდენად ხელსაყრელი და მომგებიანია იგი ჩემთვის)!!!"*[3]

ერთი სიტყვით, ბერძენიშვილის განმარტების მიხედვით, პატრიოტი თვინიერი ადამიანია, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტებს უპირობოდ ემორჩილება. *„ჩვენს ცნობიერებაში კარგი ქართველობა დღესაც მთავრობის ცოცხალმკვდრის გინებასთან არის გაიგივებული. შეუძლებელია, ახალა ჩვენს შორის ვინმემ პატრიოტობად დღევანდელი პრეზიდენტისადმი ლოიალობა და მისი ერთგულება მიიჩნიოს. არადა, სხვაგვარი პატრიოტიზმი, უბრალოდ, არ არსებობს".*[4] – აზუსტებს ბერძენიშვილი.

სწორედ ამიტომ იყო, ალბათ, რომ ლევან ბერძენიშვილის გულმხურვალე ლოიალობის ობიექტი იყო ჯერ ედუარდ შევარდნაძე, შემდეგ მიხეილ სააკაშვილი, შემდეგ გიორგი მარგველაშვილი. სწორედ პირველკაცებისადმი საკუთარი ერთგულებით იგი პრაქტიკულად ახორციელებდა საკუთარ დეფინიციას. ერთი სიტყვით, ხელისუფლებისადმი ერთგულების თვალსაზრისით, ბერძენიშვილი ნამდვილად ღირსეული პატრიოტი იყო. ერთადერთი, ვისაც ბატონი ლევანი ებრძოდა, ზვიად გამსახურდია გახლდათ. ვფიქრობ, თავისი განმარტების ჩამოყალიბების დროს, ბერძენიშვილს უნდა დაეზუსტებინა, რომ პატრიოტობა გულისხმობს ნეოლიბერალი, ნიჰილისტი ან ქვეყნის ამომგდები პრეზიდენტის სიყვარულს და არამც და არამც ეროვნული იდეის მპყრობელი ლიდერის ერთგულებას. ეს აუცილებელი დაზუსტება ძალზე მოუხდებოდა ლევან ბერძენიშვილის მსჯელობას.

როგორც ვხედავთ, ლ. ბერძენიშვილი ვაჟა-ფშაველასგან ნამდვილად საკმაოდ „შორს არის წასული". თუ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ერთ მნიშვნელოვან მოტივად გასდევს დიდებული ისტორიული წარსულით მოგვრილი ეროვნული სიამაყის განცდა, ლევან ბერძენიშვილს იგივე სასაცილოდაც არ ჰყოფნის: ***„სინამდვილეში ფრაზა „მე ამაყი ვარ, რადგან ქართველი ვარ" წარმატებით შეიძლება შეიცვალოს ფრაზით: „მე ამაყი ვარ, რადგან პარასკევს დავიბადე"***,[1] – წერს ის.

სამაგიეროდ, ბატონი ბერძენიშვილი ვერაფერს საძრახისს ვერ ხედავს, როცა ამერიკელ პოლიტიკურ ლიდერთა დიდი ნაწილი საგანგებოდ საუბრობს რჩეულ ამერიკელ ერზე, მის განსაკუთრებულ ისტორიულ მისიაზე კაცობრიობის ისტორიაში. ნამდვილად გაუგებარია: თუ დასაძრახი არაა ამერიკული იქსეფშენალიზმი, რატომაა სასაცილო ის, რომ ქართველს თავისი ქართველო-

1. ლ. ბერძენიშვილი, პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადასხვა დონე, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბ., 2005, გვ. 68.

2. . ლ. ბერძენიშვილი, პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადასხვა დონე, გვ. 71.

3. იქვე, გვ. 73.

4. იქვე, გვ. 72..

ბა უხაროდეს და ეამაყებოდეს?

იმიტომ, რომ ბერძენიშვილი „შორს არის წასული“.

მისი და მისი თანამოაზრეების მსჯელობის მიხედვით, რაც უფრო პლურალისტული და ჭრელი იქნება საქართველოს მოსახლეობა სოციალური, რელიგიური, ეთნიკური თუ ეთიკური ნიშნით, ეს მით უფრო მისასალმებელია, მით უფრო სასურველია. ამ შემთხვევაში მით უფრო სწრაფად წავალთ წინ და მალეც ავშენდებით.

ვაჟა-ფშაველას კი შესანიშნავად ესმოდა, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, ამ სივრცის პოლიტიკური მნიშვნელობის გამო სოციალურ ფენათა სიჭრელე, იდეოლოგიური დაპირისპირებანი კიდევ უფრო გაზრდიდა, გაამიზეზებდა უთანხმოებას ქართველთა შორის და ხელს შეუშლიდა ეროვნულ მთლიანობას, ამიტომაც დაუცხრომლად მოუწოდებდა მკითხველებს, გაეცნობიერებინათ **ერთი ეროვნული იდეის გარშემო გაერთიანების აუცილებლობა:** „არ აქვს ჩვენს ინტელიგენციას გარკვეული საერთო პროგრამა და გეგმა მოქმედებისა, უამისოდ კი ყოვლად შეუძლებელია გაკეთდეს რამ თვალსაჩინო. ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც სწორედ ერთს პროგრამას და ერთს გეგმას მოქმედებისას ჰსაჭიროებს. ეს ვერ შევიგენით, ვერ გავიგეთ დღესაქამომდე“.[2] „ვინა თქვა, ერთობა გვაწყენს, კარგია სხვადასხვაობა?“[3] – მიმართავდა კითხვით „პლურალიზმის“ მაშინდელ აპოლოგეტებს პოეტი.

ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არის ლევან ბერძენიშვილისათვის ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა განვლილი ეტაპი.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ლევან ბერძენიშვილის მიერ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ გამოთქმულ შეხედულებათა უმრავლესობა უაღრესად ტენდენციური, ცალმხრივი და არასწორია. ავტორი მრავალი ასპექტით ამახინჯებს ფაქტებს და ისე წარმოგვიდგენს საქმის ვითარებას, როგორც თავად ისურვებდა, რომ ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, მაინც ლ. ბერძენიშვილის მსჯელობას აქვს გასაავალი პრესისა და ტელევიზიის საშუალებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მასმედია მიზანმიმართულად იღვწის საზოგადოებაში უმეცრების დათესვისა და ტრადიციულ ღირებულებათა გაუფასურებისათვის.

ამ წერილში ქართული კულტურის პროფანაციის ერთი კონკრეტული შემთხვევაა განხილული, მაგრამ ის სტილი და მეთოდები რომლებსაც ლევან ბერძენიშვილი იყენებს, ზოგადი და ტიპურია ნეოლიბერალური იდეოლოგიისათვის. სწორედ ამ მეთოდოლოგიის საშუალებით ცდილობს ნეოლიბერალიზმი ეროვნული ავტორიტეტების დაკნინებას, მათი ნააზრევის გაყალბებასა და გაუფასურებას.

2003 წელს ლევან ბერძენიშვილი ვერ მალავდა თავის წყრომას იმის გამო, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები ეროვნულ მუხტს აღვივებენ სკოლებში და მოწაფეებს „ნაციონალისტებად“ ზრდიან: *„ფარისევლობა სკოლაში იწყება, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე: მასწავლებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის ქართული*

1. ლ. ბერძენიშვილი, ქართული ლიტერატურის ლიბერალური და დემოკრატიული საფუძვლები, გვ. 92-93.
2. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. 9, თბ., 2006, გვ. 196.
3. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 2006, გვ. 300.

გრამატიკა... არ იცის ლიტერატურა, არაფრად უღირს ნაწარმოების სტილი, კომპოზიცია, მხატვრული ხერხები, სიმბოლოები, მეტაფორები და ა.შ. მაშ, რატომ შედის გაკვეთილზე, რას ასწავლის ბავშვებს ეს მეტისმეტად სასარგებლო ხალხი? რას ასწავლის და – ქართულ ნაციონალიზმს, თანაც საბჭოთა დროში ჩამოყალიბებული და დღეს უკვე წარმოუდგენელ ანაქრონიზმად ქცეული ფორმით...“ [1]

ჩემი შენ გითხარიო, ამაზეა ნათქვამი! თუ სკოლის მასწავლებელი ნაციონალიზმს ასწავლის თავის მოწაფეებს, მას ამის მხატვრული საფუძველი მაინც მოეპოვება ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში და ბატონ ლევანს რომ ნეოლიბერალიზმის ქადაგება განუზრახავს ვაჟა-ფშაველას გაყალბებულ შემოქმედებაზე დაყრდნობით, ეს ვითომც არაფერი?!

და ბოლოს! ცოტა ხნის წინ პრესაში გამოქვეყნდა ლ. ბერძენიშვილის „ბრძნული“ აზრი ლადო ასათიანის უბრწყინვალესი ლექსის „კრწანისის ყაყაჩოების“ თაობაზე. ერთ-ერთი ვიდეოლექციის დროს მიმოიხილავს რა პიროვნების ჩამოყალიბების მ. მამარდაშვილისეული კონცეფციის „სიღრმეებს“, ლევან ბერძენიშვილი სხვათა შორის, შემდეგსაც ბრძანებს: „ადამიანში ხდება შინაგანი აქტი და ის ამით არჩევს ტყუილს და მართალს, ცოცხალსა და მკვდარს... მაგალითად: *„ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა!..“ ჩემი აზრით, მკვდრადშობილი ლექსია და ვიღაცის აზრით არის შედევრი... ეს არის შინაგანი აქტი, შინაგანი აქტი წყვეტს, ცოცხალია თუ მკვდარია... ყველა არასწორი აზრი არის ნარჩენი, ანუ მკვდარი და ჩვენ ვცხოვრობთ მკვდარსა და ცოცხალს შორის“.*

ნამდვილად გაუგებარია რა „შინაგანი აქტი“ უნდა აღასრულოს ლიტერატორმა, რომ ეს უბრწყინვალესი ლექსი მკვდრადშობილ ტექსტად გამოაცხადოს. ეს ის შემთხვევაა, როცა პოლემიკას აზრი არ აქვს. მხოლოდ ერთის თქმა კი შეიძლება:

მკვდრადშობილი, სინამდვილეში, ბერძენიშვილისა და მის თანამოაზრეთა ნეოლიბერალური იდეოლოგიაა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული მათ ჰქონდათ უზარმაზარი რესურსები (სამთავრობო და არასამთავრობო დაფინანსება, სოლიდური გრანტები, სატელევიზიო და საგაზეთო პიარი და ა.შ) და, ამ სასათბურე პირობების მიუხედავადაც კი, ამ იდეოლოგიამ ჩვენში ვერაფერი თვითმყოფადი ვერ შექმნა, იდეის გარშემო ხალხის სერიოზული ნაწილი ვერ გააერთიანა, არამედ, პირიქით, ღვარძლი და შფოთი დათესა საზოგადოებაში და კიდევ უფრო გაამძაფრა განკერძოება ქართველთა შორის. ბერძენიშვილისა და მის თანამოაზრეთა მიღწევა ისაა, რომ მათ კონფორმიზმი რელიგიის რანგში აიყვანეს, ისინი ცალყბად აკრიტიკებდნენ რეჟიმს და ამავდროულად, ცხოვრობდნენ მის ხარჯზე, ისინი უმალავენ ხალხს დასავლეთის დასავლელ კრიტიკოსებს და აზროვნებით არიან ეპიგონები; მათ წრეში არასოდეს იშვება თვითმყოფადი იდეა; მათ ერთადერთ მეთოდად დარჩება უგაცვეთილესი დასავლური პოლიტიკური შაბლონების დიდ სიბრძნედ გასაღება.

1. ლ. ბერძენიშვილი, პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადასხვა დონე, გვ. 68.

Иосеб ჭუმბურიძე

რატომ შეეხე?!
ანუ ანა კალანდაძის ნება და იძულება

ყოველთვის, როცა ანა კალანდაძეზე წერას ვიწყებ, წინ ეს სტრიქონი დამიდგება:

„რატომ შეეხე ჩემს
კრეტსაბმელს,
რატომ შეეხე?“

კი, ვიცი, რა არის კრეტსაბმელი.

ანას კრეტსაბმელს ვინ შეეხება?!

თუმცა ვიცნობდი იმ ერთადერთს, ვინც ეს გაბედა.

თავისი ცხოვრების მიმწუხრზე, ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ, მცირე ხნით შეყოვნება მთხოვა და ერთადერთი ფრაზა მითხრა: „განა არ ვიცოდი, რომ ანას ღირსი არ ვიყავი?!“

ეს იყო ნამდვილი აღსარება, გულწრფელობაში ეჭვს რომ ვერ შეიტანდი.

მე კი ისიც მუდამ მახსოვს, აქ მხოლოდ კრეტსაბმელი და ამ სიტყვის ლექსიკონური განმარტება რომ არ იგულისხმება.

ეს სტრიქონი იმას გვახსენებს, რომ ანას პიროვნებასთან და შემოქმედებასთან ნებისმიერი შეხება უკიდურესად საფრთხილოა.

და თუ ახლა ამ ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო თემას ვეხები, ისევ ანას ეს ჩანაწერი მამხნევებს: „მკითხველის ჩარევა, დამერწმუნეთ, ამ სტროფის აღდგენაზე უფრო მესიამოვნა“.

თუ რომელ სტროფს გულისხმობს და რაში „ჩარევას“ ვაპირებ, ამას მოგვიანებით, თანდათან და ადვილად მიხვდებით.

წლების წინათ სარისკოდ მეჩვენებოდა გაზეთ „თბილისში“ სტატიის ასეთი სათაურით გამოქვეყნება: **„ანა – დისიდენტი“.**

გამიკვირდა კიდეც, მკითხველმა ერთობ ჩვეულებრივ ამბად რომ აღიქვა.

არადა, რატომ უნდა გამკვირვებოდა?! მაღალი რანგის პოეზია (საერთოდ, ლიტერატურა და ხელოვნება) ხომ თავისი არსით არის დისიდენტური, მით უფრო ტოტალიტარულ სახელმწიფოში?!

ჩემდა სამარცხვინოდ, მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა წაკითხული აკაკი ბაქრაძისეული ახსნა:

„ანა კალანდაძის პოეტური სამყარო იმდენად მნიშვნელოვანია, როცა კითხულობ, შენც სხვა სამყაროში ცხოვრობ და სრულიად სხვა სინამდვილეს

ეზიარები... ამ ლექსებმა, ამ ახალგაზრდა ქალის მოსვლამ ყველაფერი სულ სხვანაირი კუთხით წარმოაჩინა... ეს იყო სერიოზული ამბოხება, სულიერი ამბოხება რუტინის წინააღმდეგ, იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს არსებობდა“.

დისიდენტობაც სხვა რაღაა?!

ამიტომაც ადვილად ასახსნელია ეს საბჭოთა კურიოზი: პოეტს, რომლის გამოჩენაც 1946 წელს ნამდვილ სენსაციად აღიქვეს და ვისი წიგნის დაუყოვნებლივ გამოცემაც იქვე გადაწყვიტეს, პირველი პოეტური კრებული შვიდი



წლის შემდეგ (1953) ძლივს აღირსეს, თანაც ისე, რომ მასში, „უიდეობისა და აპოლიტიკურობის გამო“, ბევრი ლირიკული ქმნილება არ შეიტანეს...

სამაგიეროდ, შეიტანეს „ახალი ყოფის ამსახველი“ და „აქტიური შინაარსის“ ლექსები, რომელთა უმეტესობაც 1950-51 წლებშია დაწერილი.

ამის შესახებ ანა თავადვე მოგვითხრობს თხზულებათა მეორე ტომში (1996წ.) შესულ პროზაულ ჩანაწერებში.

●

პირველ კრებულში არ შესულა ლექსი „მოდიოდა ნინო მთებით“.

ის კი არა, მეორე წიგნშიც (1957წ.), მნიშვნელოვანი ცვლილებით, „დაკოჭლებული“ (ანას გამოთქმაა) შევიდა.

ადვილი გამოსაცნობია, რომელ სტროფსაც ამოაკლებდნენ:

„მიეძინა, ერთ წალკოტში
მიეძინა და ფშატებმა
მზისგან მოუჩრდილესო,
ეს ვინ არი, გამოცხადდა
მგ ზავრის წინა? – ნუ
გეშინინ! – მიუგებდა იესო“...

ეს ლექსი ასე შევიდა 1967 წელს გამოცემულ კრებულშიც.

მხოლოდ 1973 წელს ეღირსა სრული სახით გამოქვეყნება.

მოვუსმინოთ ანას:

„მახსოვს, უცნობმა მკითხველებმა, ფსიქოლოგებმა, შემომითვალეს, ამ სტროფის აღდგენა ახლა უმტკივნეულოდ შეიძლებაო. მკითხველის ჩარევა, დამერწმუნეთ, ამ სტროფის აღდგენაზე უფრო მესიამოვნა“.

აი, ჩემი მანუგეშებელი ფრაზაც აქაა.

სტროფი კი აღდგა, მაგრამ „დაკოჭლებასთან“ დაკავშირებული რეციდივები და კურიოზები კვლავაც გრძელდებოდა:

1978 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა კრებული „ვით მარგალიტი ობოლი“.

გასაგებია, რომ ყოველი პოეტი ერთი ლექსით იყო წარმოდგენილი.

ანას ლექსი – „მოდიოდა ნინო მთებით“ – ისევე „დაკოჭლებული“ შეიტანეს.

სამაგალითოა ანას დიდსულოვნება, როცა ამაზე დაწერს:

„შემდგენლებს არ ვსაყვედურობ: მათ შეუძლიათ, პოეტის ნებისმიერი კრებული გადაფურცლონ და თავიანთი ნებასურვილის მიხედვით შეარჩიონ ესა თუ ის ლექსი. „საფრთხეს“ არსაიდან უნდა

მოელოდნენ! ესაა ჩვეულებრივი, ნორმალური მდგომარეობა (სხვათა შორის, მათთან ამაზე ლაპარაკი არ მქონია. შემდგენლებს შეგნებულად არ ვასახელებ)!“

ანას დიდსულოვნება საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ მაინც მივაქციოთ ყურადღება აქ დასმულ ძახილის ნიშნებს.

მომდევნო კურიოზი:

ანა წერს, რომ აღნიშნული ლექსი ასევეა „დაკოჭლებული“ ერთ-ერთ გერმანულ თარგმანში.

●

ზოგიერთ ლექსში სტრიქონები შეაცვლევინეს.

მაგალითად, ლექსში „თქვი, ჭიამარია“ არის ასეთი სტრიქონები:

„მე ვთბები მზეზე, ვით უდაბნოს მწირი“ და „დავდივარ ბაღში, ვით უდაბნოს მწირი...“

პოეტი აიძულეს, რომ ასე შეეცვალა:

„მზე თავს ვერ დააღწევს ვარდების ღიმილს“ და „ბაღში გაზაფხული ათასფრად ღვივის...“

ცა და დედამიწა!

ისევ ანას მოვუსმინოთ:

„ასე გაჩნდნენ იძულებითი, თავსმოხვეული ვარიანტები (რომლებიც, როგორც უნივერსიტეტში ამ წიგნის განხილვაზე აღნიშნეს, „ბევრად ჩამორჩებოდნენ დედნებს“!). გაჩნდნენ მკითხველთა დაუსრულებელი შეკითხვებიც: „რატომ შეცვალეთ?“, „ხელნაწერებიდან სხვაგვარად გვახსოვდაო...“ ჩემთვის ყველაზე მტკივნეული ეს შეკითხვები იყო. ბევრს კიდევ ბოლომდე რომ არ სჯეროდა, ავტორის ნების გარეშე შესაძლებელი თუ იყო ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა!“

●

მკითხველის ჩარევა უფრო მესიამოვნაო.

მე კი მაინც ვერასოდეს შევკადრე ასეთი კითხვა: „ზოგიერთი ძალიან ცნობილი ლექსის ძალიან ცნობილი სტრიქონები თქვენი ნებით რატომ შეცვალეთ?!“

ეს ვერც მსახიობმა თინათინ ელბაქიძემ შეჰკადრა.

ქალბატონი თინათინი ბრწყინვალედ კითხულობდა ანას ერთ-ერთ შედევრს: „ჩამოვფრინდები, იასამანო“.

და კითხულობდა ამ ლექსის პირვანდელ ვარიანტს.

მასაც ჩემსავით აკვირვებდა, როგორ შეელია ანა ამ მართლაც განსაცვიფრებელ სტრიქონებს:

„და თუ მე ხშირად გავყვები
ღრუბლებს,
ვარდისფერ ღრუბლებს – ქარი
ვით მალებს,
ნუ შეშინდები: ვით
მოვშორდები,
სად გავექცევი შენს ლამაზ
თვალებს?“

ამ ლექსში ანა პირველ ექვს და ბოლო ექვს (არსებითად, ერთნაირ) სტრიქონს არ შეეხო, თორემ ყველა დანარჩენი თითქმის სრულიად შეცვალა. ცხადია, ახალ ვარიანტშიც ანაა, იქაც გვხვდება ჟრუანტელის მომგვრელი სტრიქონები, მაგალითად, ასეთი:

„ნუ შეშფოთდები, ღრუბლებს
თუ გავყვე,
მინდა, ველურმა ქარებმა
მდიონ...“

განსაკუთრებით მეორე სტრიქონისთვის კი ღირდა ახალი რედაქციის შექმნა, მაგრამ მაინც გასაკვირია უეჭველ შედევრად აღიარებული ლექსის გადაკეთება.

●

ანას ბევრი ლექსი ხომ ზეპირად ვიცით.

თავისთავად, ადვილად და ბუნებრივად, ერთხელ და სამუდამოდ დავიმახსოვრეთ.

მაგალითად, ასეთია 1965 წელს დაწერილი ლექსი, რომელსაც ნარო მამიდას ხსოვნას უძღვნის:

ამ ლექსის პირვანდელ ვარიანტს ახლა სწორედ მეხსიერებით აღვადგენ:

„შენ ღვთის მოშიში არ ხარ,

ხალხის ნათქვამს კი იცავ:
სკვინჩა რაღაცას ამბობს...
– კაი ამბავი, სკვინჩავ!
გაგლეკს და-ძმათა დარდი:
ბიჭი სადაა? ციცა?
სკვინჩა არ ტოვებს ეზოს...
– კაი ამბავი, სკვინჩავ!“

1987 წელს გამოცემულ ერთტომეულში კი ეს ლექსი ამ სახითაა წარმოდგენილი:

„გულმა... ავი თუ გიგრძნო
და... ყურადღებად იქცა:
სკვინჩა რაღაცას ამბობს...
– კაი ამბავი, სკვინჩავ!
ოფოფი ფრთას თუ გაშლის,
გულში ჩაგყვება ხინჯად...
სკვინჩა არ ტოვებს ეზოს...
– ოქროს ნისკარტი, სკვინჩავ!“

ახალ ვარიანტს ვერაფერს დაუწუნებ და მაინც გიკვირს: რატომ შეეხო? რატომ შეცვალა?

პირველ სტრიქონზე კიდევ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავის დროზე, ცენზურაზე იყო გათვლილი, მაგრამ დანარჩენი?

კიდევ უფრო გასაკვირია, დედაზე დაწერილ ცნობილ ლექსს რომ შეეხო. მართალია, იქ ერთადერთი სიტყვა შეცვალა, მაგრამ მაინც...

თავდაპირველი ვარიანტი:

„შენ გაგითეთრდა თმები მას
უკან,
ძვირფას კაბას კი...
ერთი ღერო შერჩა სუსამბრის...“

შეცვლილი ვარიანტი:

„შენ გაგითეთრდა თმები მას
უკან,
ძვირფას კაბას კი...
ერთი მორჩი შერჩა
სუსამბრის...“

კი, ხვდები, რომ ერთნაირი თანხმოვნები სხვა ხმას, სხვა მელოდიას გამოსცემენ („ერთი მორჩი შერჩა...“), მაგრამ მაინც გიკვირს.

●

კიდევ ერთი გადაკეთებული ლექსი: „ცისფერ მეჩეთში“.

არცთუ ძალიან ცნობილი.

არადა, ნამდვილი შედევრი, მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიასაც რომ დაამშვენებდა ზოგადსაკაცობრიო სათქმელითა და გასაოცარი სიღრმით:

მისი საბოლოო რედაქცია ასეთია:

„ყურანის სიბრძნე
სვეტის თავს ამკობს,
ყურანის სიბრძნე
გვირჩევს და ამბობს,
უჭკვიანესი
ყურანის სურა:
„ვისაც აქ ეძებ,
რასაც აქ ეძებ,
დახუჭე თვალი, –
შენშია სულაც!“

ასედაც შედევრია. რაღა სჭირდება?! ვერც კი წარმოიდგენ, რომ 1968 წელს დაწერილ ამ ლექსში სხვა სტრიქონებიც იყო.

არადა, იყო.

თანაც, რა სტრიქონები?! ერთი განსაკუთრებით:

„ვდგა ფეხშიშველი ჭრელ-ჭრელ
ხალებზე
და ჭრელ-ჭრელ სვეტებს მივაპ
ყრობ თვალებს...
მუხლდადრეკილნი,
თავდადრეკილნი,
მლოცველნი... თითქოს
შეზრდიან ხალებს...
აისე ხანუმ მიკითხავს, მიხსნის,
თუ რას გვაუწყებს ყურანის
სურა:
„რასაც აქ ეძებ, ვისაც აქ ეძებ...
დახუჭე თვალი, შენშია სულაც!“

კი, ძნელი არ არის მიხვედრა, რატომ შეეხო, როგორ სრულყო, რარიგ დახვეწა, მაგრამ მაინც გიკვირს, როგორ შეელია ამ გასაოცარ სახე-მეტაფორას: „მლოცველნი... თითქოს შეზრდიან ხალებს...“

ადვილად ვერც აისე ხანუმს გაიმეტებ, მით უფრო, რომ მის დაუხმარებ-

ლად, ყურანის სიბრძნეს ცისფერ მეჩეთში ვერ წაიკითხავ.

●

პოეტს ვინ დაუშლის საკუთარი ლექსის შეცვლა-დახვეწას, მაგრამ დღესაც იმას ვფიქრობ, რაც წლების წინათ მურმან ლებანიძეს საჯაროდ ვუთხარი: „თქვენი ლექსები ჩვენია!“ იმას ვგულისხმობდი, რომ ლექსი გამოქვეყნებამდე ეკუთვნის პოეტს, შემდეგ კი უკვე მკითხველისაა.

გამოქვეყნებულ ლექსში უკვე მკითხველი ვეღარ შეელევა ასეთს სტრიქონებს: *„ხეებიც ეძებენ ერთმანეთს/ და ღამეს მარტო არ ხვდებიან...“*

არადა, სწორედ ეს სტრიქონები ვეღარ ვიხილე ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ლექსში. და რა საოცარია: სწორედ იმ დროს, ფეისბუქში გამოჩნდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, აწ განსვენებული პროფესორის, თენგიზ კიკაჩეიშვილის ჩანაწერი:

„მეუღლის გარდაცვალების შემდეგ პირველად მივედი ფანჯარასთან და მივხვდი, რომ მარტო ვარ. პირველად შევამჩნიე: ჩემი სახლიდან ორი ხე ჩანს. ერთმანეთის გვერდით დგანან, თითქოს, ჩახუტებულები არიან. ალბათ, რამდენი წელია, დგანან. მე მხოლოდ იმ დღეს დავინახე და მგონია, რომ ის ხეები ჩვენ უნდა ვიყოთ – მე და ჩემი ცოლი“.

თითქოს იმ ქვეყნიდან შემომეშველა ბატონი თენგიზი...

●

ვერ გავუბედე-მეთქი.

საინტერესოა, რომ მეკითხა, რას მიპასუხებდა?

ალბათ, მხოლოდ გაიღიმებდა – „უბრალოდ და მკაცრად, თავისი განსაკუთრებული ღიმილით“.

რაგინდ გასაკვირიც იყოს, ბრჭყალებში ჩასმული ფრაზა რუს კრიტიკოსს ვლ. ერიომენკოს ეკუთვნის და მართლაც სანატრელი კონტექსტიდან არის ამოღებული:

„ხანდახან, კულუარებში კამათისას, ანა კალანდაძეზე ამბობენ, ქართველი ახმატოვაა. თვითონ ანას ამგვარ შედარებაზე, ალბათ, გაეღიმება. გაეღიმება უბრალოდ და მკაცრად, თავისი განსაკუთრებული ღიმილით“.

დამეთანხმებით, ეს ღიმილი, ამ კონტექსტში, გაცილებით უფრო მრავლისმთქმელია.

რეზო ინანიშვილი კი ანას გამოხედვაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი მოგონებაც ღრმააზროვანია: ერთხელ, ღვინით შეთამამებული, ბიბლიიდან წამოსულ ქალბატონს უწოდებს და: „შემომხედა თავისი გრძელი შემოხედვით...“

უცნაურია, მაგრამ... ინანიშვილია.

გურამ დოჩანაშვილსაც უთუოდ ღვინო გააბედინებს, შუაღამისას რომ დაურეკავს და ეტყვის: „რა ახმატოვა, ცვეტაევა, დიკინსონი?! როცა თქვენ გაგაკრიტიკეს, მაშინ არ იცოდნენ, როგორ მოქმედებთ ადამიანებზე, თორემ მოგსპობდნენ... თქვენი სქოლიო თავისუფალია. სხვებისა რა მოგახსენოთ. იქ ჩანან ვიღაცეები, თქვენთან კი – არა, თუ ბიბლიას არ ჩავთვლით“.

ეს მოგონება ანას „აპოკრიფული დღიურებიდანაა“ და მით უფრო ძვირფასია.

ერთი რამით კი მართლაც ჰგავს ახმატოვას ჩვენი ანა – იმით, რასაც მისი ეს გამოთქმა გულისხმობს: „პოეტი უნდა აზროვნებდეს მხოლოდ აუცილებელი სიტყვებით“.

ამიტომაც იყო მუდამ თავჩარგული თავის პოეზიაში – იუველირივით ხვეწდა და სრულყოფდა ლექსებს, რომლებიც უკვე ზეპირად ვიცოდით.

ვხვდებოდით ამას და მაინც გვიკვირდა: რატომ შეეხო?! რატომ შეცვალა?!

გიორგი ალიბეგაშვილი

საქართველო და ქართველები რასმუს რასკის ჩანაწერებში

რასმუს კრისტიან რასკი (1787-1832 წწ.) დანიური კულტურის „ოქროს საუკუნის“ ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია ადამ გოტლობ ელენშლეგერთან (1779-1850 წწ. დანიელი პოეტი და დარამატურგი), ჰანს კრისტიან ანდერსენსა (1805-1875 წწ.) და სიორენ აბი კირკეგორთან (1813-1855 წწ.) ერთად. რასკი, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია, როგორც ავტორი ინდოევროპული ენათმეცნიერების ფუძემდებლური ნაშრომისა „გამოკვლევა ძველი სკანდინავიური ანუ ისლანდიური ენის წარმოშობის შესახებ“. მისი სამეცნიერო ინტერესი იყო მსოფლიოს ყველა ენის შედარებით-ისტორიული კლასიფიკაცია, რომლის კვალადაც კაცობრიობის უძველეს წარსულსა და მომავალს განაზოგადებდა. რასკის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმავლობა რუსეთთანაა დაკავშირებული; აქ შექმნილი გამოკვლევებით მან ფილოლოგიისა და ისტორიის რამდენიმე სფეროს განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა.

რასკის ზემოხსენებულმა ნაშრომმა 1818 წელს პროფესორის წოდება და დანიის სამეფო სტიპენდია მოუტანა, რამაც საშუალება მისცა, ექსპედიციაში წასულიყო სამხრეთ აზიაში, რათა ინდოევროპული და სხვა ენები შეესწავლა.

რასკი თებერვლის ბოლოს შვედეთიდან ფინეთში გაემგზავრა, ხოლო მარტის მიწურულს პეტერბურგში ჩავიდა, სადაც 1819 წლის ივნისის შუა რიცხვებამდე დაჰყო. ამის შემდეგ მოსკოვის, კოლომნის, რიაზანის, ტამბოვის, სარეპტის, ასტრახანისა და მოზდოკის გავლით იმპერიის სამხრეთს მიაშურა. თბილისში ოთხთვიანი (1819 წლის ნოემბრიდან 1820 წლის მარტამდე) ყოფნის შემდეგ სპარსეთში, ინდოეთსა და ცეილონზე გაემგზავრა.

2018 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა რასმუს რასკის „ჩანა-

წერები რუსეთზე“, რომელიც თარგმნა ლეონიდ ჩეკინმა დანიის ხელოვნების ფონდის („Statens Kunstfond“) ფინანსური მხარდაჭერით.

გასაკვირი არ არის, რომ გერმანული ფილოლოგიისა და კარტოგრაფიის მკვლევარი, სკანდინავიური ენების მცოდნე რასმუს რასკის ნაწერების თარგმნით დაინტერესდა. სწორედ ამ ჩანაწერებიდან გახდა ცნობილი, რომ რასმუს რასკს თბილისშიც უმოგზაურია. წიგნის გამოსვლამდე, თინათინ ბოლქვაძის თხოვნით, ლეონიდ ჩეკინმა ცალკე ამოიღო რასმუსკ რასკის ჩანაწერებიდან ქართული ენის წარმოშობის, სხვა ენებთან მისი კავშირისა და თბილისში მოგზაურობის დროს გაგზავნილი წერილიდან ნაწყვეტები, რომლებიც დაურთო თავის წერილს „რასმუს რასკი საქართველოში“ და გამოქვეყნდა 2016 წელს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალში „ენათმეცნიერების საკითხები“. რა თქმა უნდა, რასმუს რასკის მოსაზრებები ქართული ენის შესახებ და მისი შეფასებები აქაურ მოგზაურობაზე ახლა მხოლოდ ისტორიული ღირებულებისაა.

ბუნებრივია, ჩვენთვის საგანგებოდ საყურადღებოა მისი თბილისში ყოფნა, თუ რას ფიქრობს, რას წერს იგი ჩვენს ქვეყანასა და ხალხზე. ესაა უმძიმესი და ნაკლებინფორმაციული პერიოდი საქართველოს წარსულიდან – 27 წელია გასული კრწანისის საბედისწერო ბრძოლიდან, ხოლო 24 წელი – ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან; ამიტომ უშუალო თვითმხილველის შთაბეჭდილებები და მემუარები განსაკუთრებით ფასეულია ქართველი მკითხველისათვის და გასათვალისწინებელიც, თუმცა იგი არსად არ მსჯელობს თბილისში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე.

რასკის გამონათქვამები და დაკვირვებები ბევრმა მიკერძოებულად შეიძლება მიიჩნიოს ან ქართველების ხასიათის არასაკმარისი, მწირი ცოდნით გაპირობებულ არაზუსტ დასკვნებად, მაგრამ ბევრ რამეზე კი დაგვაფიქრებს, რადგან თუნდაც ზედაპირული შეფასებები არაერთ მტკივნეულ წარსულს და რამდენადმე აწმყოს პრობლემას გვიდებს ხელისგულზე.

საქართველოს შესახებ საუბარი ჩანაწერებში ვრცელი არაა, მაგრამ „მკვახე შეძახილივითაა“ და ამავე დროს გვაჩვენებს იმ მძიმე ვითარებას, ახლად ბრძოლაგამოვლილ, თავგანწირული მეფის გარდაცვალებით, ქართლ-კახეთის სამეფოსა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით გამოწვეულ ქვეყანაში რომ შექმნილიყო. როგორი იყო ორ ათეულ წელზე ცოტა მეტი ხნის წინ აღა-მაჰმად ხანის მიერ დარბეული თბილისი თუნდაც ორიოდე ფრაზით აღწერილი?! სხვათა შორის, საყურადღებო ცნობებია შემონახული რასკის ჩანაწერებსა და დღიურებში საქართველოში ახლადგადმოსახლებული გერმანელების 200-წლიანი ცხოვრების ისტორიის შესახებ.

ვიდრე შემოგთავაზებდეთ დანიელი მეცნიერის ცნობებს საქართველოში არსებულ ვითარებასა და ქართველ ხალხზე, მოვიყვანთ მის სამეცნიერო შეხედულებებს, რომლებიც ქართულ ენას ეხება.

საქართველოში ოთხთვიანი ყოფნით რასკიმ გაეცნო რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ენებსა და ლინგვისტურ მეცნიერებას. მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული თბილისის პერიოდის ნაშრომებიდან უნდა დასახელდეს 1819 წლის ბოლოს შექმნილი კვლევა „ძველი სკანდინავიური ანუ ისლანდიური ენის ნათესაობა აზიურ კილოებთან“, რომელშიც ავტორმა გადმოსცა მოგზაურობისას მოძიებული ცნობები მის მიერ შესწავლილი ენების შესახებ და შეხედულებები მათ ურთიერთკავშირზე. ფიქრობენ, რომ ეს ტექსტი უნდა გამხდარიყო ახალი

დასკვნითი მონაკვეთი წიგნისა „გამოკვლევა ძველი სკანდინავიური ანუ ისლანდიური ენის წარმოშობის შესახებ“, თუმცა რასკიმ უარყო იდეა, მოემზადებინა შევსებული გამოცემა თავისი სახელგანთქმული ნაშრომისა; მისთვის ეს ნიშნავდა „ახალი ღვინის ძველ ტიკში“ ჩასხმას; ამ პერიოდში იგი ჩაუღრმავდა მსოფლიო ყველა ენის კლასიფიკაციას, კერძოდ, მუშაობდა „სკვითური“ ერთიანობის იდეაზე, რომელსაც „სარმატულს“ უკავშირებდა და რომელიც აერთიანებდა ფინურ-უგორიულ, სამოდიურ, ესკიმოსურ, ტუნგუსურ-მანჯურიულ, მონღოლურ, თურქულ, ქართულ და სხვა ენებს (წერილი პეტერ ერაზმისადმი (1771-1834 წწ.).

სხვა ჩანაწერი თბილისური პერიოდისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც წერილი, გაგზავნილი რასმუს ნიუერუპუსადმი (1759-1866 წწ; 1796 წლიდან იგი იყო კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ლიტერატურის ისტორიის პროფესორი) 1819 წლის 20 დეკემბერს, შეიცავს მსჯელობას ქართული დამწერლობის სასურველ „ევროპიზაციაზე“. მისი აზრით, „შედარებით მცირე ხალხს“, ანუ ქართველებს „ორი ძალიან განსხვავებული, შეიძლება ისიც კი ითქვას, სამი დამწერლობაც აქვთ, თავისუფლად შეუძლიათ მსოფლიო კულტურაში ჩართვა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, მოვიფიქროთ, რომელი ანბანი უნდა უნდა შეირჩეს – რუსული, ბერძნული თუ ლათინური“. რასკი მოდიფიცირებული ლათინური დამწერლობისკენ იხრებოდა. უნდა შეინიშნოს, რომ დანიელი მეცნიერისთვის ორთოგრაფია და ტრანსლიტერაცია მნიშვნელოვანი თემები იყო, კერძოდ, იმიტომ, რომ ანბანთა უნიფიცირება აადვილებდა სხვადასხვა ენის შეპირისპირებით ანალიზს; რუსული ენისთვის იგი ასევე ცდილობდა შეემუშავებინა ტრანსლიტერაციის ახალი სისტემა, მაგრამ ეს კვლევა აკადემიკოს ფილიპ კრუგის (1764-1844 წწ.; ისტორიკოსი, ნუმიზმატი, ერმიტაჟის წიგნსაცავის ბიბლიოთეკარი დაახლ. 1817-1837 წლებში, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ორდინალური აკადემიკოსი) შეწინააღმდეგების გამო შეწყვიტა. ყურადსაღებია, რომ მსჯელობა ქართული დამწერლობის „ევროპიზაციაზე“ შერეულად – დანიურ და გერმანულ ენებზეა დაწერილი. ჩანს, რასკიმ ეს აზრები თბილისში გერმანულენოვან ნაცნობებთან საუბრისას ჩამოაყალიბა. ჩანაწერების გერმანულ ფრაზებში ხმიანდება მოსაზრებები გამოთქმული გუბერნატორ რომან ჰოვენის (1775-1861წწ.; სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი სამხედრო უფლებებით 1818-1829 წლებში, გენერალ-მაიორი) სუფრასთან ყოფნისას, რომელთანაც რასკი ხშირად სადილობდა (სწორედ აქ გაიცნო მან ალექსანდრე გრიბოედოვი –1790 ან 1795-1829წწ.).

და ბოლოს, საყურადღებოა, რომ მოგზაურობისას შეგროვებულ კავკასიურ ლინგვისტურ მასალებს რასმუს რასკი სიცოცხლის ბოლო წლებში დაუბრუნდა; როდესაც ბოლოს და ბოლოს მას მიენიჭა მუდმივი პროფესორის თანამდებობა; დანიელმა პროფესორმა დაწერა და გამოაქვეყნა თავისი საპროგრამო ნაშრომი სწორედ კოპენჰაგენის უნივერსიტეტის 1832 წლის 10 ნოემბრის წინა საზეიმო კრებამდე, რომელშიც ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება; ჩანს, ეს ნაშრომი აღმოჩნდა, როგორც პირველი პუბლიკაცია ქართული მასალებისა, ასევე სიცოცხლეში გამოქვეყნებული უკანასკნელი კვლევა. რასკი გარდაიცვალა 14 ნოემბერს, ხოლო ნაშრომი დაიბეჭდა ენათმეცნიერის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე – 1-10 ნოემბერს. ეტიმოლოგიური და კომპარატივისტიკური შესწავლის მიზნით, ამ გამოკვლევაში მან განიხილა საკითხი ქართული და სომხური ტექსტების ტრანსლიტერაციის შესახებ

„ევროპული ასოებით“, ანუ ლათინურით.

ჩვენი დაინტერესება რასკის თბილისში მოგზაურობით სწორედ ლეონიდ ჩეკინის მიერ თარგმნილმა წიგნმა გამოიწვია. სტატიაში რასკის თბილისში ყოფნის დროს აღწერილი ფაქტები ამ დღიურიდან არის აღებული.

წერილები გზიდან.

თბილისი, 16 ნოემბერი 1819 წ.

ასმუს ლარსენს (19788-1842წწ.: კოლონიების საქონლით მოვაჭრე კოპენჰაგენში, რასკის ნდობით აღჭურვილი პირი):

„...გადმოსახლებული გერმანელები, ქალაქიდან (იგულისხმება თბილისი) 7-8 მილის მოშორებით დასახლებულნი, ბუზებივით იხოცებიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გერმანიის სამხრეთიდან არიან, ხოლო ადგილი, სადაც დამკვიდრდნენ, ცხოვრებისთვის მშვენივრად გამოსადეგია; თუმცა მცირე დასახლებაში, რომელიც ქალაქთან ახლოსაა, საქმე რამდენადმე უკეთესადაა“.

თბილისი, 16 ნოემბერი 1819 წ.

პეტერ ერაზმ მიულერს (1776-1834 წწ.; დანიელი საბავშვო ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი, კოპენჰაგენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ორდინალური პროფესორი, ზელანდიის ეპისკოპოსი):

„...ჩანს, აქ დარჩენა მთელი ზაფხულის მანძილზე მომიწევს, თუმცა რაიმეს კვლევა ნაკლებადაა შესაძლებელი; სწავლულები არ არიან, გიმნაზიები არ არის, აქ მხოლოდ ვაჭრები ან სამხედროები არიან... ცხოვრება ძვირია, ყველაფრის შესაძენად ნაღდი ვერცხლით იხდიან ან ანგარიშობენ ვერცხლის ღირებულების შესაბამისად; კვება დაახლოებით ორჯერ ძვირი მიჯდება, ვიდრე ეს პეტერბურგში მიწევდა...“

თბილისი, 9 იანვარი 1820წ.

რასმუს ნიუერუპუს (1759-1829 წწ.; 1796 წლიდან კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ლიტერატურის ისტორიის პროფესორი, 1802 წლიდან სამეფო კოლეგიის პროვოსტი ანუ ვიცე-პრეზიდენტი, 1803 წლიდან საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორი, სკანდინავიური ლიტერატურული საზოგადოების თავმჯდომარე):

„ხელთ მწირი ცნობები მაქვს, რამდენადაც აქაური მცხოვრებლები (ქართველები) ლიტერატურაში განსაკუთრებულად ვერ ერკვევიან; მათ დედაქალაქში არ არის არც გიმნაზია, არც კერძო პანსიონი, არც ბიბლიოთეკა, არც თეატრი, არც პროტესტანტული ეკლესია; ერთადერთი მსგავსი დაწესებულება სახელმწიფო სასწავლებელია (იგულისხმება თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, დაარსებული 1804 წელს), მაგრამ, რუსულის გარდა, იქ არ ისწავლება ევროპული ენები (1818 წელს ალექსანდრე გრიბოედოვის მიერ ჩატარებულმა რევიზიამ აჩვენა, რომ „პირველ რიგში შემოღებული გერმანული და ლათინური ენები მასწავლებელთა არარსებობის გამო უკვე აღარ ისწავლება“). ერთი სომეხი ფლობს წიგნის სავაჭროს (დუქანს), სადაც, შესაძლებელია, ქართული, თურქული, ახალბერძნული და სომხური ახალი აღთქმისა და სანთლების შეძენა; მავანი რუსული წიგნებითა და ფაიფურის ყველანაირი ნაკეთობით ვაჭრობს, მიმოწერა აქვს მოსკოვთან და მეტი არაფერი... წარმოუდგენელია, რისიმე ფასად, ევროპულ ენებზე, რუსულის გარდა, წიგნის შეძენა... ტოპოგრაფია, რომელიც რუსეთის საგუბერნიო ადმინისტრაციას ეკუთვნის, ქალაქში ერთადერთია. იქ საკმაოდ უვარგისი რუსული და ქართული შრიფტებია, მაგრამ არ არის ლათინური და არაბული; ასე

რომ, რაც კი სკოლას სჭირდება თათრულ, სპარსულ და მისთ. ენებზე, ხელით გადაიწერება. ამ ტიპოგრაფიაში იბეჭდება ქართული გაზეთი (იგულისხმება პირველი ქართული გაზეთი, რომელიც ყოველკვირეულად გამოიცემოდა 1819 წლის მარტიდან 1821 წლის ბოლომდე; თავდაპირველად მისი სათაური იყო „საქართველოს გაზეთი“, ხოლო 1820 წლიდან გადაერქვა და „ქართული გაზეთი“ ეწოდა-გ.ა.).

გარდა ამისა, აქ ადრე, 1819 წელს გამოიცა რუსულ-ქართული სასაუბრო („რუსულ სასაუბროთა კრებული, საყოველთაო გამოსაყენებელი, ქართული თარგმანით თანდართული კეთილშობილ ახალგაზრდათა სასარგებლოდ“, ტფილისი, 1819-გ.ა.), რომლის ეგზემპლარი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას რარიტეტად გავუგზავნე ლათინური მინაწერებით (პეტერბურგში გაგზავნილ წიგნებს შორის სახლდობრ შედიოდა: „მოკლე ქართული გრამატიკაც“, შედგენილი რუსულ ენაზე საქართველოს არქიეპისკოპ ვარლაამის მიერ, სანკტ-პეტერბურგი, 1802 წ.-გ.ა.); ხალხი აქ ფიქრობს არა იმდენად განათლებაზე და მისთ., რამდენადაც წმინდა მატერიაზე (ბოლო ორი სიტყვა რასმუს ნიუერუპუს პუბლიკაციდანაა; როგორც ჩანს, ციტატაა. გამოთქმა შეიძლება „ოქროს“ აღნიშნავდეს „ფულის“ აზრით; იხ. ქვემოთ წერილი არნი ჰელგასონისადმი, დათარიღებული 1820 წლის 7 თებერვლით, რომელშიც რასკი ქართველებს ანგარებიან ხალხად მოიხსენიებს – გ.ა.).

ხალხის ხასიათს არ აღვწერ, მაგრამ ზემოთქმული საკმაოდ შეიძლება მოემსახუროს საქართველოს სრულ ბიბლიოგრაფიულ და ისტორიულ სიტყვიერებას XIX საუკუნისას. ამ აღწერას შეიძლება კიდევ დაემატოს, რომ ქალაქში არის ყდის ოსტატი. ის გერმანელია და არცთუ ძალიან აკურატული. მას ინსტრუმენტებიც კი არ ყოფნის, არც მოსავარყებელი მასალა, არც დასასათაურებელი ასოები (ლიტერი) და მისთ.

ყველაზე მნიშვნელოვანი სამოქალაქო ცნობებიდან ისაა, რომ რუსმა გენერალ-გუბერნატორმა ალექსეი ერმოლოვმა სამოქალაქო და სასაზღვრო საქმეთა მთავარმმართებელი საქართველოსა და ასტრახან-კავკასიის გუბერნიებში, 1817-1827 წლებში, ცალკე ქართული კორპუსის (ხოლო 1820 წლიდან კავკასიის) მეთაური, ინფანტერიის გენერალი 1818 წლიდან, არტილერიის გენერალი 1827 წლიდან – გ.ა.) ბრწყინვალე და ნაკლებსისხლისმღვრელი გამარჯვება მოიპოვა ლეკებზე და აიღო თავისუფალი ქალაქი აკუშე, რომელიც მიუდგომლობით გამოირჩეოდა“.

თბილისი, 7 თებარვალი 1820 წ.

ანრი ჰელგასონს (1777-1869 წწ. ისლანდიელი მღვდელი, ისლანდიური ლიტერატურული საზოგადოების, რეიკიავიკის განყოფილების თავმჯდომარე):

„...ქართველების შესახებ არაფერი მაქვს განსაკუთრებული მოსაყოლი. ლიტერატურასა და ხელოვნებაზე წარმოდგენა არა აქვთ, არიან ანგარებიანნი, უყვართ კამათი და საკმაოდ გულღრძონი არიან...“

საგზაო დღიური:

„...ვლადიკავკაზიდან დაიწყო მთის ნამდვილი აღმართი... ბევრი ოსი არ გვხვდება ან არ ცხოვრობს გზის პირას; მათ შორის უბადრუკობა და სიღატაკე სუფევს. მალე, მას შემდეგ, რაც ყველაზე მაღალი მთის მწვერვალები გავიარეთ, ქართული დასახლებები გამოჩნდა. ქართველები სამხრეთიდან მაღლა, მთაში გარბოდნენ, რადგან თავს სპარსელები ესხმოდნენ.

დასახლებები ძირითადად ციცაბო სიმაღლეებზე მდებარეობს, განსაკუთ-

რებით ეკლესიებია აღმართული მთის მწვერვალებზე. ისინი ადამიანთათვის მიუწვდომელნი არიან, გაწყობილნი სათოფურებივით ვიწრო გრძელი ფანჯრებით. მათი სახლები აღმოსავლური გემოვნებითაა ნაგები – ქვით, ბრტყელი სახურავებით, უფანჯრონი; ასე რომ, შუქი მხოლოდ კარიდან შედის, უკიდურეს შემთხვევაში, რამდენიმე სქელ კედლებში გაჭრილი მცირე სარკმელებიდან.

როდესაც მთებიდან საქართველოსკენ ვეშვებოდით, მშვენიერი ტყე მრავალ ადგილას განადგურებული ან გადამწვარი იყო, რადგან ქართველები ტყეში უსაფრდებოდნენ რუსებს და ხშირად მარშით მიმავალ ჯარებს ესროდნენ.

თბილისში ჩავედით, მდინარე მტკვრით, რამდენიმედღიანი კარანტინის არცთუ მტანჯველი შეჩერების შემდეგ...

საერთოდ კი, მრავალი რუსი დიდებული, საქართველოში დანიშნული, აქ გამოგზავნილი იყო თავისებურ გადასახლებაში იმის გამო, რომ ან რაიმე დააშავა, ან იმპერატორის გულისწყრომა დაიმსახურა; ასე რომ, საქართველო მცირე ციმბირს წარმოადგენს...

მივდივარ საქართველოს გუბერნატორთან, გერმანელ ფონ ჰოვენთან (იხ. ზემოთ), რომელიც ჩემი საბუთების ხილვის შემდეგ ფრიად თავაზიანი და სტუმართმოყვარე გახდა. მან გამაცნო სომეხი მირზა-აბრაამ ენიკოლოპოვი (აბრამ ეგოროვიჩი, აპრიამ გურგენოვიჩი, მირზა (აღმოსავლური ენების თარჯიმანი საქართველოს მთავარმმართებლის სასაზღვრო საქმეთა სამდივნოსთან, პოდპოლკოვნიკი – გ.ა.), რომლის ორი ვაჟიც ძალიან მეხმარებოდა (აბრაამ ენიკოლოპოვი ცხოვრობს ქალაქის პირველ ნაწილში).

საცხოვრისი მოვნახე გერმანელ მკერავთან, ფრედრიკ ვინტერფელდტთან, რომელიც კოპენჰაგენში მუშაობდა და დანიური ცოტა ესმოდა. ის მიყვებოდა უკანასკნელი ომის მოვლენებზე გერმანიაში, იყო ავადმყოფური და ხელმოცარული თავის საქმეში...

ჩვენი სახლის მეპატრონე ქართველი თავადი იყო – ხარბი, უცხვირპირო, უსიამოვნო ადამიანი... მე ცოტაოდენ ქართულსაც ვფლობდი... აქ არის ტიპოგრაფია ქართული და რუსული შრიფტებით, რომელიც საგუბერნიო ხელისუფლებას ეკუთვნის და სახელმწიფო სასწავლებელი...

ხშირად ვსადილობ გუბერნატორთან; გავიცანი გრიბოედოვი; ვაგრძელებდი ჩემს საქმიანობას.

ზამთარი საკმაოდ ცივია, თოვლიანი და ყინვიანი, მაგრამ ჩემთვის სასიამოვნო და სასარგებლო. შეშას და ნახშირს სახედრებით ეზიდებიან. ერთი ქვევრი ღვინო 30 კაპიკი ღირს, ყურძენი თითქმის ყოველთვის იყიდებოდა, ფუნტი 15 კაპიკი ღირდა, ხოლო ბინის ერთი კვირის საფასური 3 კაპიკია.

ფრანგულ ტრაქტირში არის სათავადაზნაურო კლუბი, რომელშიც კვირას საღამოს მეჯლისი გაიმართა. მეფის ასულებს ძველმოდური კაბები ემოსათ და ფერუმარილი გაეკეთებინათ (ჩანს, რასკიმ ერეკლე II-ის ან გიორგი XII-ის ქალიშვილები იხილა – გ.ა.)

აქაა ცხელი აბანოები, რომელთაგან ყველაზე ცივიც კი ძალიან თბილი და სასიამოვნო იყო...

მთის ფერდობზე ქალაქის განლაგება ფრიად საამო სახილველია, თუმცა სახლები მომცრო და უხეიროა, ხოლო ქუჩები ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული, სახურავები ბრტყელი; პირველი სართულის კიდეზე არის რაღაც გასასვლელის ან შუკის მსგავსი მათთვის, ვინც მეორე სართულზე ცხოვრობენ. ქარვასლა საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. ბაზარი გრძელი, მიგრეხილ-მოგრეხილი, ბნელი და ბინძურია, სრულიად აზიური. სახლები, რომელთა აგებაც რუსებმა ევროპული სტილით ქალაქგა-

რეთ, ველზე დაიწყეს, ლამაზია, მაგრამ ჯერ არ წარმოადგენს საკუთრივ ქალაქის ნაწილს. აქ არის საავადმყოფო, გუბერნატორის სახლი...“

●

და კიდევ... ერთი უკანასკნელი მოგონება რასმუს რასკიზე, რომელიც დაკავშირებულია მეცნიერის ხელახლა გაღვიძებულ კავკასიოლოგიურ ინტერესებთან; მისმა მეგობარმა, ფილოლოგ-კლასიცისტმა რ. ჰენრიკსენმა (1800-1871 წწ.) შეასწრო რასკის, რომელიც მუშაობდა გრამატიკულ საკითხებზე „გარდაცვალებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე... რამდენადაც ახსენდება, წინ ქართული ბიბლია ედო“.

შენიშვნა: აქვე შეიძლება, მოკლედ გავიხსენოთ, თუ როგორი ვითარება იყო საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხით, ერთი მხრივ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და მეორე მხრივ, XIX საუკუნის დასაწყისში.

XVIII საუკუნის II ნახევარში ამ მიმართულებით არაერთი პროცესი იყო დაწყებული, კერძოდ: შეიქმნა საგანმანათლებლო შრომები და პროექტები (ალექსანდრე ამილახვარი, დავით და იოანე ბატონიშვილები), ანჩისხატის ეზოში დაარსდა სასულიერო სემინარია (1755წ,), რომლის პირველი რექტორიც ფილიპე ყაითმაზაშვილი იყო; 1782 წელს გაიხსნა თელავის ფილოსოფიური სემინარია (1782 წ.; 1782-1783 წლებში მისი პირველი ხელმძღვანელი გაიოზ რექტორი იყო, შემდეგ კი – დავით მესხიშვილი); გარდა ამისა, ქართლ-კახეთსა და დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა პირველდაწყებითი და სახელოსნო სკოლები, ასევე, კერძო სასწავლებლები; კათოლიკოსმა ანტონ I-მა შექმნა და თარგმნა არაერთი სახელმძღვანელო; 1749 წელს აღდგა ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებული სტამბა; სოლომონ II-ის თაოსნობით სტამბა გაიხსნა ქუთაისშიც, ხოლო ეკლესია-მონასტრებში იქმნებოდა წიგნთსაცავები; ვითარდებოდა მეცნიერება, ისტორიოგრაფია (პაპუნა ორბელიანი, ომარ ხერხეულიძე, დავით ბატონიშვილი, ანტონ I კათოლიკოსი), ფილოსოფია (ანტონ I-ის „სპეკალი“), ითარგმნებოდა ფილოსოფიური, ფიზიკის, მეტაფიზიკის, გეომეტრიის, არითმეტიკის სახელმძღვანელოები, შეიქმნა არაერთი ორიგინალური და ნათარგმნი შრომა გეოგრაფიასა და მედიცინაში; ბაქარ ბატონიშვილმა გადაწერა ფრანგულიდან ნათარგმნი წიგნი „ეკონომია“, გაიოზ რექტორმა რუსულიდან გადმოიღო კრებული არტილერიის საკითხებზე, დაარსდა პირველი თეატრი (1791 წ.გიორგი ავალიშვილი), განვითარდა დრამატურგია, ხელოვნების ტრადიციული დარგები (ნიკოლოზ აფხაზი), აიგო და განახლდა არაერთი ძეგლი (სიღნაღის გალავანი, დარეჯან დედოფლის ციხე-კოშკი „საჩინო“, ქოლაგორის გალავნიანი ციხე და სხვ.) და ა.შ.

რაც შეეხება XIX საუკუნის I ნახევრის დასაწყისს, 20-იან წლებამდე, 1801 წელს რუსეთმა გააუქმა თელავის სემინარია, თბილისის ქართული სკოლები, უარყო ქართლ-კახეთის სამეფო კარზე შემუშავებული პროექტი თბილისში, გორსა და თელავში უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ; ცარიზმმა გახსნა სკოლები ერთგული მოხელეების აღსაზრდელად: 1802 წელს დაარსდა პირველი სასწავლებელი თავადაზნაურთა შვილებისათვის, რომელმაც ერთი წელი იარსება; 1804 წელს ამოქმედდა თბილისის კეთილშობილთა სასაწავლებელი; მოგვიანებით, 1818-1829 წლებში, გორში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისში, აგრეთვე, სამეგრელოსა და გურიაში გაიხსნა სასულიერო სამაზრო და სამრევლო სასწავლებლები; 1819 წელს გამოიცა პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“, შემდეგ ეწოდა „ქართული

გაზეთი“ (გამოდიოდა 1822 წლამდე); მეცნიერების მიმართულებით ძირითადად გამოირჩევა ფილოსოფია და ისტორია (სოლომონ დოდაშვილი, იოანე, დავით და თეიმურაზ ბატონიშვილები, პლატონ იოსელიანი). XIX საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებლობადაკარგულ ქვეყანაში სხვა ვერაფერი გაკეთდა – ასეთი ვითარება იყო საქართველოში რასმუს რასკის ოთხთვიანი სტუმრობისას.

შეიძლება, ქართველი მკითხველისთვის მიუღებელი იყოს რასმუს რასკის „მკვახე შეძახილი“, მაგრამ მისი მოსაზრებები ისტორიული ვითარებით მართლდება. ქართველი ენათმეცნიერები დიდად აფასებენ იმ ფაქტს, რომ 200 წლის წინ, როცა უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ცნობილი ნაშრომი ისლანდიური ენის შესახებ, როგორც ითქვა, რასმუს რასკი სამოგზაუროდ აღმოსავლეთში გაეშურა. მან პეტერბურგიდან დაიწყო, იქიდან კი თბილისში გადმოვიდა. თბილისის შემდეგ მოიარა ირანი, ინდოეთი და ცეილონი. ამ მოგზაურობის დროს შექმნილმა ნაშრომებმა მტკიცე საფუძველი შეუქმნა ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას. საილუსტრაციოდ კმარა რამდენიმე სტატიის დასახელება: „ნორვეგიის, ისლანდიის, შვედეთისა და ფინეთის ენებისა და ლიტერატურის შესახებ“, მისი შრომები ზეინდური ენისა და ინდოეთის ენებში ევროპულის მსგავსი ბგერების გადმოცემის თაობაზე. სწორედ ამიტომ 2019 წლის 12-14 სექტემბერს საერთაშორისო კონფერენცია – „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“ – რასმუს რასკსა და შედარებითი და არეალური ენათმეცნიერების ორასწლოვან ისტორიას მიეძღვნა. საერთაშორიოსო კონფერენციის ორგანიზატორები, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოებასთან ერთად, იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენის სახელმწიფო დეპარტამენტი, დანიის მეცნიერებათა სამეფო აკადემია და პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი (უფრო დაწვრილებით იხ. საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი რასმუს რასკისადმი იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები, 12-14 სექტემბერი, 2019, პროგრამა და თეზისების კრებული, თბილისი, გამომცემლობა „გრიფონი“).

ვახტანგ გურული

ფერეიდნელი ქართველები საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში (1944-1945წწ.)

მიილია 1943 წელი. მეორე მსოფლიო ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა. 1943 წელს განცდილი სერიოზული მარცხის მიუხედავად, გერმანია ომს აგრძელებდა. იგი უცვლელად ინარჩუნებდა პოზიციებს დასავლეთ, ჩრდილო, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში – მოკავშირე, სატელიტ და დაპყრობილ სახელმწიფოებში. გერმანული სამხედრო მანქანა გამართულად მოქმედებდა. ცხადი იყო, რომ გერმანიის დამარცხება ახლო მომავალში შეუძლებელი იქნებოდა, მით უფრო, რომ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას აგვიანებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ახლო მომავალში იარაღის დაყრას არ აპირებდა, მოკავშირეები (საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) უკვე ომის შემდგომი ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ახალი საზღვრების, ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური სისტემისა და მთავრობების შესახებ იწყებენ ფიქრს. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, პირადად იოსებ სტალინს, სრულიად კონკრეტული სამხედრო-პოლიტიკური გეგმები გააჩნდა აღმოსავლეთ, ჩრდილო და სამხრეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, რაც, პირველ რიგში, ამ რეგიონებში სატელიტი სახელმწიფოების შექმნას და შესაბამისი პოლიტიკური სისტემისა და მთავრობების ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. გარდა ამისა, იოსებ სტალინი რამდენიმე რეგიონში სტრატეგიული ტერიტორიის ხელში ჩაგდებასაც გეგმავდა. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სერიოზული გეგმები ჰქონდა ორი აზიური სახელმწიფოს – თურქეთისა და ირანის მიმართ.

1944 წლის 26 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა აკადემიკოს **სიმონ ჯანაშიასაგან** რუ-

სულ ენაზე დაწერილი ორი ისტორიული ნარკვევი მიიღო. პირველი ასე იყო დასათაურებული: **„ირანის ისპაჰანის პროვინციის ქართველობის შესახებ“**, ხოლო მეორე – **„თურქეთის შემადგენლობაში შესული ქართული ტერიტორიების საკითხისათვის“**. ორივე ნარკვევი ერთ საქმედაა შეკრული და პირველ გვერდზე, მარცხენა ზედა კუთხეში, აქვს რუსულ ენაზე მელნით შესრულებული წარწერა: „კ. ჩარკვიანი. 26. III. 44 წ“. ამ წარწერით დგინდება, რომ სიმონ ჯანაშიასაგან ნარკვევები კანდიდ ჩარკვიანს 1944 წლის 26 მარტს მიუღია. არქივში დაცული მასალებიდან არ დგინდება, ვისგან მიიღო სიმონ ჯანაშიამ ნარკვევების დაწერის დავალება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე ეხებოდა არა საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებს, არამედ საბჭოთა კავშირ-ირანისა და საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობებს, ცხადი გახდება, რომ მსგავს დავალებას სიმონ ჯანაშიას კანდიდ ჩარკვიანი ვერ მისცემდა. შეკვეთა აშკარად მოსკოვიდან მოდიოდა. როგორც სხვა საარქივო დოკუმენტებიდან დგინდება, საქმე იოსებ სტალინის მითითებით აღიძრა და მის შესრულებას კონტროლს უწევდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლავრენტი ბერია და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მოლოტოვი. სულ მალე ირანის ისპაჰანის პროვინციაში, ფერეიდანში მცხოვრები ქართველების საკითხი თბილისსა და მოსკოვს შორის გრიფით „საიდუმლოდ“ მიმოწერაში გვხვდება. რაც შეეხება თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული ტერიტორიის (ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის) საკითხს, მან საიდუმლო მიმოწერიდან ოფიციალურ საერთაშორისო ურთიერთობებში გადაინაცვლა და შემდეგ პრესითაც გაშუქდა. მხედველობაში გვაქვს ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე, რომელიც 1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე მიმდინარეობდა, 22 ივლისის სხდომაზე იოსებ სტალინის ინიციატივით თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული ტერიტორიების საკითის განხილვა. კონფერენციის სტენოგრამიდან ირკვევა, რომ იოსებ სტალინის წინადადებით, ამ საკითხზე ვიაჩესლავ მოლოტოვმა ისაუბრა, რომელსაც კონფერენციის მონაწილეთათვის სპეციალურად შედგენილი რუკაც კი წარუდგენია. პოტსდამის კონფერენციას რაიმე დადგენილება არ მიუღია, თუმცა იოსებ სტალინი საკითხს დასრულებულად არ მიიჩნევდა. 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა **სიმონ ჯანაშიასა** და **ნიკო ბერძენიშვილის** წერილი **„თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“.** 15 დეკემბერს წერილის სრული რუსული თარგმანი გამოაქვეყნა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“, ხოლო 20 დეკემბერს – გაზეთებმა „პრავდამ“ და „იზვესტიამ“, 22 დეკემბერს – გაზეთმა „პრავდა უკრაინიმ“.

პოტსდამის კონფერენციაზე ირანში, ფერეიდანში მცხოვრები ქართველების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საკითხი არ დასმულა, არც პრესაში დაწყებულა საკითხის განხილვა. მიუხედავად ამისა, ფერეიდნელი ქართველების საქართველოში გადმოსახლების საკითხი არ დახურულა, გრძელდებოდა მიმოწერა თბილისსა და მოსკოვს შორის.

სიმონ ჯანაშიას ნაშრომი „ირანის ისპაჰანის პროვინციის ქართველობის შესახებ“ უაღრესად საინტერესო დოკუმენტია. ფაქტობრივად, ესაა სამეცნიერო ნარკვევი, რომლის შინაარსსაც მკითხველს ქვემოთ ვთავაზობთ.

სიმონ ჯანაშია ნარკვევს იწყებს იმის აღნიშვნით, რომ 1944 წლისათვის ფერეიდანში საქართველოდან გადასახლებული 16.000 ქართველი ცხოვრობდა.

შემდეგ მოთხრობილია მათი გადასახლების ისტორიის შესახებ. ქართველები ირანში შაჰ აბას I-ის (1587-1629) დროს გადაასახლეს. ეს პროცესი ერთბაშად არ მომხდარა. სულ ცნობილია 8 დიდი გადასახლება. მერვე გადასახლებაში, 1603-1608 წლებში, ქართველებთან ერთად სომხებიც მოჰყვნენ. ქართველთა ყველაზე დიდი რაოდენობა ირანში სწორედ მერვე გადასახლების შემდეგ აღმოჩნდა. ამ დროისათვის ირან-ოსმალეთის ომი მიმდინარეობდა, რომელიც საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიასაც შეეხო. შაჰ აბას I-ს სურდა, ოსმალეთისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ომის წარმოებისათვის აუცილებელი ეკონომიკური ბაზა მოესპო და ოსმალეთსა და ირანს შორის მოსახლეობისაგან დაცლილი და გავერანებული ტერიტორიის ზოლი შეექმნა, რაც ოსმალეთის არმიის მომარაგებას გაართულებდა. გარდა ამისა, ქართველთა და სომეხთა გადასახლებას სხვა მიზანიც ჰქონდა: ქართველებიცა და სომხებიც კარგი მიწათმოქმედნი და ხელოსნები იყვნენ. თუ მათ ირანში გადაასახლებდნენ, ეს იქ მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის აღმავლობას შეუწყობდა ხელს. ქართველები და სომხები ირანის მაშინდელი დედაქალაქის, ისპაჰანის ახლოს ჩაასახლეს.

ირანში ქართველთა გადასახლება კახეთისა და ქართლის რამდენიმე რაიონიდან მიმდინარეობდა. დიდი რაოდენობით ქართველები (სავარაუდოა, რომ მათთან ერთად სომხებიც – ვ.გ.) გადაასახლეს ქალაქ გორიდან და მის შემოგარენში მდებარე სოფლებიდან, ასევე – თათრები ბორჩალოდან.

1603 წელს დაწყებული გადასახლება სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა. ცხადია, მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა ამ პროცესს და ცდილობდა მთებისათვის შეეფარებინა თავი. ყოველი გადასახლება ეტაპებად ხორციელდებოდა და საკმაო ხანს გრძელდებოდა. წყაროებიდან დასტურდება, რომ პირველი გადასახლებულები ირანის ცენტრალურ ნაწილში, ისპაჰანის პროვინციაში, 1607-1608 წლებში ჩაიყვანეს. დაზუსტებული ცნობით, ქართველთა პირველი ნაკადი ირანში 1608 წელს ჩაუყვანიათ. ასე აღმოჩნდა ირანში რამდენიმე ათეული ათასი ქართველი. წყაროებიდან დასტურდება, რომ ბევრი მათგანი გზაში დაიღუპა. ქართველთა ნაწილი გამცილებლებმა დახოცეს, ნაწილი შიმშილმა და სიცივემ იმსხვერპლა. ქართველთა და სომეხთა გადასახლება იმ დროს მიმდინარეობდა, როდესაც ირან-ოსმალეთის ომი მძვინვარებდა. ოსმალეთის ჯარების მოახლოების გამო გადასახლებულთა გამცილებელმა ირანელებმა ქართველები და სომხები აიძულეს, სწრაფად გადასულიყვნენ მდინარე არაქსზე. ნავების უკმარისობის გამო ნაწილს მდინარის გადაცურვა მოუხდა. მათი უმრავლესობა წყალში დაიხრჩო. გადასახლებულთა ნაწილს ოსმალეთის ჯარი წამოეწია და დახოცა.

პირველი გადასახლებულები ირანის ჩრდილოეთში, მაზანდარანისა და გილიანის პროვინციებში ჩაასახლეს, ნაწილი – ხორასნის პროვინციის ყაზვინის, თეირანისა და ჰამადანის რაიონებში. გადასახლებულ ქართველთა პირველი ნაკადიდან ნაწილი მაზანდარანის პროვინციაში, ქალაქ აშრეფის ახლოს დაასახლეს. ისინი თითქმის მთლიანად დაიღუპნენ მკაცრი კლიმატური პირობების, არაადამიანური შრომისა და ირანელთა მხრიდან ძალადობის გამო. ქართველთა დიდი ნაწილი იმის გამო დახოცეს, რომ მათ ისლამის რჯულზე მოქცევა არ ისურვეს. გადარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი, ისინიც დროთა განმავლობაში გამუსლიმდნენ და ადგილობრივ მოსახლეობაში აითქვიფნენ. ქალაქ აშრეფში სასაფლაოზე ქართველთა საფლავები ყოფილა შემორჩენილი, ხოლო ქალაქის ერთ უბანს

„ქართველთა უბანი“ რქმევია.

ისპაჰანის პროვინციასა და საკუთრივ ქალაქ ისპაჰანში ძირითადად ხელოსანი ქართველები დატოვეს. ფერეიდანში ქართველი და სომეხი გლეხები (მიწათმოქმედნი) და ბორჩალოელი თათრები გადაიყვანეს.

გადასახლებიდან 50 წლის შემდეგ, 1657-1658 წლებში, შაჰ აბას I-ის სიკვდილს თან მოჰყვა ქრისტიანი გადასახლებულების სასტიკი დევნა. ქართველებმა და სომხებმა ახალ ჯულფას შეაფარეს თავი, თუმცა მათ აქაც სასტიკად ავიწროებდნენ. ახალ ჯულფაში, სომხებთან ერთად, ძირითადად ქალაქ გორიდან და მისი შემოგარენი სოფლებიდან გადასახლებულნი აღმოჩდნენ. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ქართველ-სომეხთა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა. შემორჩენილი იყო საფლავის ქვების წარწერები, საიდანაც დასტურდებოდა, რომ გარდაცვლილები გორელები იყვნენ. სომხებმა ჯულფაში ეკლესიის აგება მოახერხეს, ქართველებმა კი – ვერა. ამიტომ იყო, რომ ქართველები სომხურ ეკლესიაში დადიოდნენ (როგორც ჩანს, ამ დროიდან დაიწყო ქართველთა მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე გადასვლა – ვ. გ.). წმ. ნერსესის სახელობის ეკლესიის ეზოში არსებულ საფლავის ქვებზე, სომხურთან ერთად, ქართული წარწერებიც არის. ერთ-ერთი წარწერა, რომელიც 1700 წელსაა შესრულებული, ასე იკითხება: „ქუთათელი ქრისტაშვილი“. გარდა ამისა, ქართველთა საფლავებზე იყო წარწერები: „ათაბაგი“, „ამირბარი“, „ათათაშვილი“, „დავით გოშნაშვილი...“ ბევრ საფლავის ქვაზე წარწერა ან გაურკვეველი იყო, ან საერთოდ აღარ იკითხებოდა. 1700 წლის შემდგომი პერიოდის წარწერები საფლავების ქვებზე აღარ მოიპოვებოდა. ეს შეიძლება იმას უკავშირდებოდეს, რომ ამ დროს, ირანის შაჰის ჰუსეინ I-ის (1694-1722) მმართველობის პერიოდში, ქრისტიანთა სასტიკი დევნა და მათი ისლამის რჯულზე მოქცევა მიმდინარეობდა. ეს პროცესი შეეხო ახალ ჯულფაში მცხოვრებ გორიდან გადასახლებულ და ფერეიდნელ ქართველებს. ქრისტიანთა დევნა, რომელიც შაჰ ჰუსეინ I-ის მმართველობამდე დაიწყო, განსაკუთრებით დიდი სისასტიკით მიმდინარეობდა 1694-1697 წლებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველთა ისლამის რჯულზე მოქცევა ძირითადად ამ პერიოდიდან დაიწყო.

ქართველთა გამუსლიმების პროცესს თან ახლდა ეკლესიების დანგრევა, საეკლესიო ნივთების განადგურება და საქართველოდან წაღებული საეკლესიო რელიკვიების მიტაცება. ამ დროს ირანელებმა გაანადგურეს მღვდლების მიერ საქართველოდან წაღებული ემბაზები, რომლებშიც ათწლეულების განმავლობაში უცხოობაშიც ნათლავდნენ ბავშვებს. ფერეიდნელი ქართველების გამუსლიმების შემდეგ ირანელებმა მათი რბევა და დაწიოკება შეწყვიტეს. ქართველთა გამუსლიმებამდე ფერეიდანში ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ ქართველი მღვდლები. გამუსლიმების შემდეგ ეკლესიები ან დაანგრიეს, ან მეჩეთებად გადააკეთეს. აღარ მოიპოვება ცნობები ქართველი სამღვდელოების შესახებ. თანდათან დავიწყებას მიეცა საეკლესიო დღესასწაულები, ქართული სიმღერები და ცეკვები. სტუმართმოყვარე ქართველები ჩაიკეტნენ და მუდმივი შიშის პირობებში აგრძელებდნენ ცხოვრებას. ქართული, ეროვნული ტანსაცმლიდან შემორჩა მხოლოდ ფართო შარვლები და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივთა სამოსს წააგავდა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ფერეიდნელებს კარგად ახსოვდათ, რომ მათი ისტორიული სამშობლო საქართველო იყო. ლეგენდები და თქმულებები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ცხადია, ყოველივე ეს ცნო-

ბილი ხდებოდა ირანის ხელისუფლებისათვის. მისი წარმომადგენლები ცდილობდნენ, არ დაეშვათ ფერეიდანში საქართველოდან ვინმეს ჩასვლა, სურდათ მოესპოთ ყოველგვარი კავშირი საქართველოსთან. იქაურ ქართველებს კარგად ახსოვდათ, თუ როგორ სასტაკად გაუსწორდნენ მათ თანამემამულეებს, იმათ, რომლებიც ფერეიდანში შემთხვევით ან წინასწარი განზრახვით მოხვდნენ. მათ აპატიმრებდნენ და ფერეიდნიდან ასახლებდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლები დასჯით ემუქრებოდნენ ყველას, ვინც ფერეიდანში ჩასულებთან კავშირში იქნებოდა შემჩნეული. მიუხედავად ამგვარი სიმკაცრისა, ფერეიდნელი ქართველების ცნობით, მათთან ჩასულა **ლადო აღნიაშვილი** (ლადო აღნიაშვილი სპარსეთში 1894 წელს გაემგზავრა – ვ. გ.), მას თბილისში წიგნიც გამოუცია სპარსეთში მოგზაურობის შესახებ (ლადო აღნიაშვილის წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ 1896 წელს გამოიცა – ვ.გ.). ფერეიდნელები ჰყვებოდნენ, რომ ლადო აღნიაშვილმა ყველა ქართული სოფელი შემოიარა. იგი ქართველებს ურჩევდა: ირანელებთან სისხლის აღრევა არ დაეშვათ, როგორმე შეენარჩუნებინათ ქართული ენა და ეროვნული ტრადიციები, შეენარჩუნებინათ ერთობა და დალოდებოდნენ თავისუფლებას. ლადო აღნიაშვილს ფერეიდანში, სოფელ ბუნის ერთ-ერთი მცხოვრებისათვის სამახსოვრო წერილიც დაუტოვებია. ამ წერილს ქართველი რამდენიმე წელი ინახავდა, შემდეგ კი, იმის შიშით, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ მიეგნოთ, წერილი გაუნადგურებია.

ლადო აღნიაშვილამდე 10-15 წლით ადრე ფერეიდანში ჩასულა ქართველი, სახელად **იუსუფი** (შეიძლება იოსები – ვ. გ.), რომელიც გეოლოგიურ კვლევებს აწარმოებდა. იგი მალევე დაბრუნებულა უკან. იუსუფის წასვლის შემდეგ ფერეიდნის სოფელ ახორას მკვიდრი **გულიამ ჰუსეინ ონიკაშვილი**, პროფესიით პარიკმახერი, თბილისში ჩამოსულა. მას მიზნად დაუსახავს ფერეიდანში ქართული სკოლის გახსნა და თბილისში ქართული წიგნებიც შეუძენია. ირანის ხელისუფლების წარმომადგენელთა, მოლებისა და ზოგიერთი ქართველის წინააღმდეგობის გამო ფერეიდანში ქართული სკოლის გახსნა ვერ მოხერხდა.

1921 წელს ფერეიდანში ჩასულა ქართველი თავადი, რომლის სახელი და გვარი იქაურებს აღარ ახსოვდათ. ქართველმა თავადმა იქ გარკვეული დრო დაჰყო, ხოლო თბილისში დაბრუნების წინ საქართველოში სტუმრად მიიწვია სოფელ ზემო ახორას მცხოვრები **სეიფულა ხან იოსელიანი**. ეს უკანასკნელი თბილისში ჩამოვიდა, ერთი წელი დარჩა, ფერეიდანში ქართული სკოლის გახსნისათვის აუცილებელი წიგნები შეიძინა და ირანში დაბრუნდა. თეირანში სეიფულა ხან იოსელიანი შეხვდა რეზა ხან ფეხლევს, რომელიც იმ ხანად ირანის სამხედრო მინისტრი იყო და ფერეიდანში ქართული სკოლის გახსნის უფლება მიიღო. ამჯერად სკოლის გახსნა მოხერხდა. სეიფულა ხან იოსელიანს განზრახული ჰქონდა სკოლაში ქართული, რუსული და სპარსული ენების სწავლება. მან სკოლის გასათბობად ლითონის ღუმელიც კი ჩაიტანა. ირანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მოლებისაგან წაქეზებულმა ქართველთა ნაწილმა ხმა გაავრცელა, რომ სეიფულა ხან იოსელიანი ქრისტიანობის აღდგენას ცდილობდა, ხოლო ლითონის ღუმელისაგან ეკლესიისათვის ზარის ჩამოსხმას აპირებდა. დაიწყო თავდასხმები სეიფულა ხანზე. იგი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაკითხეს კიდეც. მიუხედავად ამისა, მამაცი ქართველი ვერ დააშინეს და სკოლაც ფუნქციონირებას განაგრძობდა. არსებობის მანძილზე სკოლამ ქართული ენა დაახ-

ლოებით ოც ფერეიდნელს შეასწავლა, რომელთაგან ოთხი თუ ხუთი სოფელ ბუნიდან იყო. სკოლაში ქართული ენა შეისწავლა სეიფულა ხან იოსელიანის ვაჟმაც. თეირანიდან ფერეიდანში, ქართული სკოლის საქმიანობის შესწავლის მიზნით, სპეციალური კომისია ჩავიდა, რომელმაც სკოლის დამაარსებელს პრობოლშევიკურ აგიტაციაში დასდო ბრალი... სკოლა დახურეს. სკოლის დახურვიდან რამდენიმე ხნის შემდეგ სეიფულა ხანთან სტუმრად ჩავიდნენ რუსეთ-ირანის ბანკის ისპაჰანის განყოფილების თანამშრომელი **ამბაკო ჭელიძე**, ისპაჰანში რუსეთის კონსულის მეუღლე და რამდენიმე ქართველი. საბჭოთა მოხელეებთან ურთიერთობა სეიფულა ხან იოსელიანს არ აპატიეს, საქმე აღძრეს და იგი პირადად ისპაჰანის მაშინდელმა გენერალ-გუბერნატორმა, მემედ ჰუსეინ მირზამ დაკითხა.

1927 წელს სეიფულა ხან იოსელიანთან სტუმრად ჩავიდა მასწავლებელთა ჯგუფი თბილისიდან. ისინი ფერეიდანში რამდენიმე დღეს გაჩერდნენ. მასწავლებელთა საქართველოში გამომგზავრებიდან მალე სეიფულა ხანი მოულოდნელად, უდროოდ გარდაიცვალა. ფერეიდნელი ქართველები, განსაკუთრებით კი მეზობელ სოფლებში მცხოვრები სომხები, ვარაუდობდნენ, რომ იგი მოწამლეს. სეიფულა ხან იოსელიანს, გარდა იმისა, რომ იყო მამაცი და შეუპოვარი ადამიანი, ჰქონდა საფუძვლიანი განათლება. მისი ვაჟი **ფატულლა ხანი** ასევე განსწავლული ადამიანი იყო, რომელიც, თანამოაზრეთა მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად, მამის დაწყებულ საქმეს აგრძელებდა.

1944 წლისათვის, როგორც სიმონ ჯანაშიას ნარკვევშია აღნიშნული, მიუხედავად სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე დევნა-შევიწროებისა, ფერეიდანში თერთმეტი ქართული სოფელი არსებობდა:

1. **ზემო ახორა** – მდებარეობდა სომხურ სოფელ სანგიბარანიდან დასავლეთით ცხრა კილომეტრის მოშორებით. ზემო ახორა ყველაზე დიდი სოფელი იყო არა მარტო ქართულ, არამედ ფერეიდნის სხვა სოფლებს შორისაც. იქ იდგა სამხედრო ნაწილი, განლაგებული იყო ჟანდარმერიის პოსტი, სოფელში რეზიდენცია ჰქონდა იმ ადმინისტრაციული ერთეულის უფროსს, რომელშიც ფერეიდანი შედიოდა. ზემო ახორაში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, თუ არ ჩავთვლით სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოხელეებს. სოფელში ქართველთა 1.000 კომლი იყო აღრიცხული. ქართველები ქართულ ენაზე საუბრობდნენ. სახნავ-სათესი მიწების 1/5 ირანელ მემამულეებს ეკუთვნოდათ, რომლებიც ირანის სოფელ ხუნსარიდან იყვნენ, მაგრამ ზემო ახორაში ცხოვრობდნენ და ვაჭრობას მისდევდნენ. მიწების 4/5 ქართველების საკუთრება იყო, მარცვლეულის წლიური მოსავალი აქ 6.180 ბათმანს (1 ბათმანი = 6 კგ.) უდრიდა. ქართველებს ჰყოლიათ ცხვარი, დაახლოებით 5.000 სული. სოფელში მოქმედებდა სკოლა 2 მასწავლებლით და 70-100 მოსწავლით.

2. **ქვემო ახორა** – მდებარეობდა სომხურ სოფელ სანგიბარანიდან სამხრეთ-დასავლეთით 7 კილომეტრის მოშორებით. სოფელში სულ 200 კომლი ცხოვრობდა: ქართველები, ირანელები და თათრები. ბევრი ოჯახი შერეული ქორწინების შედეგად იყო შექმნილი. ქართველები მხოლოდ ფარსულ ენაზე საუბრობდნენ. სახნავ-სათესი მიწების 1/5 ქართველ გლეხებს ეკუთვნოდათ, 4/5 კი – ქართველ მემამულეებს – რეზა ყული ხანს, ხოსროვ ხანს და ბაგირ ხანს. მოსახლეობას დაახლოებით 1.200 სული ცხვარი ჰყავდა.

3. **დაშკესანი** – მდებარეობდა სომხურ სოფელ სანგიბარანიდან ჩრდილოდასავლეთით 7 კილომეტრის მოშორებით. სოფელში 60 კომლი ცხოვრობდა. მიწისა და სხვა საკუთრების 1/6-ს ქარ-

თველი მემამულეები რეზა ყული ხანი, ჰაჯი ჰეიდარი და ჰაჯი ახმედი ფლობდნენ. ისინი ირანის სოფელ ხუნსარში ცხოვრობდნენ. დანარჩენი მიწები ქართველ გლეხებს ეკუთვნოდათ. სოფელში დაახლოებით 200 სული ცხვარი ჰყავდათ. ფერეიდანში არსებულ ქართველთა სოფლებს შორის დაშკესანი ყველაზე ღარიბი იყო. თავიდან სოფელში ქართველები და სომხები ერთად ცხოვრობდნენ, ეკლესიაც ერთი ჰქონდათ. ქართველების გამუსლიმების შემდეგ სომხები სხვაგან გადასახლდნენ, მათ ადგილას კი მეზობელ სოფელ ხამიშლიდან თათრები ჩამოასახლეს. დაიწყო ქართველთა და თათართა სისხლის აღრევა. 1944 წლისათვის დაშქესანის მოსახლეობის ნაწილი თათრებად მოიხსენიებოდა, ხოლო გამუსლიმებული ქართველები – საქართველოდან ჩასულ ციგნებად (ბოშებად). სოფელ დაშქესანის თათრები, ისევე, როგორც მეზობელი ხამიშლელი და უზუნ ბულაღელი თათრები, მთელ ფერეიდანში განთქმული იყვნენ ქურდობით. თათრული ენის იმ დიალექტის მიხედვით, რომელზეც დაშქესანელები საუბრობდნენ, ისინი ერთ დროს ბორჩალოდან გადასახლებული თათრების შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ.

4. **ბუნი** – მდებარეობდა სოფელ დაშქესანიდან ჩრდილო-დასავლეთით 3 კილომეტრის მოშორებით. სოფელში საშუალო შეძლების 200 კომლი ცხოვრობდა. სახნავ-სათესი მიწების 1/6 თურქ მემამულეს, მემედ ჰუსეინ ხან დახტხას ეკუთვოდა, რომელიც ქართველ ქალზე იყო დაქორწინებული. დანარჩენი მიწები ფერეიდნელი გლეხებისა იყო. საძოვრების სიმცირის გამო სოფელში სულ 800 სული ცხვარი ჰყავდათ. მოსახლეობა ქართულად საუბრობდა. სოფელში იყო სკოლა 1 მასწავლებლითა და 15 მოსწავლით.

5. **დომბაკიამარი (მიანდაშტი)** – მდებარეობდა სოფელ ბუნიდან ჩრდილოეთით 2 კილომეტრის მოშორებით. სოფელში 240 კომლი ცხოვრობდა. სახნავ-სათესი მიწების 5/6 თურქ მემამულე მემედ ჰუსეინ ხან დახტხას ეკუთვნოდა, რომელიც იმავე სოფელში ცხოვრობდა. მიწების 1/6 ფერეიდნელი გლეხებისა იყო. სოფლელებს 1000 სული ცხვარი ჰყავდათ. მოსახლეობა ქართულად საუბრობდა, სოფელს არ ჰქონდა სკოლა.

6. **ახჩა (ახჩალი)** – მდებარეობდა სოფელ დომბაკიამარიდან დასავლეთით 6 კილომეტრის მოშორებით. სოფელში 90 კომლი ცხოვრობდა. მიწების ნაწილი ფერეიდნელ გლეხებს, ხოლო ნაწილი ხუნსარელ მემამულეებს, ჰაჯი ჰუსეინს და სხვებს ეკუთვნოდათ. სოფლელებს 1.200 სული ცხვარი ჰყავდათ. მოსახლეობა ქართულ ენაზე საუბრობდა. სკოლა არც ამ სოფელს ჰქონდა.

7. **შავურტი** – მდებარეობდა სოფელ ახჩადან ჩრდილოეთით 4 კილომეტრის მოშორებით. სოფელში 120 კომლი ცხოვრობდა. სოფელს დიდი საძოვრები ჰქონდა, შესაბამისად, მოსახლეობას დაახლოებით 1.200 სული ცხვარი ჰყავდა. მთელი მიწები თურქ მემამულეს, ჰუსეინ ხანს ეკუთვნოდა. მოსახლეობამ იცოდა, რომ ქართველები იყვნენ, მაგრამ მშობლიური ენა არ ესმოდათ, საუბრობდნენ თათრულად და ფარსულად. სოფელში არ იყო სკოლა.

8. **გაფუზი** – მდებარეობდა სოფელ ახჩადან სამხრეთით 4 კილომეტრის მოშორებით. სოფელში 300 კომლი ცხოვრობდა. სახნავ-სათესი მიწების ნაწილი ეკუთვნოდა მემამულე ჰაჯი მეჰტი ყული ხანს და მემამულე სადარ მოაზზამს, დანარჩენი – ფერეიდნელ გლეხებს. სოფელში 2.000 სული ცხვარი ჰყავდათ, მოსახლეობას მხოლოდ ქართველები შეადგენდნენ, თუმცა ფარსულ ენაზე საუბრობდნენ. ქართული მხოლოდ მოხუცებს ახსოვდათ, სოფელში არ იყო სკოლა.

9. **ჩუღურურთი** (ჩუღურეთი) – მდებარეობდა გაფუზიდან ჩრდილო-დასავ-

ლეთით 6 კილომეტრის მოშორებით, ხოშ კორის მთის გადაღმა. სოფელში 200 კომლი ცხოვრობდა, მიწების ნაწილი ეკუთვნოდა მემამულეებს: რეზა ყული ხანს (ქართველი სოფელ ზემო ახორიდან), ალი მემედ ხან ზალლაკს (ქართველ ქალზე იყო დაქორწინებული), მემამულე ხოჯა რეზა ყულის. მიწების დანარჩენი ნაწილი ფერეიდნელი გლეხების საკუთრება იყო. მარცვლეულის წლიური მოსავალი 4.200 ბათმანს შეადგენდა, სოფელში ჰყავდათ დაახლოებით 1.500 ცხვარი. მოსახლეობა ქართულად საუბრობდა, სოფელს არ ჰქონდა სკოლა.

10. **სიბაკი** – მდებარეობდა სოფელ ჩულურეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 6 კილომეტრის მოშორებით. სოფელში 250 კომლი ცხოვრობდა. სახნავ-სათესი მიწების 1/4 საშუალო შეძლების ქართველ მემამულეებს ეკუთვნოდათ, 3/4 – გლეხებს. მარცვლეულის წლიური მოსავალი 4.200 ბათმანს უდრიდა. სოფელში 1.500 ცხვარი ჰყავდათ, მოსახლეობა ქართულად საუბრობდა, სოფელს სკოლა არ ჰქონდა.

11. **ჯახჯახი** – მდებარეობდა სოფელ სიბაკიდან სამხრეთით 2 კილომეტრის მოშორებით. სოფელში 150 კომლი ცხოვრობდა. მთელი მიწები მხოლოდ გლეხებს ეკუთვნოდათ, სოფელში დაახლოებით 1.000 სული ცხვარი ჰყავდათ. მოსახლეობა ქართულად საუბრობდა, სოფელს არ ჰქონდა სკოლა.

ფერეიდნის ქართულ სოფლებში ტვირთის გადასატანად იყენებდნენ ორბორბლიან დიდ ურმებს, რომლებიც ძალიან ჰგავდა ქართულს, ურემში ორ, ოთხ ან ექვს ხარს აბამდნენ. სოფლებს შორის მიმოსვლისათვის ფერეიდნელი ქართველები სახედრებს იყენებდნენ. ცხენები მათ არ ჰყავდათ ორი მიზეზის გამო: ცხენის შენახვა ზამთარში ძვირი ჯდებოდა, ირანელი მოხელეები და

ჟანდარმები გლეხების ცხენებს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას იყენებდნენ.

ფერეიდნელ ქართველებს ეკონომიკურად უჭირდათ. ასე თუ ისე, უზრუნველყოფილი იყო სოფლების: ზემო ახორას, ბუნის, გაფუზის – ქართველობა, ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდნენ დაშქესანელები.

სამშობლოდან 300-ზე მეტი წლის წინ გადასახლებული ქართველების ხასიათმა გარკვეული ცვლილება განიცადა. 1944 წლისათვის, როგორც სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, ფერეიდნელი ქართველები ძალზე თავშეკავებული და ჟესტიკულაციის უნარს მოკლებულნი ჩანდნენ. ეს, როგორც ცნობილია, ქართველების დამახასიათებელი თვისება არ არის. ფერეიდნელი ქართველები დინჯად და ხმადაბლა საუბრობდნენ, იშვიათად გაიგონებდით სიცილს ან ხმამაღალ საუბარს. მძიმე კლიმატურმა და ეკონომიკურმა პირობებმა აქაური ქართველები მუდმივ და მძიმე შრომას მიაჩვია, ისწავლეს მომჭირნეობა. მათში თანდათან გახდა შესამჩნევი ქონების დაგროვების მისწრაფებაც, მაგრამ ამ თვალსაზრისით მათ ირანელები სჯობდნენ. მიუხედავად სამშობლოდან დიდი ხნის გადახვეწისა, ფერეიდნელმა ქართველებმა შეინარჩუნეს გულკეთილობა და სტუმართმოყვარეობა. ამასთანავე, მიუხედავად ირანელებთან ურთიერთობისა, ქართველები მათ არ დაემგვანნენ – თითქმის უცვლელად შეინარჩუნეს ქორწინებისა და საოჯახო ტრადიციები. იმ სოფლებში, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, შერეული ქორწინება ძალზე იშვიათი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ირანელებს ქართველზე ქორწინების დიდი მისწრაფება ჰქონდათ. ფერეიდნელი ქართველი ქალები ყოფით ურთიერთობაში ირანელი ქალებივით შეზღუდულნი არასდროს ყოფილან. ქართველთა შორის ძალზე იშვიათი იყო განქორწინების ფაქტები, ისინი მაქსიმალურად ერიდებოდნენ მრავალცოლიანობას.

აღსანიშნავია, რომ ქართველების კულტურული დონე დაბალი იყო. 11 ქართულ სოფელში სულ 2 სკოლა არსებობდა. 16.000 ფერეიდნელზე 90-120 მოსწავლე მოდიოდა. ქალები წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ, ხოლო მამაკაცების მხოლოდ 20-30% იყო წიგნიერი. სკოლებში ქართულს არ ასწავლიდნენ, ისწავლებოდა მხოლოდ ფარსული ენა და ყურანი. ამიტომაც ახალგაზრდობა ფარსულს ეუფლებოდა და ნელ-ნელა ივიწყებდა მშობლიურ ენას.

ისლამის მიღების შემდეგ ფერეიდნელ ქართველებს ქართული სახელები ირანულით შეუცვალეს, დაიწყო გვარების გადაკეთებაც. მიუხედავად ამისა, ფერეიდნელები ერთმანეთს ქართული სახელებით მიმართავდნენ, ახსოვდათ თავიანთი ქართული გვარებიც.

1944 წლისათვის სოფელ ზემო ახორაში ქართველებს შემორჩენილი ჰქონდათ გვარები: **იოსელიანი, გელოვანი, ლომითანი, ტუხანი**; სოფელ ბუნში – **ჩაპიანი, ასპანი**; სხვა სოფლებში – **ლაჩიკანი, გუგუნანი, ვატიანი, ონინანი, დაუთანი, ასლანიანი, ხუციანი, ყაზიანი.** ამ დროისათვის ქართულ გვარებს აღარ ჰქონდათ დაბოლოება „ძე„ და „შვილი“, ისევე, როგორც სომხურ გვარებს – დაბოლოება „იანცი“.

სიმონ ჯანაშიას ნარკვევი ფერეიდნელი ქართველების შესახებ არ გამოქვეყნებულა, თუმცა მას, როგორც მასალას, ხშირად იყენებდნენ თბილისშიც და მოსკოვშიც.

●

ირანში, ფერეიდანში მცხოვრები ქართველების სამშობლოში დაბრუნების საკითხი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ოფიციალურად არსად დაუყენებია, თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

1945 წლის 15 იანვარს საბჭოთა კავ-

შირის ელჩმა ირანში მიხაილ მაქსიმოვმა გრიფით „საიდუმლო“ წერილი გაუგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კანდიდ ჩარკვიანს. ელჩი კანდიდ ჩარკვიანს სთხოვდა, ირანში საბჭოთა კავშირის საელჩოსათვის გაეგზავნა ქართულენოვანი წიგნები, სტატიები და ნარკვევები, ფოტოები და კლიშეები გაზეთისათვის, ასევე – იოსებ სტალინის მოკლე ბიოგრაფიის ოფიციალური გამოცემა ქართულ ენაზე. რაში უნდა დასჭირვებოდა ეს მასალა მიხაილ მაქსიმოვს თეირანში? ირკვევა, რომ ეს ყოველივე ფერეიდნელ ქართველთა შორის აგიტაციისათვის იყო განკუთვნილი.

დასრულდა როგორც საბჭოთა კავშირ-გერმანიის, ისე მეორე მსოფლიო ომიც. 1945 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი კიკნაძე გრიფით „სრულიად საიდუმლო“ მოხსენებით ბარათს უგზავნის კანდიდ ჩარკვიანს. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მოსკოვში ყოფნისას, 1945 წლის 23 აგვისტოს, სახალხო კომისარმა მოხსენებითი ბარათები წარუდგინა

I. ვიაჩესლავ მოლოტოვს:

1. თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული ტერიტორიების შესახებ;

2. თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული პროვინციების შესახებ (მოკლე ცნობა რუკასთან ერთად);

3. ირანში ქართველი მოსახლეობის საკითხის შესახებ –

II. ლავრენტი ბერიას:

1. თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული ტერიტორიების შესახებ;

2. თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული პროვინციების შესახებ (მოკლე ცნობა რუკასთან ერთად);

გიორგი კიკნაძე აღნიშნავს, რომ, გარდა მოხსენებითი ბარათებისა, მან ლავრენტი ბერიას გადასცა გრაფინია პრასკოვია უვაროვას რედაქციით გამოცემული ორი წიგნი, რომელთაგან ერთი გურჯისტანის ვილაეთს, ხოლო მეორე – არტაანსა და ოლთისში არქეოლოგიურ მოგზაურობას ეხებოდა.

გიორგი კიკნაძის 1945 წლის 23 აგვისტოს მოხსენებითი ბარათი ვიაჩესლავ მოლოტოვისადმი მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. იგი სამი ნაწილისაგან შედგება და მისი შინაარსი ასეთია:

1. შაჰ აბას I-მა ირანში 100.000 ქართველი გადაასახლა. ისპაჰანის პროვინციის ფერეიდნის რაიონში დღემდე ცხოვრობს 20.000 ქართველი, რომელთაც ირანელებთან ასიმილაცია არ განუცდიათ და დღემდე ინარჩუნებენ ქართულ ენასა და ეროვნულ ტრადიციებს. ფერეიდნის ქართული მოსახლეობა მთლიანად გაუნათლებელია, მოკლებულია სანიტარულ და სამედიცინო მომსახურეობას. ფერეიდნელი ქართველობა მოწყვეტილია ისტორიულ სამშობლოს, ეწევა ჩაკეტილ ცხოვრებას და სოციალური და კულტურული თვალსაზრისით, დაბალ დონეზეა. ირანის ადმინისტრაციის მხრიდან ქართველობა განიცდის სასტიკ შევიწროებას. შექმნილი მძიმე და საშიში ვითარების გამო ფერეიდნის ქართული მოსახლეობა განწირულია გადაშენებისათვის, თუ მას გარედან დახმარება არავინ აღმოუჩინა.

2. საბჭოთა საქართველოს მთავრობა მზადაა, ძმური დახმარება გაუწიოს ირანში მცხოვრებ ქართველებს: გაგზავნოს ირანში კომპლექსური ექსპედიცია, რომელშიც შევლენ ექიმები, პედაგოგები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები და მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლები, რათა ადგილზე შეისწავლონ ქართველთა მდგომარეობა. ექსპედიციას შეეძლება საქართველოსა და ირანს შორის კულტურული ურთიერთობის დამყარება. ექსპედიცია შეი-

მუშავებს ფერეიდნელი ქართველების დახმარებისათვის გამიზნულ ქმედით ღონისძიებებს და დააყენებს ირანიდან საქართველოში ქართველთა გადმოსახლების საკითხს, რადგან, როგორც ცნობილია, ფერეიდნელებს სამშობლოში დაბრუნების ძლიერი მისწრაფება აქვთ.

3. ფერეიდანში მცხოვრები ქართველების შესახებ ინფორმაციის სისტემატურად მიღების მიზნით, საჭიროა, ისპაჰანში, საბჭოთა კავშირის საკონსულოში, იმყოფებოდეს საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, რომელიც დაიკავებდა ვიცე-კონსულის ან საკონსულოს პირველი მდივნის თანამდებობას.

გიორგი კიკნაძის შუამდგომლობამ შედეგი გამოიღო – ფერეიდანში ჩავიდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ა. ასლანიკაშვილი, რომელმაც 1948 წლის 13 იანვარს ირანში მივლინების ანგარიში წარუდგინა გიორგი კიკნაძეს. ა. ასლანიკაშვილი თეირანში 1947 წლის 24 ივლისს გაემგზავრა. ფერეიდანში ყოფნისას მან შეისწავლა ქართველების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობა და საქართველოს მთავრობის წინაშე ფერეიდნელი ქართველების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საკითხი დააყენა.

ა. ასლანიკაშვილმა მოხსენებით ბარათს 9 რეკომენდაცია დაურთო:

1. ფერეიდნელი ქართველების ძირითადი მასა ფიზიკურად ჯანმრთელი, შრომისმოყვარე, პატიოსანი და მამაცი ადამიანები არიან;

2. ფერეიდნელმა ქართველებმა კარგად შემოინახეს მშობლიური ენა, ერთმანეთს შორის მხოლოდ ქართულად საუბრობენ და ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან ირანელებთან ასიმილაციას;

3. ფერეიდნელმა ქართველებმა ძირითადად კარგად იციან წინაპრების თავგადასავალი, XVII საუკუნეში საქართველოდან ირანში მათი გადასახლების ისტორია;

4. ფერეიდნელ ქართველებს ახასიათებთ ეროვნული სიამაყის გრძნობა, ეროვნული შეგნება გაცილებით მაღალია, ვიდრე რელიგიური;

5. ფერეიდნელი ქართველები ირანის სახალხო პარტიის წევრები არიან და საბჭოთა კავშირ-ირანის მეგობრობას უჭერენ მხარს;

6. ფერეიდნელ ქართველებს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების გულწრფელი სურვილი ამოძრავებთ. მათი ნაწილი აცხადებს, რომ, თუ ირანიდან ქართველთა სამშობლოში დაბრუნება არ მოხდება, ისინი რეპატრიანტ სომხებს შეუერთდებიან და ასე ჩამოაღწევენ საქართველოში;

7. არა მარტო ფერეიდნელი ქართველები, არამედ ირანის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფერეიდნელთა საქართველოში დაბრუნებას ისტორიულ აუცილებლობად მიიჩნევს;

8. ოფიციალური თვალსაზრისით, ქართველების ირანიდან საქართველოში დაბრუნება გაცილებით რთულია, ვიდრე სომხებისა. ამის მიზეზი ის არის, რომ სომეხთა სამშობლოში დაბრუნებით მსოფლიო საზოგადოება არის დაინტერესებული, რასაც ირანის ხელისუფლება ანგარიშს უწევს. ქართველთა სამშობლოში დაბრუნება კი მხოლოდ საქართველოს მთავრობის სურვილია, ამიტომ, შეიძლება, ირანის მთავრობა ფერეიდნელ ქართველთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას არ დაეთანხმოს, რასაც ორი მიზეზით ახსნის: ა) ირანის მთავრობა ფერეიდნელებს ქართველებად კი არა, ქართული წარმომავლობის სპარსელებად თვლის, რომლებიც ისლამს აღიარებენ; ბ) ფერეიდანში კვალიფიცირებული და იაფი მუშახელის სიმრავლეა. ქართველებს მისწრაფება არ აქვთ მევახშეობისა და ვაჭრობისაკენ, რაც ფართოდაა გავრცელებული ირანში. სავარაუდოა,

რომ ირანის ხელისუფლება ქართველ მუშახელს არ დათმობს;

9. მიუხედავად ყველა სირთულისა, რომელიც შეიძლება ფერეიდნელ ქართველთა სამშობლოში დაბრუნების პროცესში წარმოიქმნას, საკითხის დადებითად გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია. საბჭოთა საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, გაუწვდის თუ არა ძმური დახმარების ხელს ფერეიდნელ ქართველებს – „ისტორიის ობლებს“.

ა. ასლანიკაშვილი საქართველოს მთავრობას სთავაზობდა, 1948 წელს ირანიდან სომეხთა სამშობლოში დაბრუნებით ესარგებლა და სომეხთა ნაკადთან ერთად საქართველოში გარკვეული რაოდენობის ფერეიდნელი ქართველი ჩამოეყვანა.

1948 წლის 25 მაისს გიორგი კიკნაძემ მოხსენებითი ბარათი წარუდგინა კანდიდ ჩარკვიანს, რომელშიც აღნიშნულია: ა. ასლანიკაშვილის მიერ ფერეიდნელი ქართველების შესახებ გაკეთებული დასკვნები და შემუშავებული რეკომენდაციები ყურადღებას იმსახურებს და საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები ამ მასალას შეისწავლიან.

●

ფერეიდნიდან ქართველთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საკითხის განხილვა ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო. ამას რამდენიმე კონკრეტული მიზეზი ჰქონდა, მათ შორის უმთავრესი შემდეგია: ფერეიდნიდან ქართველთა სამშობლოში დაბრუნების საკითხი დამოუკიდებლად არ დასმულა, იგი თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული ტერიტორიის დაბრუნების პარალელურად იხილებოდა. შექმნილ ვითარებაში თურქეთმა, დიდი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით, საქართველოსგან მიტაცებული ძირძველი ისტორიული ტერიტორიის შენარჩუნება შეძლო. იოსებ სტალინმა დასავლურ სამყაროსთან მოსალოდნელ სამხედრო კონფლიქტს და, შესაძლოა, ფართომასშტაბიან ომსაც, თავი აარიდა და თურქეთის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე დროებით უარი თქვა. ამან გარკვეული სტიმული მისცა ირანს, რომლის მთავრობაც წინ აღუდგა ფერეიდნელ ქართველთა სამშობლოში დაბრუნებას. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თურქეთის მიმართ გაწეული გარკვეული დათმობის შემდეგ ირანთან ურთიერთობა აღარ გაამწვავა და ფერეიდნელ ქართველთა სამშობლოში დაბრუნებაზე უარი თქვა. თურქეთის მხრიდან ქართული ტერიტორიების დათმობის შემთხვევაში, სავსებით რეალური იყო ფერეიდნელ ქართველთა, „ისტორიის ობოლთა“, სამშობლოში დაბრუნაება.



იტალო კალვინო

ამბავი ერთი ფოტოგრაფისა

იტალო კალვინო (კუბა, 1923-1985) – მე-20 საუკუნის იტალიელი მწერალი, პოსტმოდერნისტული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „კოსმოკომიკური ამბები“, „უხილავი ქალაქები“, „თუ ზამთრის ღამით მოგზაური“, „ბარონი ხეზე“, „არარსებული რაინდი“, „განახევრებული ვისკონტი“... მწერალი მათში ერთმანეთს უპირისპირებს რეალობასა და ილუზიას, იდეოლოგიასა და ეთიკას, აბსოლუტური ჭეშმარიტება კი ქიმერად აქვს წარმოჩენილი. იტალიაში მისი სახელობის პრემია არსებობს, რომელიც 1985 წელს ახალგაზრდა მწერლების გამოსავლენად დაწესდა.

გაზაფხულზე, კვირაობით, ასიათასობით მხარზე ჩანთაგადაკიდებული ადამიანი გადის ბუნებაში ფოტოების გადასაღებად. ისიამოვნებენ ამ გატაცებით, გულს იჯერებენ და ნანადირევით დატვირთული მონადირეებივით კმაყოფილი ბრუნდებიან შინ, მერე კი მთელი ემოციით ელოდებიან გადაღებული ფოტოების გამჟღავნებას. ზოგს ჩაბნელებულ, მომჟავო სუნით სავსე ოთახში ისე სიამოვნებს მარტო ყოფნა და, ალქიმიკოსივით, ცდების ჩატარება, რომ ოჯახის წევრებსაც კი არ უშვებს შიგ; არიან ასე – ფოტოების ბეჭდვით მიღებული სიამოვნებით შეპყრობილნი და მხოლოდ მაშინ ფიქრობენ, გატარებულ დღეს ფუჭად არ ჩაუვლიაო, როცა გამჟღავნებული რეზულტატები ეშლებათ თვალწინ; მხოლოდ მაშინ არიან დარწმუნებული გავლილი დღის ნაყოფიერებაში, როცა ალპების მთებში მოჩუხჩუხე მდინარის, სილაში ვედროთი მოთამაშე ბავშვის, ცოლის ფეხებზე მზის სხივების რეფლექსის დამადასტურებელი საბუთი უდევთ წინ, ანუ ის ყველაფერი, რაც მთელი დღის განმავლობაში მომხდარიყო. სხვა დანარჩენი შეიძლებოდა, გაუხსენებლად, დავიწყების ჩრდილშიც კი ჩაძირულიყო.

მეგობრებსა და კოლეგებთან ურთიერთობისას ანტონინო პარაჯი (არაფოტოგრაფი) თავს უფრო და უფრო მარტოსულად გრძნობდა. ყოველ კვირას ამჩნევდა, როგორ გამოხატავდნენ უზომო აღფრთოვანებას მისი მეგობრების ფოტოაპარატების შემძლეობისა და სწრაფი მუშაობის შესახებ. ისინი, ვინც მანამდე, მასთან საუბარში, საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ და სარკაზმულადაც იყვნენ განწყობილი ზოგადად ფოტოგრაფების საქმიანობისადმი.

ანტონინო პარაჯი დისტრიბუციის ერთ-ერთ წარმოებაში მუშაობდა. მისი ნამდვილი გატაცება მეგობრებთან საუბარი იყო. საუბრობდა ამა თუ იმ თემაზე, მნიშვნელოვანსა თუ უმნიშვნელო მოვლენაზე, რაიმე ჩახლართული შემთხვევების კვანძის გახსნაზე. ერთი სიტყვით, აზროვნებით ფილოსოფოსი იყო. ფილოსოფოსობდა და, იცოდა რამე თუ არა, გარკვეული იყო მასში თუ არა, მაინც იტყოდა თავისას და ყველაფერში საკუთარ ახსნას პოულობდა. ახლა საკუთარ თავს ეკითხებოდა და ვერ გაეგო, რატომ აინტერესებდათ ადამიანებს ფოტოგრაფია, რატომ უნდა გამხდარიყვნენ ისინი ფოტოგრაფები და რას ნახულობდნენ ამ სპეციალობაში ისეთ საინტერესოს, მუდმივად დროშის ქვეშ ჯარისკაცებივით რომ იკრიბებოდნენ. ზოგი ამაყობდა კიდეც თავისი პროგრესით და მხატვრული და ტექნიკური მხარეების გაუმჯობესებით. ზოგი, პირიქით, ყველაფერ კარგს ფოტოაპარატს და მისი დადებითი მხარეების დამსახურებას აწერდა. მათთვის რომ მოგესმინათ, სწორედ ფოტოაპარატი იყო ხელოვნების შემქმნელი, თუნდაც არასპეციალისტს სჭერებოდა ის ხელში. საკუთარ თავს მოუხერხებლობას სწამებდნენ, ოღონდაც აპარატის ხარისხი აეწიათ. მისით მოხიბლულნი და აღტაცებულნი გამუდმებით აქებდნენ ამ ხელსაწყოს.

ანტონინო პარაჯის ესმოდა, რომ არც ერთი და არც მეორე მიზეზი გადამწყვეტი არ იყო. საიდუმლო სხვა რამეში მდგომარეობდა. უნდა ითქვას, რომ ფოტოგრაფობაში ის თავისი უკმაყოფილობისა და მარტოსულობის მიზეზს უფრო ეძებდა და ამიტომაც გრძნობდა თავს ამხანაგებისგან გარიყულად, თუმცა, შეიძლებოდა, თავის გასამართლებლადაც გამოეყენებინა ეს და ეთქვა – მსგავსი სფერო ჩემთვის უინტერესოა და იმიტომაც ვდგავარ განზეო.

მისი ასაკის მეგობრები თანდათან ოჯახდებოდნენ, ანტონინო კი უცოლო რჩებოდა. ფოტოგრაფიასა და ოჯახს შორის ერთი უეჭველი კავშირი არსებობს – ობიექტივით გატაცება. ოჯახში გაჩენილი შვილის გამო მშობელი ფოტოგრაფი ხდება. მის ერთ-ერთ ინსტინქტს, შვილის დაბადების დღიდან, ფოტოს გადაღება წარმოადგენს, რაც, ზრდასთან ერთად, უფრო და უფრო მატულობს – იზრდება ბავშვი, იმატებს ფოტოების გადაღების საჭიროებაც, რადგან არაფერია იმაზე იოლი დასავიწყებელი, როგორც ექვსი თვის ბავშვის ფოტოები, ანუ იმ პერიოდისა, რომელიც მალე რვა თვის პერიოდით იცვლება, მერე კიდევ ერთი წლის ასაკში და ა.შ. მშობლისთვის საკმარისი არაა, სამი წლის ბავშვის აღნაგობას დასჯერდეს, რაც ხელს ნამდვილად არ უშლის ოთხი წლის ბავშვის აღნაგობით მოხიბვლას. სამი წლის პატარის ფოტოები ოთხი წლის ბავშვის ფოტოებით იცვლება, ალბომი კი იმ ადგილად რჩება, სადაც ეს წლებგამოვლილი ფოტოები ინახება. გარდა ამისა, ყოველი მომდევნო ფოტო წინაზე უფრო ლამაზი გვეჩვენება.

ახალგაზრდა მშობლებს განსაკუთრებული ქცევა-ყოფა ახასიათებთ: ობიექტივს ბავშვების მიმართულებით ასწორებენ, სამახსოვროდ რომ დარჩეთ შავ-თეთრი თუ ფერადი ფოტოები. არაფოტოგრაფი და არამამა ანტონინო

კარგად ხედავდა იმ სიგიჟეში გადასვლის ფაზას, რომელიც შავ გადამღებ აპარატებში იბადებოდა, მაგრამ მისი ფიქრები იმის შესახებ, რაც ფოტოგრაფიას, ოჯახს და სიგიჟეს აკავშირებდა, უფრო კონკრეტული და ზედაპირული იყო. რომ დავუკვირდეთ, მშობლის ქმედება კი არ ჩანდა არასასურველად, არამედ ის, რომ ანტონინო უცოლოდ, უოჯახოდ რჩებოდა და არავინ ჰყავდა ისეთი, ფოტო რომ გადაეღო, არამედ, ყველაფრის საშიშროების წინაშე თვითონ უფრო იგრძნობდა თავს, ანუ უარეს თუ არა, იმავე დღეში მაინც ჩავარდებოდა.

ანტონინოს სამეგობრო წრეში მიღებული იყო კვირის ბოლო დღის ერთად გატარება, რაც ბევრი მათგანისთვის სტუდენტობის დროიდან იწყებოდა. ამ შეხვედრებზე მიჰყავდათ შეყვარებულებიც, მეუღლეებიც და შვილებიც, მათი მომვლელებიც და მოსამსახურეებიც; ზოგ შემთხვევაში – შეძენილი ნათესავებიც, ახალი გაცნობილებიც – ქალი იქნებოდა ის თუ კაცი. ასე ხვდებოდნენ ყოველი კვირის ბოლოს ერთმანეთს და ანტონინოს შეეძლო ეფიქრა, რომ დროთა განმავლობაში არაფერი შეცვლილა ამ ადამიანებთან დაკავშირებით და თითქოს მათი ჯგუფი ისევ ისეთი იყო, როგორიც მანამდე, ახალგაზრდობაში. არც იმას საზღვრავდა ანტონინო, რომ ისინი უკვე დაოჯახებული იყვნენ და ცოლით, ქმრითა და შვილებით მოდიოდნენ და რომ ის რჩებოდა მხოლოდ უცოლო და დასაოჯახებელი.

ექსკურსიებზე, სამთო თუ საზღვავო გასვლებში, საოჯახო ან ოჯახებს შორის ფოტოების გადაღებისას, ოპერატორობის გასაწევად, ხშირად დახმარებას ვინმე სხვას სთხოვდნენ. შეიძლება, ეს ვინმე უბრალო გამვლელიც ყოფილიყო, რომლისთვისაც დროის დაკარგვა უკვე მომზადებულ, ობიექტივდაყენებული აპარატის ღილაკზე თითის დაჭერით შემოიფარგლებოდა მხოლოდ. ასეთ შემთხვევებში არც ანტონინო ამბობდა უარს: გამოართმევდა მშობელს აპარატს, დედა იქნებოდა ის თუ მამა, რომელიც მერე სწრაფად გარბოდა უკანა რიგში დასადგომად ან კისრით ეჩხირებოდა ორ თავს შორის, ან კიდევ ბავშვების მოსაფერებელ პოზაში დგებოდა და მთელი მონდომებითა და დაძაბულობით აწვებოდა თითით ღილაკზე. პირველ ხანებში ისე ეძაბებოდა მკლავები და ისეთ სტრესში ვარდებოდა, რომ აპარატს წესიერად ვერც კი იჭერდა ხელში; გადასაღები ობიექტი ეცვლებოდა და შეცდომით სხვა რამეს იღებდა, როგორიც იყო, მაგალითად: იალქნიანი ნავების ღერძები, სამრეკლოების გუმბათები... ბებიებსა და ბიძებს თავებსაც აჭრიდა... ბოლოს ყველა მას საყვედურობდა, განზრახ ხომ არ აკეთებ ასე, თუ არადა, ცუდად რატომ ხუმრობო?! მათი ბრალდება სიმართლეს არ შეეფერებოდა. ანტონინოს ყურადღება კარგი ფოტოს გადაღებისკენ იყო მიმართული და არა იმისკენ, როგორიც სხვებს უნდოდათ. ის სხვებს აბრალებდა: თქვენ ხართ, რომ ინძრევით და ფოტო მიტომ არ გამოდის კარგიო. როგორც კი მისი თითი ამ საქმეში დაოსტატდა, საკუთარი წესების და მითითებების შემოღებაც დაიწყო. მერე უკვე ფოტოებს კარგად იღებდა, ჯგუფურიც კარგად გამოსდიოდა. ზოგჯერ შემთხვევით გადაღებული ფოტოებიც საკმარისი იყო, გამოცდილება რომ მიეღო. ცოტა ხანში აპარატის ხმარება კარგად ისწავლა, მის ყოველ ღილაკს კარგად გაეცნო.

– ამ სურათების გადაღებას აღარ ამთავრებთ, ბოლოს და ბოლოს? – ეუბნებოდა მეგობრებს. – მანძილი ლამაზ რეალობასა და მასზე გადაღებულ ლამაზ ფოტოებს შორის ისედაც მოკლეა. ერთი ნაბიჯია მხოლოდ. პიერლუკას სილის ციხესიმაგრის აგების დროს რომ უღებთ ფოტოებს, არ მესმის, რატომ არ უნდა უღებდეთ მას ტირილი-

სას, როცა ეს ციხესიმაგრე ენგრევა?! და კიდევ, რატომ არ უნდა გადაიღო ფოტო მაშინ, როცა ბავშვს მომვლელი სილაში ნიჟარის პოვნით ამშვიდებს?! საკმარისია, ვინმემ თქვას: „აჰ, რა ლამაზია! სურათის გადაღებაა ახლა საჭირო!“ და უკვე მის მხარეს ხართ გადასული. თქვენი აზრით, თუ არ გადაუღე სურათი რამეს, დაკარგულად ითვლება, თითქოს არც კი არსებულა. ესე იგი, ნამდვილი ცხოვრებისთვის საჭიროა, რაც შეიძლება მეტი სურათი გადაიღო და იმდენი რომ გადაიღო, რამდენიც შეგიძლია, საჭიროა, იმდენ ხანს იცოცხლო, რამდენ ხანსაც სურათის გადაღება შეგიძლია ანდა სასურათედ ჩათვალო ყოველი მომენტი საკუთარი ცხოვრებიდან. პირველ გზას სისულელისკენ მივყავართ, მეორეს კი – სიგიჟისკენ.

– გიჟი და სულელი შენ ხარ, – პასუხობდნენ მეგობრები. – თავის მომბეზრებელიც!

– ვისაც იმ ყველაფერის გადაღება უნდა, რაც თვალწინ ჩაუვლის, – განმარტავდა ანტონინო, მიუხედავად იმისა, რომ არავინ უსმენდა. – ერთადერთი მეთოდი რჩება მხოლოდ – ზუსტად იმოქმედოს და თითო წუთში თითო ფოტო გადაიღოს, ყოველ წუთს, ანუ დილას – გაღვიძებიდან, საღამოს – დაძინებამდე. მხოლოდ ასე გახდება აპარატის ფირი თავისი გამოსახულებით ერთგული და სამახსოვრო დღიური, რომელშიც არაფერი, აბსოლუტურად არაფერი არ იქნება გამოტოვებული. მე რომ სურათების გადაღება დავიწყო, მთელი ჩემი არსებით გავუყვები ამ გზას, ალბათ, სიგიჟემდეც მივალ, თქვენ კი თავს ნებას აძლევთ, აირჩიოთ და რას ირჩევთ? – იდილიის შემცველობის აღმნიშვნელს მხოლოდ, აპოლოგეტურს, ნუგეშისმცემელს, ნათესავებთან და ყველასთან მშვიდი ურთიერთობის გამომსახველს. ეს თქვენი არჩევანი მხოლოდ ფოტოგრაფიული არ არის, არამედ ცხოვრებისეულიც, რომელსაც დრამატული კონტრასტების გამონაკლისისკენ მიჰყავხართ, საწინააღმდეგო კვანძების გამორიცხვისკენ, დიდი სურვილებისა და გატაცებებით გამოწვეული დაძაბულობის წაშლისკენ. ფიქრობთ, რომ ასე თავს სიგიჟისგან გადაირჩენთ, მაგრამ, ვერც კი ხვდებით, თუ როგორ ვარდებით სულელურ და უმწეო მდგომარეობაში.

ვინმე ბიჩემ (ვიღაცის ცოლისდა) და ვინმე ლიდიამ (ვიღაცის ყოფილი მდივანი) ანტონინოს სურათის გადაღება სთხოვეს. სწრაფი ფოტოს გადაღება უნდოდათ ტალღებში, ბურთის თამაშისას. ანტონინო დასთანხმდა, მაგრამ, რადგანაც მას ამ საკითხის ირგვლივ საკუთარი აზრი გააჩნდა, მაინც ეცადა მეგობარი გოგოებისთვის ეთქვა:

– რა გაიძულებთ, რად გინდათ მთელი აქტიური დღიდან მხოლოდ ამ ერთი წამის გადაღება? ბურთს ესვრით ერთმანეთს და ერთობით ახლა, მაგრამ, როგორც კი ამ მომენტს სურათზე გადატანილს ნახავთ, აწმყოზე ფიქრს შეწყვეტთ და მომავლისკენ გადაინაცვლებს თქვენი გონება; ოცი წლის შემდეგ დღევანდელი თქვენი თავის წარმოდგენა დაგჭირდებათ და ეს ქაღალდიც გაყვითლებულ რამედ გექცევათ. ამით ახლანდელ სიამოვნებასაც დაშორდებით, ის ყველაფერი კი გრძნობებითაც მოძველებული დარჩება. ასეთია სწრაფი ფოტოს ხასიათი. დაბეჭდილი ფოტოები სხვაა, უფრო გამოსადეგია – ალბომში მაგრდება და დიდხანს შეუცვლელი რჩება. საერთოდ, ფოტოს გადაღების სიამოვნება ბუნებრივ რეალობას კლავს და აწმყოსგან აშორებს. ფოტოგრაფიული რეალობა იმწუთასვე მოიცავს ნოსტალგიურ ხასიათს, დროიდან გაბნეულ სიხარულს, მოგონებებს, თუგინდ, გუშინწინდელი გადაღებულიც იყოს. ცხოვრების წუთები, რომელთა გადაღებასაც თქვენ აპირებთ, თანვე ეძლევა დავიწყებას და ის აზრი, რომ

სწრაფი ბეჭდვის ფოტო უფრო ნამდვილია, ვიდრე დაყენებულ პოზაში გადაღებული, მცდარია.

ასე ამბობდა ანტონინო და მეგობარი გოგოების ირგვლივ დახტოდა, თან მათი თამაშის მოძრაობებს იღებდა და ცდილობდა, წყალზე მზით არეკლილი რეფლექსები ობიექტივში არ მოეხვედრებინა. ბურთის აღებისას, წყალში ჩავარდნილ მეგობარ გოგოზე გადამხობილი ბიჩე პირდაპირ საჯდომით მოხვედრილიყო სურათში. ანტონინოს ეს მომენტი რომ არ დაეკარგა, მუცლით ჩამხტარიყო წყალში, ფოტოაპარატი აწეულ ხელში დაეჭირა და ისე იღებდა. არც არაფერი ჰკლებია მის დახრჩობას.

– ყველა კარგი გამოვიდა! ეს ხომ მთლად გასაგიჟებელია! – რამდენიმე დღის შემდეგაც ამბობდნენ გოგოები, თან ერთმანეთს ხელიდან ართმევდნენ სურათებს. მერე ანტონინოს კიდევ სთხოვეს შეხვედრა, ერთ ფოტოატელიეში დაუნიშნეს დრო.

– ყოჩაღი ხარ, შენ! კიდევ უნდა გადაგვიღო.

ანტონინოს უკვე გამოეტანა დასკვნა, რომ ფოტოსურათი სწრაფი ბეჭდვის მეთოდით კი არა, მოწესრიგებულ პოზაში გადაღებული ჯობდა, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში დგებოდნენ სხვადასხვა სოციალური კლასის წარმომადგენლები. მისი აზრით, ფოტოები მხოლოდ შავი ყუთის შიგნით უნდა წარმოებულიყო, ერთიმეორის მიყოლებით.

– კმაყოფილი ვიქნებოდი, ის ძველებური, სამფეხიანი კამერა ობსკურა რომ მქონდეს, – ეუბნებოდა თავის მეგობარ გოგოებს. – როგორ ფიქრობთ, იყიდება კიდევ? ვიშოვი სადმე?

– ალბათ, ვინმე ძველი ნივთების გამყიდველს თუ ექნება.

– წავიდეთ, მოვძებნოთ!

გოგოებს ძალიან მოეწონათ ამ საინტერესო ნივთის ძებნის პროცესი. ერთად დაათვალიერეს ძველმანების ბაზარი. მოიკითხეს ფოტოგრაფებთან და ძველ სახელოსნოებშიც გაჰყვნენ მათ. მოძველებულ ნივთთა სასაფლაოზე კი რა არ ნახეს: აპარატის საყრდენები, ფონის შესაქმნელი ნახატები, პანორამები, ქარისგან დამცავი დაფები... ყველაფერი ის, რაც ძველებურ ფოტოატელიეს წარმოადგენდა. ანტონინოც უკან არ იხევდა, ყველაფერს ყიდულობდა. ბოლოს თვალი ყუთისმაგვარ ფოტოაპარატს დაადგა, რომელსაც მსხლის ფორმის გადამღები ღილაკი გვერდით ეკიდა. კარგად მომუშავე ჩანდა. ანტონინომ ის სხვადასხვა ფირფიტის თანხლებით იყიდა და, მეგობარი გოგოების დახმარებით, სახლის ერთ ოთახში ფოტოგრაფიული ლაბორატორია მოაწყო. ყველაფერი შიგნით შეიტანა, რაც ძველებურს წარმოადგენდა, ორი თანამედროვე პროექტორის გარდა.

ახლა უკვე კმაყოფილი იყო.

– აქედანაა საჭირო დაწყება, – აუხსნა გოგოებს. – როგორც ჩვენი ბებიების და ბაბუების დროს იყო მიღებული, სოციალური კლასების მიხედვით რომ დგებოდნენ ჯგუფური ფოტოების გადასაღებად; კამერის წინ მოწესრიგდებოდნენ, ჩაცმის სტილსაც ითვალისწინებდნენ და მაშინდელ წესებსაც. ოფიციალური ფოტოს გადაღებისას – იქნებოდა ის საქორწინო, საოჯახო თუ სასკოლო, ისე იდგნენ, რომ პოზიციისა და წოდების გაგება ნამდვილად არ გაგიჭირდებოდათ; იოლად მიხვდებოდით, ვინ რას წარმოადგენდა. ამავე დროს ადვილი მისახვედრი იყო, ის ადამიანი ნაძალადევად იდგა თუ ბუნებრივად, ავტორიტარული პირი იყო, თუ იერარქიის რომელიმე წარმომადგენელი. მთავარი სამყაროსთან ურთიერთობის სააშკარაოზე გამოტანა იყო, ანუ იმისა, რასაც ყოველი ჩვენგანი თან ვატარებთ და, რასაც დღეს ყველა მალავს, ყველა ცდილობს ცხოვრების რეალური სახის დამალვას და სხვა რამედ წარმოჩენას, განსხვავებულად იმისაგან, რაც

სინამდვილეშია. ცდილობენ კი, თუმცა მაინც...

– მაგრამ, ვის გინდა ფოტო რომ გადაუღო? ვინ გინდა, პოზაში რომ დააყენო?

– მოდით ხვალ ჩემთან და თქვენი ფოტოების გადაღებას დავიწყებ.

– მაგრამ გვითხარი, რისი გაკეთება გინდა? რას გინდა, ბოლოს და ბოლოს, რომ მიაღწიო? – ჰკითხა ლიდიამ, უნდობლობამ რომ შეიპყრო ასე მოულოდნელად. მხოლოდ ახლა შეამჩნია, იმ აპარატებით მოწყობილ კაბინეტში უცნაური და აგრესიული გარემო რომ იდგა. – იოცნებე შენ, იოცნებე და მოდელებად დაგიდგებით ჩვენ!

ბიჩემ ლიდიასთან ერთად გაიცინა, მაგრამ მეორე დღეს მაინც მარტო მივიდა ანტონინოსთან. სელის თეთრი კაბა ეცვა – მკლავებისა და ჯიბეების კიდეებზე ფერადი ნაქარგებით. თმები შუაზე ჰქონდა გაყოფილი და საფეთქლებთან შეკრული. მალულად იცინოდა და მორცხვად, თავს ცალ მხარეს ხრიდა. ანტონინომ გამოატარა, თან მის ნაკვთებს დააკვირდა, ხასიათის გაშიფვრას შეეცადა. ერთ დიდ სავარძელზე დასვა, თვითონ კი თავი ფოტოაპარატზე გადაფარებულ შავ დრაფში შეყო. ეს იმ ყუთთაგანი იყო, უკანა ნაწილი რომ სარკის ჰქონდა და გამოსახულება ზედ ირეკლებოდა. გადასაღები კომპოზიცია მასში ისე მოჩანდა, როგორც ფირფიტაზე. აპარატი თანამედროვე ნივთებისგან ძალიან განსხვავდებოდა და, ცოტა არ იყოს, შიშის გრძნობასაც კი წარმოშობდა თავისი ფორმითა და კონსტრუქციით. ანტონინო ბიჩეს თითქოს პირველად ხედავდა. რაღაცნაირი დამთმობი ასპექტი ჰქონდა გოგოს, თვალებს რომ ხუჭავდა და კისერს წინ გამოსწევდა, თითქოს დამალულს სთავაზობს რამესო. მისი ღიმილის უკან რაღაც იდუმალებით მოცული იმალებოდა.

– აი, ასე! არა, თავი ცოტა იქით! თვალები ასწიე! არა, დასწიე!.. – ანტონინო იმ ყუთის შიგნით ბიჩეს რაღაც მნიშვნელოვანსა და ძვირფასს არჩევდა. – ახლა სახე ჩრდილში მოაქციე! სინათლისკენ მოიწიე უფრო! არა, მანამდე უკეთესი იყო!..

ბევრი კარგი ფოტო იყო ბიჩესი, ბევრიც ცუდად გადაღებული, მაგრამ, რასაც ანტონინო ეძებდა, სხვა იყო. ფოტოს, რომელიც მას უნდოდა გამოსულიყო, ყველაფერი უნდა მოეცვა, ესეც და ისიც; ერთადერთი, უნიკალური უნდა ყოფილიყო.

– ვეღარ გიღებ, – გაისმა უკმაყოფილებითა და საყვედურით სავსე ხმა აპარატის დრაფიდან. – აღარ გადაგიღებ მეტს, ვეღარ ვახერხებ!

ანტონინომ თავი გამოყო და გასწორდა. ყველაფერში დასაწყისიდანვე ცდებოდა. გამოხედვა, იდუმალება, რომელსაც ქალის სახეში ხედავდა და, რომლის დაჭერასაც ცდილობდა, თანდათან ფსიქოლოგიურ ცვლილებებში აბნევდა მას, სულთა მოძრავ სილაში აფლობდა. ის უკვე იმ ადამიანთა წრეს ეკუთვნოდა, მიმდინარე ცხოვრების არც ერთ წუთს რომ არ ჰკარგავდა; შეუჩერებელი ფოტოგრაფი ხდებოდა, დაუოკებელი მონადირესავით...

სხვანაირად უნდა მოქცეულიყო ახლა. ყურადღება ძირითადად ნათელ, უფრო გასაგებ გამოსახულებაზე უნდა გადაეტანა, თუმცა მაინც სტერეოტიპთა ნიღბის შენარჩუნებით. ასეთი ნიღაბი ყველა სოციალური კლასის ცხოვრების ნაწილს წარმოადგენდა, ისტორიულს, რომლის ქვეშაც ადამიანის რეალური სახე იმალებოდა და, რომელიც მნიშვნელოვან თვისებებს ატარებდა, თანდათან, დროთა განმავლობაში რომ იკითხებოდა. ამ მიზნით არ მოაწყო სწორედ ანტონინომ ლაბორატორია?!

ბიჩეს დააკვირდა. მისი ასპექტითა და გარეგნული თვისებებით უნდა დაეწყო. ჩაცმითა და ვარცხნილობით მასში შეიძლებოდა იმ ძველი, ოცდაათი წლის წინანდელი მოდის ცოტა ნოსტალგიური და ცოტა ირონიული მხა-

რის ამოცნობა. ფოტოს შეეძლო, ხაზი სწორედ ამ მხარისთვის გაესვა, რაც მას აქამდე არც უფიქრია.

ანტონინო ჩოგბურთის ჩოგნის მოსაძებნად გავიდა. ბიჩე ფეხზე მდგარი, სამი მეოთხედით გადახრილ პოზაში უნდა გადაეღო, თან იღლიაში ჩოგანამოდებული და სენტიმენტალური გამომეტყველებით სახეზე. შავი დრაფის ქვეშ შესულ ანტონინოს ბიჩეს სახე, თავისი სიგამხდრითა და პოზისადმი შესაფერისი თუ შეუფერებელი გამომეტყველებით, ძალიან საინტერესო ეჩვენა. ფეხების გეომეტრიული ფიგურებისა და მკლავების ჩოგანთან შეფარდების კარგად შესწავლითა და გათვალისწინებით, პოზა რამდენჯერმე შეაცვლევინა. ფოტოზე, რომელიც მას ჰქონდა ჩაფიქრებული, ჩოგბურთის მოედანიც უნდა ყოფილიყო გამოსახული, მაგრამ ყველაფრის განხორციელება შეუძლებლად მიაჩნდა და ამიტომ პინგ-პონგის მაგიდას დასჯერდა მხოლოდ, მაგრამ მაინც ვერ გრძნობდა თავს მყარ მიწაზე. იმ მოგონებების გადაღება ხომ არ უნდოდა შემთხვევით, ექოსავით რომ ესმოდა წარსულიდან? ანდა კვირადღის ფოტოგრაფების მსგავსად, აწმყოს უარყოფასა და მომავალში მის სამახსოვრო დღეებად აღქმას ხომ არ მიჰყავდა ის არარეალური ქმედებისაკენ, მომავალი მოგონებებისთვის აწმყოში მყარი სხეულის შექმნით?

– გაინძერი, რას გაშეშებულხარ მანდ. ასწიე ეგ ჩოგანი და გამოიღვიძე ცოტა. იმოქმედე ისე, თითქოს ჩოგბურთს თამაშობ! – ერთბაშად მოეძალა სიბრაზე ანტონინოს. მიმხვდარიყო, რომ მხოლოდ პოზების შერჩევით ბევრს ვერაფერს გააწყობდა, ყალბი ქმედების ნახევარზე შეჩერებით არარეალურ და უსიცოცხლო შთაბეჭდილებას დატოვებდა მხოლოდ.

ბიჩე დინჯად მიჰყვებოდა ანტონინოს ბრძანებებსა თუ სურვილებს; უჯერებდა და იმდენად არ აქცევდა ყურადღებას მის აღელვების მიზეზებს. ისე იდგა, გეგონებოდათ, თამაშგარე მდგომარეობაშიაო, ანუ მთლად არც კი იყო ჩართული ამ როლებში; მეტიც, ზოგჯერ თავისი ინიციატივით ჩუმ მოძრაობებსა და მიხრა-მოხრებს ასრულებდა; დიდად არ მონაწილეობდა ამ არც თუ ისე საკუთარ თამაშში. ანტონინო მისგან რასაც მოითხოვდა, ფეხებისა და მკლავების სხვადასხვა მდგომარეობას, არც თუ ისე რთული შესასრულებელი დავალება იყო, მაგრამ ქალის პასუხი მის აგრესიულ ქცევებზე წინააღმდეგობებრივი იყო.

– როგორც სიზმრებში ხდება, – ფიქრობდა დრაფის ქვეშ მყოფი ანტონინო და მინის ოთხკუთხედში გამოსახულ საკუთარი კომპოზიციით შექმნილ ჩოგბურთელს აკვირდებოდა. – სიზმრებში რომ გამოგეცხადება ვინმე სიღრმიდან და წინა პლანზე გადმოინაცვლებს... შენ სცნობ მას, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენ, მალე როგორ გარდაიქმნება... თითქოს დასაწყისშივე გეუფლება შიშის გრძნობა, რადგან არ იცი, რა ცვლილებით წარმოგიდგება ის ბოლოს.

სიზმრებზე უნდოდა ფოტოს გადაღება? ამ ფიქრებმა ის დაამუნჯეს, სირაქლემასავით რომ იყო დამალული იმ ქსოვილში, იდიოტივით. ამასობაში თავის თავთან დარჩენილი ბიჩე გროტესკული მოძრაობების შესრულებასაც მოჰყოლოდა – ჩოგბურთელივით ხან წაღმა აქნევდა ჩოგანს და, ხან უკუღმა, თითქოს მინის ოთხკუთხედიდან მაყურებელს იგერიებსო, თან პოზებში ჩერდებოდა, შეშდებოდა.

– საკმარისია! რა არის ეს კომედია?! ასე არ მინდოდა მე!.. ასე არ ვფიქრობდი!.. – წამოიძახა ანტონინომ, მერე აპარატს დრაფი გადააფარა და ოთახში სიარულს მოჰყვა.

ის ჩოგბურთელის სამოსი იყო ყველაფერში დამნაშავე, ომამდელი პერიოდის სტილს რომ ეკუთვნოდა, მაგრამ, უნდა ეღიარებინა, რომ სასეირნოდ

ჩასაცმელი კაბით ისეთ ფოტოს ვერ გადაიღებდა, როგორსაც ფიქრობდა. საჭირო იყო ერთგვარი ფორმა, სპეციალური სამოსი, დედოფლებს რომ ეცვათ ადრე. მხოლოდ საღამოს კაბით შეეძლო ბიჩეს ფოტოსუბიექტი გამხდარიყო – დეკოლტეთი, სამკაულების ბრწყინვალებით გაფორმებული, კანის სითეთრესა და ქსოვილის მუქ ფერს რომ გამოჰყოფდა ერთმანეთისგან. დეკოლტე ყველა დროის ქალის სილამაზეს უსვამს ხაზს და წარმოუდგენელ შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორც სიმბოლო სილამაზისა, როგორც ალეგორიული ქანდაკების შემქმნელი.

ბიჩეს მიუახლოვდა. ყელზე ღილები შეხსნა, მკერდზე... მხრებზე კაბა გადაუწია... გონებაში მეცხრამეტე საუკუნის ფოტოებმა გაუელვა, რომელთა თეთრ ქარალდზე ქალის სახე, ყელი და შიშველი მხრების ხაზები იკვეთებოდა. ის უკვე დროისა და სამყაროს გარეთ მოქცეული პორტრეტი იყო, მაგრამ სწორედ ამის შექმნა უნდოდა მას ახლა. კარგად არ იცოდა, როგორ უნდა გაეკეთებინა, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა, მიზნისთვის მაინც მიეღწია.

პროექტორები ბიჩეს მიანათა, აპარატი ახლოს მისწია, დრაფის ქვეშ რაღაცებს შეეხო და ობიექტივის სარქველი გაასწორა. ბოლოს თავი შიგ შეჰყო და გაიხედა. ბიჩე შიშველი იდგა. სამოსი ფეხებამდე ჩაეძრო, არაფერი ეცვა. წინ ერთი ნაბიჯი გადმოედგა. არა, უფრო სწორად, ერთი ნაბიჯით უკან დახეულიყო. ასე ობიექტივში მთლიანად ჩანდა, მთელი სხეულით. სწორად იდგა აპარატის წინ, მშვიდად. ისე იყურებოდა, თითქოს ოთახში მარტო ყოფილიყო.

ანტონინომ იგრძნო, მის თვალებს როგორ იპყრობდა ქალი. ობიექტივის ხედვის მთელი სივრცე მას ეკავა. აღარაფერს აქცევდა უკვე ყურადღებას. მონუსხულივით უყურებდა მის წინ მდგომ ბიჩეს, რომელიც ფირფიტაზე გამოსახულ ფიგურასთან ერთად ორ რეფლექსს წარმოადგენდა, ერთმანეთთად მჭიდრო კავშირში მყოფ რეფლექსს. ფოტო გადაიღო. მომართა აპარატი და ისევ გადაიღო. ფირფიტა გამოცვალა და ისევ გააგრძელა გადაღება. სულდახუთული ბუტბუტებდა დრაფის ქვეშ.

– აი, ახლა კი. ასე კარგია. აი, კიდევ. ასე კარგად ჩანხარ...

მეტი ფირფიტა აღარ ჰქონდა. დრაფიდან კმაყოფილი გამოვიდა. ბიჩე მის წინ ისევ შიშველი იდგა, თითქოს ელოდა.

– ახლა შეგიძლია ჩაიცვა. – უთხრა ქალს აღელვებულმა, აჩქარებით. – გარეთ გავიდეთ!

ქალმა დაბნეული თვალებით შეხედა.

– გადაგიღე უკვე, – უპასუხა.

ბიჩემ ტირილი დაიწყო. ანტონინო მიხვდა, რომ ქალზე უკვე შეყვარებული იყო, იმ დღესვე შეუყვარდა.

ერთად დაიწყეს ცხოვრება. ანტონინომ ლაბორატორია მოაწყო: თანამედროვე ტიპის აღჭურვილობა, აპარატები და ტელეობიექტივები შეიძინა. ღამით, ძილის დროს ფოტოების გადამღები მოწყობილობებიც იყიდა და ავტომატური მუშაობის რეჟიმში ჩააყენა, რის გამოც ბიჩეს ფლეშ-სანათების ქვეშ, საყვედურებით უწევდა გამოღვიძება. ანტონინო სწრაფი ფოტოების გადამღები აპარატითაც მოქმედებდა. უღებდა ლოგინში რომ იზმორებოდა, ამით რომ ღიზიანდებოდა, სახეს ბალიშში რომ მალავდა... ქალი ბოლოს მაინც მშვიდდებოდა, რადგან სასიყვარულო გამოხატულებად უთვლიდა ასეთ ქმედებებს.

ანტონინოს ლაბორატორიაში ყველგან ბიჩე ჩანდა – კედლებზე, მაგიდაზე, იატაკზე, თითქოს ათასობით ფუტკარი იყურება სკებიდანო. ყველა ერთმანეთს ჰგავდა. ბიჩე ყველანაირ პოზასა და მოძრაობაში იყო გადაღებული, თით-

ქოს უამრავ ნაწილად იყო დაშლილი და აქეთ-იქით მიმოფენილი.

– მაგრამ, რას დააჟინდი ამ ბიჩეს? სხვა რამის გადაღება არ შეგიძლია? – სულ ეკითხებოდნენ მეგობრები. ბიჩეც იმავეს ეკითხებოდა.

– არა, ცდებით. ეს ყველაფერი ჩემი მეთოდია, – პასუხობდა. – თუ გინდა ადამიანს ფოტო გადაუღო, ვინც არ უნდა იყოს ის, არც ერთი მომენტი არ უნდა გამოტოვო, დღისა და ღამის განმავლობაში, ყველა წუთი უნდა დააფიქსირო. ფოტოგრაფიას მაშინ აქვს მნიშ-

ვნელობა, როცა მთლიანად ამოწურავ ყოველ დეტალს, ყოველ გამოსახულებას.

სინამდვილეში, რა ჰქონდა მიზნად, არავის უმხელდა. ბიჩეს გადაღება უნდოდა ქუჩაში სიარულისას, ისე რომ ვერ გაეგო; უნდოდა, დამალული ობიექტივის ქვეშ ჰყოლოდა სულ. ისე უღებდა ფოტოებს, რომ ზოგჯერ არც უყურებდა – როგორც კი შეუსწრებდა, სპონტანურად აჭერდა თითს ღილაკს. რამე ისეთის აღმოჩენას კი არ ცდილობდა! ეჭვიანი ნამდვილად არ იყო, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ბიჩეს მოპოვება სწადდა მხოლოდ, მაგრამ ფოტოებით. მხოლოდ და მხოლოდ ბიჩე აინტერესებდა, ისეთი, როგორსაც თვითონ წარმოიდგენდა. ბიჩე, რომელიც თავისი არსებობით სხვის არსებობას აქრობდა.

იყო ეს ეჭვიანობა თუ არა, აუტანელ გატაცებაში კი გადადიოდა. მალე ბიჩემაც მიატოვა და ანტონინო მძიმე დეპრესიულ კრიზისში ჩავარდა. სახლში იყო გამოკეტილი და არსად წასვლის სურვილი არ ჰქონდა. ფოტოებს მექანიკურად იღებდა: მკერდზე ჩამოკიდებული აპარატით სავარძელში ჩაჯდებოდა და ოთახის ცარიელ კუთხეს მიშტერდებოდა, თან თითს ღილაკზე აჭერდა და არარსებულ ბიჩეს იღებდა. ფოტოებს ერთ ალბომში აგროვებდა. მათში ყველაფერი იყო გამოსახული: მოწეული სიგარეტებით სავსე საფერფლე, გაუსწორებელი საწოლები, კედელზე ნესტისგან გაჩენილი ლაქები... ერთ დღესაც აზრად დაებადა, კატალო-

გი შეექმნა, რომელშიც ყველაფერ იმას ჩამოწერდა, რისი გადაღებაც აღარ უნდოდა და რასაც ხედვის გარეშე დატოვებდა, ადამიანებისგანაც შორს. ამოიჩემებდა რაღაცას და მთლიანად ცლიდა ფირს მისი გადაღებით, სინათლისა და ჩრდილების ცვლილების მიხედვით.

ერთ დღეს ოთახის კუთხეს მიაშტერდა, ცარიელ კუთხეს, მხოლოდ გამათბობლის მილი რომ გადიოდა, მეტი არაფერი. ამ კუთხეს ახლა იქამდე ვუღებ ფოტოს, სანამ არ მოვკვდებიო, – გაიფიქრა.

მის სახლში უყურადღება და სრული არეულობა სუფევდა: აქეთ-იქით მიმოფანტული ფურცლები, იატაკზე დაყრილი დაკუჭული ძველი გაზეთები... იდგა ანტონინო და ფოტოებს იღებდა. გაზეთებში განთავსებულ მასალებსაც კი არ ტოვებდა, რითაც არაპირდაპირი კავშირი იქმნებოდა მისი აპარატის ობიექტივსა და შორეულ, უკვე გადაღებულ ფოტორეპორტაჟებს შორის, რომლებზეც პოლიციასთან შეტაკებები, დამწვარი მანქანები, მორბენალი მძლეოსნები, მინისტრები, კრიმინალები და ბევრი სხვა რამ იყო ასახული.

ანტონინო ყველაფერს უღებდა ფოტოებს, საოჯახო ნივთებსაც კი; დიდი შურის გრძნობა ეუფლებოდა იმ ფოტოგრაფების მიმართ, რომლებსაც ოფიციალურ შეხვედრებზე დასწრებისა და ხალხის გადაღების უფლება ჰქონდათ და რომლებსაც სისხლის, ცრემლის, ზეიმის, მოდის, მკვლელობისა და საზოგადოების ყველა ექსტრემალური მოვლენის დაფიქსირება შეეძლოთ.

– განსაკუთრებულ სიტუაციას აქვს მხოლოდ მნიშვნელობა? – ეკითხებოდა საკუთარ თავს ანტონინო. – ფოტორეპორტიორია კვირადღის ფოტოგრაფის ნამდვილი კონკურენტი? მათი სამყარო ერთმანეთისგან განსხვავდება? თუ ერთი მეორეს ანიჭებს მნიშვნელობას?

ამ ფიქრებში იყო ანტონინო, რომ ნაფლეთებად აქცია ბიჩეს ფოტოები, მის გარეშე გადაღებულებიც, მთელი იმ პერიოდის განმავლობაში რომ ჰქონდა დაგროვილი; კედლებიდანაც ჩამოხია, თუ რამე ჰქონდა; ნეგატივების ფირები მთლად დაჭრა, დაანაკუწა, დიაპოზიტივებიც დახია და ყველაფერი იატაკზე გაშლილ გაზეთზე დაახვავა.

– მგონი, ესაა ნამდვილი, – გაიფიქრა. – პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოები ტერაქტებისა და დაჯილდოების ფონზე.

გაზეთების გვერდები გადმოკეცა და გროვა გადაახვია, ნაგავში გადასაგდებად გაამზადა, მაგრამ ჯერ მისი გადაღება მოინდომა. ისე გააკეთა, რომ ორი სხვადასხვა ფოტოს ნაწილი ერთმანეთზე მიდებული გამოჩენილიყო. უფრო მეტიც, შეკვრა გახსნა და გადიდებული ფოტოს პრიალა, დახეული ნაწილი გარეთ გამოსწია. მერე პროექტორი ჩართო. უნდოდა დანაკუწებული და ბურთად შეკრული გამოსახულებები გადაეღო, რომელთა მნიშვნელობა, მიუხედავად მეხსიერებიდან ამოშლის დიდი სურვილისა, ჯერ კიდევ იპყრობდა მის ყურადღებას. ყველაფერი ეს რომ ერთ ფოტოში მოეთავსებინა, საჭირო იყო განსაკუთრებული ტექნიკური მეთოდის გამოყენება. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო ანტონინოს ფოტოების გადაღება საბოლოოდ შეეწყვიტა, მაგრამ, როცა ყველაფერი დაასრულა და წერტილი დასვა, მიხვდა, რომ ფოტოგრაფია დარჩენლიყო ერთადერთ გზად, მისდა უნებურად რომ დადგომოდა უკვე.

იტალიურიდან თარგმნა
მაია ტურაბელიძემ